# ლელო

№246
(12 316)
18 ოქტომბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

# მამაცი გულები

საქართველო-შოტლანდია 2:0



# ჭაბუკები ომში მიდიან



ჩვიდმეტწლიანები:

ლევან ყენია შოტლანდიელთა გარემოცვაში



ლევან McHEDLIDZE



გიორგი McARIDZE

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

**საქართველო-შოტლანდია**

**2:0**

17.10.07 თბილისი. ეროვნული
40 000 მაყურებელი

1:0 მჭედლიძე (16. მენთეშაშვილის პასით), 2:0 სირაძე (65. კვირკველიას პასით)

**საქართველო:** მაკარიძე - სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, შაშიაშვილი - მენთეშაშვილი, კანკავა, კვირკველია - ყენია (80. კანდელაკი) - სირაძე (90. ჯაკობია), მჭედლიძე (85. ა. კვახაძე);

*სათადარიგოები:* სტურუა, დოლიძე, ბოლქვაძე, ტატანაშვილი

**შოტლანდია:** გორდონი - მარტი, ვეირი, მაკმანუსი, ალექსანდერი - მელონი, ფლეტჩერი, ფერგიუსონი, პირსონი (66. ბოიდი) - მილერი (66. ბიტი), მაკფადენი

*სათადარიგოები:* მარშალი, მაკიუელი, დეილი, რობსონი, ტილი

**გაფრთხილება:** კანკავა (63), მაკმანუსი (63), ბიტი (73), ასათიანი (90)

**არბიტრი:** კ. კირხერი (გერმანია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# მამაცი გულები

უშანსოდ დარჩენილი საქართველოს ნაკრები თითქმის ყოველი შესარჩევი ციკლის ბოლოს შინ ძლიერ მეტოქეს ამარცხებს. საბედნიეროდ, ეს სასიამოვნო ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და ჩვენი ქვეყნის მთავარმა გუნდმა თბილისში სამი ქულისთვის ჩამოსული შოტლანდიის ნაკრები და მის ქომაგთა მრავალრიცხოვანი არმია შინ ხელცარიელი გაისტუმრა. რაც მთავარია, გუშინ საქმე იმ შემთხვევასთან გვქონდა, როცა შედეგიც სასიხარულო იყო და თამაშის ხარისხიც.

ხარვეზების მეტი საქართველოს ნაკრებს რა აქვს, მწვრთნელისა თუ ფეხბურთელების შეცდომებზე ხშირად გვიწევს წერა, მაგრამ საბედნიეროდ, შოტლანდიასთან შეხვედრამ ბევრი პოზიტივიც დაგვანახა და დღეს სჯობს, ამაზე ვისაუბროთ.

ნაყოფი გამოიღო **კლაუს ტოპმიოლერის,** ერთი შეხედვით, ავანტიურისტულმა საკადრო პოლიტიკამ და მის მიერ ეროვნულ ნაკრებში მიწვეულმა 16-17 წლის ჭაბუკებმა გერმანელის ნდობა სრულად გაამართლეს. **გიორგი მაკარიძის, ლევან ყენიასა** და **ლევან მჭედლიძის** ნიჭიერებასა და პერსპექტიულობაში ეჭვი არც აქამდე ეპარებოდა ვინმეს, საკითხავი ის გახლდათ, ნაადრევი ტვირთი ხომ არ იყო ამ ბიჭებისთვის ეროვნული გუნდის ფორმის ჩაცმა. ამ მხრივ, ორმაგად კარგია, რომ გუშინ სასურველ შედეგს მივაღწიეთ და ამაში ამ ტრიომ სხვებზე არანაკლები წვლილი შეიტანა. ტოპმ გარისკა და არ ინანა, იმედია, ეს და მთავარ ნაკრებში შემდგომში დაწინაურებული ყმაწვილები დიდ საფეხბურთო და, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ გამოცდას მომავალშიც ფრიადზე ჩააბარებენ (რა ამის პასუხია და შოტლანდიელ კომენტატორს Mchedlidze "გაუშოტლანდიელებია" და მაკპედლიძედ წაუკითხავს, Makaridze კი ნებისმიერ შემთხვევაში "შოტლანდიურად" ჟღერს).

იტალიურ მატჩთან შედარებით, გუშინ ჩვენს ძირითად შემადგენლობაში სამიოდე ცვლილება იყო, მაგრამ თამაშის ხარისხი ათმაგად მაღალი გახლდათ. ცხადია, ამის მთავარი მიზეზი **ლომაიას, ცქიტიშვილისა** და **დემეტრაძის** არყოფნა არაა, მწვრთნელის მიერ გაანალიზებულ და გამოსწორებულ შეცდომებთან ერთად, თავისი როლი საშინაო კედლების ფაქტორმა ითამაშა. ახალი ამბავი არაა, რომ საქართველოს ნაკრები სტუმრად, ძირითადად, დაცვით ფეხბურთს თამაშობს და წინ ბევრი არაფერი გამოსდის, თბილისში კი თვალსა და ხელსშუა გარდაისახება ხოლმე. თუმცა არც შოტლანდიაა იტალია და საფრანგეთი. საკუთარი თვალით დავრწმუნდით, რომ ბრიტანელებს მებრძოლი, ჟინიანი და თავდადებული, მაგრამ არცთუ მაღალი კლასის მქონე, სწორხაზოვანი და უფანტაზიო გუნდი ჰყავთ, ჩვენზე მაღლა კი იმიტომ დგანან, რომ იტალიელებთან და ფრანგებთან მედგრად იბრძვიან და გრანდებს, ჩვენგან განსხვავებით, ხშირად ამწარებენ.

უნაღვლო ამინდმა, თითქმის სავსე სტადიონმა თავიდანვე საზეიმო განწყობა შექმნა. თუ იმას არ გავიხსენებთ, რომ ქართველებმა შოტლანდიის ჰიმნს უსტვინეს და პირველი ტაიმის ბოლოს დაცვას მოედანზე ჩვენი გულშემატკივარი შეეპარა, ყველაფერმა ლამაზად და მშვიდობიანად ჩაიარა.

ტოპმიოლერს გენუური ტაქტიკა არ შეუცვლია და 4-4-2-ის ერთგული დარჩა. პრესკონფერენციაზე ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა ყველა ერთად შეაქო და ჩვენც არავის გამოვარჩევთ, მაგრამ ყველას დამსახურებაზე ვიტყვით. თავისი ფუნქცია ძირითადში გამწესებულმა ქართველებმა მეტ-ნაკლებად ხეირიანად შეასრულეს. **მაკარიძისთვის** კარის ჩარჩოში სახიფათოდ არც დაურტყამთ, თუმცა გიორგი კარშიც აუღელვებლად იდგა და არც გამოსვლებზე დაუშვია შეცდომა. **სალუქვაძემ** და **შაშიაშვილმა** დაცვის ფლანგებზე სტუმართა შემტევებს გასაქანი არ მისცეს; ცენტრში **ხიზანიშვილი** და **ასათიანი** იდგნენ ძალიან საიმედოდ, ეს უკანასკნელი ამჯერადაც თავისი კლასის შესაბამისად მოქმედებდა, ფაქტობრივად, ერთი ორთაბრძოლაც არ წაუგია და შიგადაშიგ შეტევებში



კვირკველიას საჯარიმო გორდონმა გაჭირვებით მოიგერია

ჩართული დროულად უბრუნდებოდა თავის პოზიციას. **მენთეშაშვილმა** ბევრი იშრომა და გუშინაც პირნათლად შეასრულა თავისი წილი საქმე; საპირისპირო, მარცხენა ფრთაზე ერთ-ერთი საუკეთესო სანაკრებო მატჩი ჩაატარა **კვირკველიამ**; იმაში, რომ ცენტრი მოვიგეთ, **კანკავას** უდიდესი წვლილი მიუძღვის; კვლავ სასიამოვნოდ გაგვაოცა **ყენიამ**, რომელმაც ინდივიდუალური რეიდებითა თუ მახვილგონივრული პასებით სტუმართა დაცვას ბევრი პრობლემა შეუქმნა; **მჭედლიძე** თავიდანვე დაგეშილი იყო მეტოქის კარზე, **სირაძემ** კი ნელ-ნელა მოუმატა და განსაკუთრებით მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშზე საფუძვლიანი პრეტენზია აქვს.

საქართველოს ნაკრებმა მატჩის პირველივე წუთებიდან მოიპოვა უპირატესობა. ჩვენები მეტოქის ნახევარს თავიდანვე გაუშინაურდნენ და ყენიას პასი კანკავასთვის მცველს რომ არ ჩაეჭრა, მე-5 წუთზევე დავწინაურდებოდით.

ამის შემდეგ თამაშის სურათი არ შეცვლილა, მაგრამ მე-7 წუთზე გადავრჩით. **მაკფადენი** წამით დაუსხლტა ქართულ დაცვას, **მილერის** მოკლე პასს ფეხი დაუხვედრა და კარს მცირედით ააცილა.

ქართველებმა მეტოქის საჯარიმოზე ზეწოლა გააგრძელეს, რამდენიმე კუთხური მოიპოვეს და სტანდარტული გოლიც გავიტანეთ. მენთეშაშვილმა კუთხური მოაწოდა, ტანმაღალმა მჭედლიძემ ყველას დაასწრო და მეორე მატჩში პირველი სანაკრებო ბურთი მიითვალა.

ორ წუთში **ფლეტჩერმა** ისიმულანტა და ჯიუტად ითხოვდა პენალტს. ამ ხერხს სქოთებმა კიდევ რამდენიმეჯერ მიმართეს, მაგრამ ჩვენს საჯარიმოში ისე არაბუნებრივად ეცემოდნენ, არბიტრს ნიშნულისკენ ხელის გაშვერის საბაბი არ მიეცა. სამაგიეროდ, **კირხერს** პირველი ტაიმის შუაში შეეძლო თერთმეტმეტრიანის დანიშვნა, როცა ლევან ყენიას დარტყმა შოტლანდიელ მცველს საჯარიმოში ხელზე მოხვდა.

სადღაც მე-20-25-ე წუთიდან ინიციატივა ნელ-ნელა დავთმეთ და შოტლანდიასაც გასაქანი მიეცა. მათ მიერ მოწოდებულ კუთხურებს ერთადერთი ნახევრადმომენტი მოჰყვა, როცა **მაკმანუსმა** თავური კარს ზემოდან გადააცილა. სამაგიეროდ, კინაღამ მაკფადენის შორეულმა დარტყმამ უწია მიზანს, მაკარიძე ამ ეპიზოდში არ განძრეულა, ბურთი კი მის კარს ზემოდან სულ მცირე მანძილით გადაევლო.

მეორე ნახევრიდან თამაშის სადავეები ისევ დავიბრუნეთ და იმის მიუხედავად, რომ ბურთის ფლობის პროცენტი დაახლოებით თანაბარი იყო, იგრძნობოდა, რომ შეხვედრა ჩვენთვის სასურველ კალაპოტში მიმდინარეობდა. საქმე კინაღამ 63-ე წუთზე გაგვიფუჭდა, როცა ყენიამ შოტლანდიელს ხელის კვრა ვერ მოუთმინა და ყელში სწვდა. საბედნიეროდ, არბიტრმა ქართველს მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა, ოღონდ ეს ქართველი ჯაბა კანკავა იყო, რომელიც თანაგუნდელს გამოესარჩლა და სტუმარს ჯიქურ მივარდა.

ერთ წუთში კვირკველიამ ჯარიმა შეასრულა ჩინებულად, რომელიც **გორდონმა** კუთხურზე მოიგერია, კიდევ ერთ წუთში კი იმავე გორდონმა საკუთარი კარიდან ბურთი მეორედ გამოიტანა. ეპიზოდის შემოქმედი კვლავ კვირკველია იყო, რომელმაც ფლანგური გარღვევით მეურვეებს თავგზა აუბნია და უმეთვალყურეოდ დარჩენილ სირაძეს დაუგორა, რომელმაც ბურთი კარში ერთი შეხებით შეაგორა.

დარჩენილ დროში ბრიტანელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მიზანთან ახლოს ერთხელაც არ ყოფილან. ორიოდე არაზუსტი ჯარიმა და პენალტის მოპოვების ფუჭი მცდელობები - ეს იყო და ეს. ის კი არა, მომენტების შექმნა ჩვენ უფრო შეგვეძლო კონტრშეტევებზე...

კარგი, შესანიშნავი დღე იყო, თუმცა რეალობა გავიხსენოთ: კვლავ მეექვსე ადგილისთვის ვიბრძვით და ჩვენი უშუალო კონკურენტი მხოლოდ ლიტვაა, რომელსაც 21 ნოემბერს უნდა ვძლიოთ. შემოდგომა საქართველოს ნაკრებისთვის ხშირადაა წარმატებული. ამ ციკლმა არა, მაგრამ მისმა ბოლომ იმედი დაგვიბრუნა და ღმერთმა ქნას, უფრო პრინციპულ ბრძოლებში გამარჯვებაც გვეზეიმოს.

...ტოპმიოლერი სამივე შეცვლილ ფეხბურთელს თბილად მიეგება, ლევან ყენია კი სულაც ხელში აიტაცა. ქართული ფეხბურთის მომავალი გუშინ საიმედო ხელში იყო და იმედია, ტოპმიოლერით თუ უტოპმიოლეროდ, მომავალშიც ასე იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მჭედლიძემ გახსნა...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



...სირაძემ წერტილი დასვა

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა




კლაუს ტოპმიოლერი


ალექს მაკლიში

# ეროვნულის მოედნიდან რესპუბლიკის მოედანზე

- ბოლო წლების განმავლობაში ეს ჩვენი ნაკრების უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო. თამამად შემიძლია დღევანდელი მოგება 1979 წელს "ლივერპულთან" ჩვენი "დინამოს" მოგებას შევადარო. მაშინ ლივერპულში 1:2 წავაგეთ და ყველას გვჯეროდა, რომ ინგლისელებს შინ დავამარცხებდით და 3:0 მოვუგეთ. სწორედ ასე იყო ამჯერადაც. გლაზგოში კი დავმარცხდით, მაგრამ ყველას გვჯეროდა, რომ თბილისში შოტლანდიას დავამარცხებდით. ჩვენ ეს შევძელით... და შევძელით იმ გუნდით, რომელსაც არაერთი წამყვანი ფეხბურთელი აკლია. დღევანდელ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს 17 წლის ფეხბურთელებმა. მჯერა და ყველას გვჯერა, რომ ჩვენი ნაკრები კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებით გაგვახარებს, - მატჩის შემდეგ გასახდელში ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ეროვნულ გუნდს.

**დავით სირაძე:**

- გამარჯვებას მაქსიმალური მობილიზებისა და სწორი თამაშის ხარჯზე მივაღწიეთ. შოტლანდიელებიც ბევრს ცდილობდნენ გოლი გაეტანათ, მაგრამ მათ ამისი საშუალება არ მივეცით. ჩვენმა დაცვამ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. ყველანი ბედნიერები ვართ, რომ ხალხის, მთელი საქართველოს გახარება შევძელით.

**- მე-7 მატჩი ნაკრებში და მე-4 გოლი. ჩინებული შედეგია...**

- კვირკველიამ კარგი პასი მომცა და ერთი შეხებით შევაგდე. ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავახარებთ ხალხსა და ქვეყანას.

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

- გახარებული, კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ყველამ მართლაც ჩინებულად ვითამაშეთ და მომდევნო მატჩებშიც ასე უნდა გავაგრძელოთ.

**გიორგი შაშიაშვილი:**

- მონდომების ხარჯზე ლიდერი დავამარცხეთ. იმ გუნდს მოვუგეთ, რომელმაც საფრანგეთი ორჯერ დაამარცხა. თავისთავად დღევანდელი გამარჯვება ძალიან კარგი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ გამოჩნდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები და ხალხს იმედი ჩაესახა, რომ კარგი თაობა მოდის.

**ლევან ყენია:**

- ყველა მონდომებულები ვიყავით. ძალიან გვინდოდა მოგება და პირველმა გოლმა დიდი სტიმული მოგვცა.

**- ხვალინდელი დაბადების დღისთვის ეს მოგება ჩინებული საჩუქარია.**

- დიახ, 18ოქტომბერს ჩემი დაბადების დღეა. ნაკრებში ეს ჩემი მესამე მატჩი იყო. დღეს უფრო უკეთ ვითამაშე, ვიდრე წინა შეხვედრებში. მომდევნო მატჩებში უფრო მეტს გავაკეთებ.

**ლევან მჭედლიძე:**

- ძალიან ბედნიერი ვარ. ეროვნულ გუნდში მეორე მატჩი ვითამაშე. იტალიაში არ წამივიდა თამაში, დღეს კი კარგად წარმოვჩნდი და მთავარ ნაკრებში პირველი გოლიც გავიტანე. ამ გამარჯვებას მთელ საქართველოს ვუძღვნი და ვულოცავ.

**- როგორც გავიგეთ, იტალიიდან დაგირეკეს, "ემპოლიმ" დაბრუნება გთხოვა...**

- დიახ, დამიკავშირდნენ და ემპოლიში ჩასვლა მთხოვეს. მათ უნდათ, რომ კვირას 21 ოქტომბერს ვითამაშო. მე კი მინდა რომ დავრჩე და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს დავეხმარო.

**მალხაზ ასათიანი:**

- მთელმა გუნდმა კარგად ვითამაშეთ. ერთმანეთს ვაზღვევდით და ვეხმარებოდით. სწორედ ასეთი თამაშით იყო მეტოქე შანსი რომ არ დავუტოვეთ...

ფეხბურთელებმა ეროვნული სტადიონი მალევე დატოვეს. ნაკრების ავტობუსს მწვრთნელებთან ერთად, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამაც მიაშურა. ყველა ერთად კი რესპუბლიკის მოედნისკენ გაეშურა, სადაც დედაქალაქის მერიამ მოგების აღსანიშნავად სახელდახელო კონცერტი და ფოიერვერკი მოაწყო.

- ჩვენ ამ გამარჯვებას ველოდით. ჩვენ ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. ჩვენ შევძელით და ჯგუფის ლიდერი შევცვალეთ. ეს მოგება, ჩვენი გარჯისა და მუშაობის შედეგი გახლავთ. დღეს სრულიად საქართველომ გაიხარა, ხალხმა გაიხარა. ეს ხალხი ამ სიხარულს ნამდვილად იმსახურებს, - აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა**.

ყველასთან ერთად ხარობდა ეროვნულის თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი**:

- ეს ფანტასტიკური მატჩი იყო და საერთოდ ფანტასტიკური დღეა. ჩვენ გვიყვარს ეს ქვეყანა და ბედნიერი ვარ რომ ხალხი გავახარეთ. ეს ფეხბურთია, ამდენი და უფრო მეტი შეუძლია ფეხბურთს. მთელი ქვეყანა ხარობს და კიდევ არაერთხელ გავახარებთ. წინ, საქართველო!

00:10 სთ-ზე ახალკაცმა მიკროფონთან **ლევან ყენია** იხმო, 18 ოქტომბერი დაიწყო და მას დაბადების დღე მიულოცა.

**დავით ცაბაძე**

# მომავლის სამეული და ქება მთელ გუნდს

## მაკლიშს სწრაფი ქართველები გაუკვირდა, კლაუსმა შოტლანდიას გამარჯვება უსურვა

მატჩისშემდგომპრესკონფერენციაზე პირველად **ალექს მაკლიში** მოვიდა. შოტლანდიის ნაკრების თავკაცი ბუნებრივია, უხასიათოდ იყო, მაგრამ ყველა შეკითხვას ვრცლად უპასუხა. დეტალებს აღარ ჩავუღრმავდებით და მისი საუბრიდან საინტერესო ეპიზოდებს შემოგთავაზებთ.

- საქართველოს ნაკრების უპირატესობა საწყისი წუთებიდანვე გამოიკვეთა. გონს მოგვიანებით მოვეგეთ, მაგრამ ამ დროს უკვე გოლი გვქონდა მიღებული. საერთო ჯამში, მატჩის შედეგი ლოგიკურია, თუმცა პირველ ტაიმში მსაჯმა აშკარა პენალტი არ დაგვინიშნა. ჩვენი სუსტი თამაშის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საკადრო პრობლემებია. ტრავმების გამო, ორი წამყვანი ფიგურა, გარი ნეისმიტი და ლი მაკკალოხი გვაკლდა, მათი სათანადოდ შეცვლა ვერ შევძელით.

**- საქართველოს ნაკრებისგან ასეთ კარგ თამაშს თუ ელოდით?**

- ნამდვილად არ გამკვირვებია. ამ გუნდს კარგი ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც ნებისმიერი მეტოქისთვის შეუძლიათ ხიფათის შექმნა. ქართველთაგან ვერავის გამოვყოფ, მთელმა გუნდმა უმაღლეს დონეზე ითამაშა. ერთადერთი, ის გამიკვირდა, რომ მეტოქემ მისთვის უჩვეულოდ სწრაფ ტემპში ითამაშა.

**- იტალიის დამარცხება რეალურად მიგაჩნიათ?**

- დიახ, ეს სავსებით რეალური ამოცანაა. მთელ შოტლანდიას სჯერა ევრო 2008-ზე მოხვედრის, საამისოდ კი ერთი დიდი ნაბიჯი უნდა გადავდგათ. ჩვენი მთავარი კოზირი საკუთარ კედლებში თამაშია.

მაკლიში დაგვემშვიდობა და მალე დარბაზში კლაუს ტოპმიოლერიც შემოვიდა ნოდარ ახალკაცისა და ფეხბურთის ფედერაციის სხვა ხელმძღვანელთა თანხლებით. ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს თარჯიმნობა ახალკაცმა გაუწია.

- ვულოცავ ამ გამარჯვებას ქართველ გულშემატკივრებს, მთელ ქვეყანას. გუშინ როცა, პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ კარში მაკარიძე უნდა ჩამეყენებინა, ბევრმა გაკვირვება ვერ დამალა, თუმცა მან ყველას დაუმტკიცა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. გიორგიმ ასაკისთვის შეუფერებლად მშვიდად და აუღელვებლად ითამაშა. 17 წლის მაკარიძე და მისი თანატოლები, ყენია და მჭედლიძე ქართული ფეხბურთის მომავალია. ისინი ეროვნულ ნაკრებს ეტაპობრივად უახლოვდებოდნენ და დღეს უკვე მისი სრულუფლებიანი წევრები არიან. მათ თამამად ვენდეთ და შედეგად, ამ ბიჭებისა და გუნდის სხვა წევრების მონდომებით, ძლიერ მეტოქეს ვძლიეთ. მთელმა გუნდმა უმაღლეს დონეზე ითამაშა, მაკარიძე-ყენია-მჭედლიძის სამეულის გარდა, ასათიანი-ხიზანიშვილის წყვილისა და კანკავას ნაყოფიერ თამაშს გამოვყოფდი.

შოტლანდიის ნაკრები საკმაოდ კარგად გვყავდა შესწავლილი, ვიცოდით, რომ მეტოქე ან 4-4-2 სისტემას გამოიყენებდა, ანაც 4-3-3-ს. ერთი სიტყვით, მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისთვის მზად ვიყავით და ბიჭებმა დაკისრებულ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვეს. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და შოტლანდიის ნაკრებს გლაზგოში იტალიასთან წარმატებებს ვუსურვებ.

დღევანდელი შემადგენლობის მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, უამრავი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. ალბათ, ტრავმებს ვერც მომავალში ავცდებით, გვექნება წარმატებული და წარუმატებელი მატჩები, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სწორი გზით მივდივართ და უახლოეს პერიოდში გაცილებით უკეთეს შედეგებს მივაღწევთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



### ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება

# არგენტინაში,

## დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.


დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ახალი სპონსორი

# ნაკრებს მადნეული დააფინანსებს

## სამწლიანი კონტრაქტი იანვრიდან იწყება

მომავალი წლიდან საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ახალი გენერალური სპონსორი ეყოლება - სააქციო საზოგადოება "მადნეული". სამწლიანი ხელშეკრულება ამ ფირმასა და ფეხბურთის ფედერაციას შორის გუშინ გაფორმდა.

გუშინ ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. მასმედიის წინაშე ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე, "მადნეულის" გენერალური დირექტორი კობა ნაყოფია და აღმასრულებელი დირექტორი მანუჩარ ახალაია წარდგნენ.

### ნოდარ ახალკაცი

- დღეს ქართული ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა. ეროვნულ ნაკრებს ჰყავს გენერალური სპონსორი, ეს სააქციო საზოგადოება "მადნეულია". პარტნიორობა 2008-2010 წლებს მოიცავს. სამი წლის განმავლობაში, ეროვნული ნაკრები 1.4 მილიონ დოლარის ეკვივალენტს მიიღებს ლარებში. "მადნეულის" მხრიდან ეს სწორი და გაბედული ნაბიჯია. დღეს ქართულ ფეხბურთს და დახმარება სჭირდება. ქართული ფეხბურთი ძველ დიდებას დაიბრუნებს და მერე არაერთ კომპანიას გაუჩნდება სპონსორობის სურვილი. მართალია, კონტრაქტი 2008 წლიდან შედის ძალაში, მაგრამ პარტნიორობა უკვე დაიწყო. იტალიიდან ჩვენი ნაკრების ჩარტერული რეისით ჩამოყვანა სწორედ სააქციო საზოგადოება "მადნეულმა" უზრუნველყო და ამისთვის დიდად მადლობელნი ვართ. ფეხბურთის ფედერაცია "მადნეულს" სპონსორობის სრულ პაკეტს სთავაზობს. მჯერა, ჩვენ ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევთ.

### კობა ნაყოფია

- მადლობელი ვარ ფეხბურთის ფედერაციის და პირადად ნოდარ ახალკაცისა, ჩვენი თანამშრომლობა რომ შედგა. ეს მთლიანად ჩვენი ინიციატივა იყო, ეროვნული გუნდის თამაშს თვალს ვადევნებთ, კარგად ვხედავთ ქართულ ფეხბურთში განხორციელებულ ცვლილებებს. ჩვენი თანამშრომლობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში სხვადასხვა მიმართულებითაც ვაპირებთ ღონისძიებების გატარებას. მართალია, ამჟამად ჯგუფში საქართველოს ნაკრები შედეგებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ისიც კარგად ვიცით იტალიის, საფრანგეთის, უკრაინისა და შოტლანდიის სახით რა დონის მეტოქეები გვყავს. ვხედავთ, რომ ნაკრებში პროგრესია და გვჯერა, მომდევნო შესარჩევ ციკლში ჩვენს ეროვნულ გუნდს ბევრად უკეთესი შედეგები ექნება.

ერთსაც აღვნიშნავდი. თუ საქართველოს ნაკრები მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს, "მადნეული" დაფინანსებას გაზრდის. ვიმედოვნებ, ჩვენი პარტნიორობა ეროვნული გუნდისთვის შედეგიანი და წარმატებული იქნება.


გოგი ქავთარაძე, ნოდარ ახალკაცი და კობა ნაყოფია
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### გოგი ქავთარაძე

- ბატონმა კობა ნაყოფიამ სწორედ აღნიშნა, ჩვენი ნაკრები შედეგებითა და დაკავებული პოზიციით ვერ დაიკვეხნის. თუმცა "მადნეულმა" დაინახა პროგრესი სასიკეთო ძვრები ეროვნულ ნაკრებსა თუ ზოგადად ქართულ ფეხბურთში და ეს ნაბიჯი გადადგა. მათი ინიციატივა ამ ვითარებაში ერთობ დასაფასებელია. ასეთი მასშტაბებისა და შესაძლებლობების მქონე გენერალური სპონსორი ჩვენს ნაკრებს ნამვილად არ ჰყოლია. ეს მართლაც ისტორიული დღეა.

*ამის შემდეგ უკვე ნოდარ ახალკაცს დაუსვეს კითხვები*

**- სამი წლის განმავლობაში ეს 1,4 მილიონი როგორაა გადანაწილებული?**

- პირველ წელს, 2008-ში ნაკრები 400 ათასი დოლარის ეკვივალენტს მიიღებს ლარებში, მომდევნო ორ წელიწადში კი 500-500 ათასს.

**- რატომ არ შედგა იოზეფ ბლატერისა და მიშელ პლატინის ვიზიტი და როდისთვის გადაიდო?**

- გუშინ საღამოს პირადად დამიკავშირდა ბლატერი და მაცნობა, რომ საგანგებო თათბირის გამო წყვეტს ვიზიტს სომხეთსა და აზერბაიჯანში. მსგავსი შემთხვევა ძალზე იშვიათია. ნუხელვე, ფიფასა და უეფას პრეზიდენტებისგან წერილობითი დასტურიც მივიღე, რომ საქართველოში მათი ერთობლივი ვიზიტი უახლოეს მომავალში შედგება. ზუსტი თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**დავით ცაბაძე**

მეტოქეები

# საფრანგეთი პირველია, ანრი რეკორდსმენი

**საფრანგეთი-ლიტვა 2:0**

1:0 ანრი (80), 2:0 ანრი (81)

საფრანგეთი: ლანდრო, აბიდალი, გალასი, ტიურამი, ლ. დიარა (69. ბენ არფა), მაკელელე, ტულალანი, ბენზემა, ანრი, მალუდა, რიბერი.

ლიტვა: კარჩემარსკასი, დედურა, კლიმავიჩიუსი, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, კალონასი (63. სავენასი), კსანავიჩიუსი (77. ლაბუკასი), კუცისი (84. ველიჩკა), მორინასი, დანილევიჩიუსი, იანკაუსკასი.

მაყურებელი: 38 000

ლიტვამ 78-ე წუთამდე ანერვიულა საფრანგეთი. **ანდრიუს კსანავიჩიუსმა** კი პირველ ტაიმში **მიკაელ ლანდროს** ცაციათი ისეთი ჩაუბზრიალა, ალბათ ვერც ერთი მეკარე ვერ აიღებდა - ბურთი ძელმა აისხლიტა. საგოლე მომენტები ფრანგებსაც ჰქონდათ, თუმცა ბევრი არა. მათგან **ფლორენ მალუდასი** იყო გამორჩეული, რომელმაც ხარიხა შეაზანზარა.

**ტიერი ანრიმ** პირველი გოლი შეცვლაზე შესული **ჰატემ ბენ არფას** პასით შეაგდო - ლიტვის მეკარე **ჟიდრუნას კარჩემარსკასს** ბურთის მოგერიებაში რიკოშეტმაც შეუშალა ხელი.

მეორე საგოლე პასი ანრის **ჟერემი ტულალანმა** გაუქრა - ბარსელონელი მეკარესთან პირისპირ დარჩა და გატანა არ გასჭირვებია.

გუშინდელი დუბლით ანრი რეკორდსმენი შეიქნა - 43 სანაკრებო გოლი დაუგროვდა, უწინდელი რეკორდი კი **მიშელ პლატინის** ეკუთვნოდა - 41 გოლი.

**უკრაინა-ფარერები 5:0**

1:0 კალინიჩენკო (40), 2:0 გუსევი (43), 3:0 გუსევი (45), 4:0 კალინიჩენკო (49), 5:0 კალინიჩენკო (64)

უკრაინა: პიატოვი, ჩიგრინსკი, ნესმაჩნი, რუსოლი, გაი, გუსევი (62. ვორობეი), კალინიჩენკო, ნაზარენკო, ტიმოშჩუკი (69. გრიცაი), გლადკი (46. მილევსკი), ვორონინი.

ფარერები: მიკელსენი, დანიელსენი, ე. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ი-რ. იაკობსენი, დავიდსენი, ტომასენი, ჰოლსტი (75. ფლოტუმი), კ-ჰ. იაკობსენი (89. სამუელსონი), რ. იაკობსენი, სამუელსონი.

მაყურებელი: 3 000

ფარერებს ქულა არ ჰქონდა მოპოვებული და რატომ არ უნდა ნაეგო უკრაინასთანაც? ამის წინაპირობა არ არსებობდა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო.

უკრაინას არ ჰყავდა **ანდრეი შევჩენკო და რუსლან როტანი**, თუმცა მათ გარეშეც იოლად მოუგრიხა კისერი ფარერელებს, რომელთაგან სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო.

უკრაინელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს დანარჩენი ექვსი ფარერელის პროფესიაც - მასწავლებელი, სტუდენტი, თევზის გადამამუშავებული ქარხნის მენეჯერი, პოლიციელი, ბარის მფლობელი და დურგალი.

სამი ქულის გარდა უკრაინისთვის ალბათ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ისიც, რომ ამ მატჩამდე გატანილ-გაშვებული ბურთების უარყოფითი ბალანსი ჰქონდა და ფარერების დახუთვის შემდეგ დადებითი გაუხდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-3 | 25 |
| 2. შოტლანდია | 11 | 8 | 0 | 3 | 20-10 | 24 |
| 3. იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17-7 | 23 |
| 4. უკრაინა | 10 | 5 | 1 | 4 | 16-12 | 16 |
| 5. ლიტვა | 10 | 3 | 1 | 6 | 7-13 | 10 |
| 6. საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16-17 | 10 |
| 7. ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3-40 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი**

ლიტვა-უკრაინა

შოტლანდია-იტალია

**21 ნოემბერი**

იტალია-ფარერები

საქართველო-ლიტვა

უკრაინა-საფრანგეთი


ტიერი ანრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ დავით მუჯირთან

# ასეთ მდგომარეობაში შანსი არ გვქონდა

ლეგიონერები ყველა წარუმატებელ გუნდში დაბალი ღობეა. მოგება ყველას ახარებს, წაგებას კი ლეგიონერთა გასაკრიტიკებლად იყენებენ.

ასე მოიქცა სამარის "კრილია სოვეტოვის" მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი. ახლა გუნდს ძალიან უჭირს და მიზეზების ანალიზი რომ სთხოვეს, ტარხანოვმა ხელი უცხოელებისკენ გაიშვირა. "გუნდში ცოტა რუსია, რომლებიც ყოველთვის მონდომებით თამაშობენ. ყველა უცხოელს პრეტენზიას ვერც წავუყენებ. მაგალითად, ესკობარს, ბუტსა და კინტეროს. უმრავლესობას თამაშის ჟინი არ ეტყობა.

ამასთანავე, არის სხვაგვარი პრობლემაც, რომელიც დავით მუჯირს ეხება. ის სანაკრებო შეკრებებზეა წასული და არ ვიცი, იქ როგორ ივარჯიშებს. დამირეკა და მითხრა, რომ ტრავმირებულია და იტალია-შოტლანდიასთან ამიტომ ვერ ითამაშა. გამოდის, როცა ჩამოვა ის კვლავ არ იქნება ოპტიმალურ ფორმაში. გავარკვევ, შეძლებს თუ არა ძირითადში თამაშს", - განუცხადა ტარხანოვმა "სამარსკი ფუტბოლს".

როგორც ამ კომენტარიდან გავარკვიეთ, "კრილიას" კაპიტანი თბილისშია და მას ინტერვიუ ჩამოვართვით.



დავით მუჯირი

**- დათო, წლეულს ტრავმებმა ძალიან გაგაწვალა.**

- სულ ორჯერ დავშავდი და ტრავმა დიდ პრობლემას არ მიქმნიდა, შემდეგ ფორმის ალსადგენად მჭირდებოდა დრო და ეს იყო მთავარი პრობლემა.

**- ახლა რა მოგივიდა?**

- ბოლო ტურში "ყუბანის" ფეხბურთელმა ჩამარტყა, ფეხი საკმაოდ მტკივა. ნაკრების ექიმმა მითხრა, რომ მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დავიწყებ ვარჯიშს. მომავალ ტურსაც ვერ ჩავატარებ.

**- უკრაინასთან ტოპმიოლერმა არ მიგიწვია და გუნდისადმი ზერელე დამოკიდებულებაც დაგაბრალა. ყოველ შემთხვევაში, მისი საუბრიდან ასე გამოდიოდა. ვიცით, რომ მას თბილისშიც შეხვდი...**

- დიახ, შევხვდი და დასამალიც არაფერია. მან ლუქსემბურგის შემდეგ პრესკონფერენცია ჩაატარა და თქვა, რომ რამდენიმე მოთამაშე გუნდის ინტერესებს გულგრილად მოეკიდა და მათ აღარ მიიწვევდა. ძალიან გამიკვირდა, რომ სიაში აღარ ვიყავი. ისე გამოვიდა, თითქოს ნაკრებში სხვათა შორის ჩამოვდიოდი.

ამას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი და ტოპმიოლერსა და ახალკაცს პირადად შევხვდი. უსიამოვნოა, ასეთი განცხადების შემდეგ ბევრი ჩათვლიდა, თითქოს მართლა გულგრილად ვარ ნაკრებისადმი განწყობილი.

მქონდა ფაქტები, რომლითაც საპირისპიროს დავუმტკიცებდი. ლუქსემბურგში სამი კვირის უვარჯიშებელი ჩავედი, როდესაც "კრილიას" ექიმმა ნაკრებში გამგზავრება ამიკრძალა, ტრავმა მოშუშებული არ მქონდა.

**- სხვათა შორის, ნაკრებში შენი ახლანდელი უთამაშებლობის რეალური მიზეზები ვერ გავიგეთ. ტოპმიოლერმა თქვა, ტრავმირებულია და ამიტომ არ მოვიწვიეო. ტარხანოვი ინტერვიუში ამბობს, თბილისიდან შემატყობინა, შეკრებაზე ტრავმა მიიღოო. რა ხდება?**

- არაფერიც არ ხდება, ტრავმა რუსეთში, თამაშის დროს მივიღე და იტალია-შოტლანდიასთან გუნდს ამიტომ ვერ დავეხმარე. ძალიან კი მინდოდა თამაში, მაგრამ რაღას ვიზამ.

ტარხანოვს, ეტყობა ჰგონია, რომ ტრავმა თბილისში მივიღე, რადგან თამაშის შემდეგ გამოვფრინდი და მას ეს ამბავი ტელეფონით ვუთხარი.

**- ნაკრებში ტოპმიოლერმა ბევრი გამოუცდელი ახალგაზრდა შეკრიბა. შენი აზრი მათ თაობაზე...**

- თუკი ნიჭიერი ბავშვები გამოჩნდებიან, ერთი მხრივ, ამ პროცესს მივესალმები კიდეც. ტალანტს გასაქანი უნდა მისცენ და რაც შეიძლება ნაადრევად.

თუმცა, მეორე მხრივ, გუნდის გაახალგაზრდავებას ზომიერება სჭირდება. მათ ყველაფერი ემოციურად ამახსოვრდებათ. იმდენი უნდა ითამაშონ, რომ არ დაითრგუნონ.

მაგალითად, იტალიასთან მჭედლიძემ და ყენიამ რომ ითამაშეს, ვნერვიულობდი, ვგულშემატკივრობდი ამ ბიჭებს. მათ შოტლანდიასთანაც შეუძლიათ თავის გამოჩენა. იმედია, ნდობას ნელ-ნელა გაამართლებენ. საქართველოში მაღალი კლასის მოთამაშეთა დეფიციტი აშკარაა და იმედია, ყენია, მჭედლიძე და მაკარიძე ძლიერ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდებიან. თუმცა ვიმეორებ, მათთან დიდი სიფრთხილეა საჭირო.

**- საქართველოს ნაკრები ყოველთვის აგებდა. წარმატებით პირველ ხანებში თუ გვახარებდა, მერე დაიწყო ჩავარდნა, მაგრამ ადრე წაგებულ შეხვედრებში ინგლისთან, გერმანიასთან, იტალიასთან მომენტებს მაინც ვქმნიდით. ახლა ესეც სანატრელია. შენ თავად ამას რას მიაწერ?**

- შეუძლებელია, ნაკრებს არ დატყობოდა წამყვანი ფეხბურთელების არყოფნა. ასეთი კატასტროფული ვითარება არც ერთ შესარჩევ ციკლში არ ყოფილა. ჩვენ არც ერთი თამაში ოპტიმალური შემადგენლობით არ ჩაგვიტარებია. რომელ შედეგზე და მომენტებზეა ლაპარაკი. კალაძე, კობიაშვილი, არველაძე რომ დაგვაკლდა, პრობლემები უცებ დაგვეტყო. მათი შემცვლელები უცებ კი არა, შეიძლება, დიდი ხანი ვერ ვნახოთ.

მერაბ მამულაშვილი



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს წლევანდელ ევროშესარჩევში ხელი მოეცარა, 21-წლამდელებმა კი გუშინწინ ყაზახეთთან 1:4 წააგეს და ჯგუფში ბოლო ადგილზეა, 19-წლამდელები კი დღეიდან დაიწყებენ შესარჩევის ელიტრაუნდს - ასაკობრივი ნაკრებებიდან მხოლოდ მათ შერჩათ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი.

ხოლო იმაზე, რაც 21-წლამდელთა ნაკრებში ხდება, კომენტარი გია გეგუჩაძეს ვთხოვეთ, თბილისის "დინამოს" ყოფილ მწვრთნელს, ვინც ახლა "გაგრაში" მუშაობს სპორტულ დირექტორად.

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# საჭიროა ცვლილებები

**- როგორც სპეციალისტი, რას იტყოდით ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების გამოსვლაზე მიმდინარე შესარჩევში?**

- გუნდი ბოლო ადგილზეა და არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც სპეციალისტი იყო, სიტუაცია რომ შეაფასო. ფაქტია, ცვლილებების განხორციელება აუცილებელია.

**- მიგაჩნიათ, რომ მწვრთნელის შეცვლა გამოსავალი იქნება? თუ არადა, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს?**

- თუ ეროვნულ ნაკრებში ვითარება რთულია და ჩახლართული, მაღალი კლასის ფეხბურთელების დეფიციტია, ასაკობრივ ნაკრებებში სხვა სიტუაციაა. 21-წლამდელთა ნაკრებისთვის მოგვეპოვება ისეთი რესურსი, რომ ასეთ მდგომარეობაში არ ვიყოთ. საქმე სხვანაირად უნდა გაკეთდეს. ფაქტია, რომ შედეგი კატასტროფულია.

**- 21-წლამდელთა ნაკრებში მიმდინარე სექციზე რას იტყოდით? ფიქრობთ, რომ ვინმე იჩაგრება და საუკეთესოებს არ იძახებენ ნაკრებში?**

- ვფიქრობ, სელექციაშიც არის ხარვეზები. რაც შეეხება გუნდის მომზადებას, საქმეში ჩახედული არ ვარ და კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მეტი შეუძლია.

**- იქნებ სელექციურ ხარვეზებზე გვითხრათ კონკრეტულად. და საერთოდ იმ ვითარებაზე, რაც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშია...**

- ჩვენმა 17-წლამდელთა ნაკრებმა შარშან, თბილისში რომ ითამაშა ევროშესარჩევში, შეძლოთ, ჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებინა, საამისო რესურსი გუნდს ნამდვილად ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჭაბუკების მეტოქეები გერმანია და რუსეთი იყვნენ. რაც შეეხება სელექციას, მიმაჩნია, რომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ვერ ხვდება ამა თუ იმ ასაკობრივ ნაკრებში. არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ლევან ყენიას ხან 19-წლამდელებში ათამაშებენ, ხან ახალგაზრდულში და ხან ეროვნულში.

**- კონკრეტულად 21-წლამდელთა ნაკრების თემას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, ამ ასაკში არ არის დიდი განსხვავება ევროპელ და ქართველ ფეხბურთელებს შორის, როგორც ტაქტიკურ, ისე ფიზიკურ მომზადებაში?**

- მნიშვნელოვან განსხვავებას ვერ ვხედავ. საქართველოში უკვე არის რამდენიმე გუნდი, გამართულ ფეხბურთს რომ თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, ყაზახეთს ახალგაზრდა ფეხბურთელების რესურსით ნამდვილად არ ჩამოვრჩებით, თუ არ ალვემატებით.

**- ვერ ხედავთ დიდ სხვაობას ქართველ და ევროპელ ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის - ამისი თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

- ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული 23 ფეხბურთელიდან 13 ჩემს ხელშია გავლილი და მათი შესაძლებლობები ძალიან კარგად ვიცი.

დავით თავართქილაძე




# ფოცხვერია არ დაბრუნებულა

ორიოდე დღის წინათ, უკრაინულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია ერთ-ერთი საკონტროლო შეხვედრის შესახებ. ლუგანსკში "ზარიამ" დონეცკის "მეტალურგს" უმასპინძლა.

ყველაზე საინტერესო მოედანზე **მიხეილ ფოცხვერიას** გამოჩენა იყო. მან 18 წუთი ითამაშა და ბუნებრივია, მივიჩნიეთ, რომ ის ხუთწლიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა.

ინფორმაცია სარწმუნოდ იმიტომაც გვეჩვენა, რომ ზაფხულში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და დონეცკის "შახტარის" ყოფილი თავდამსხმელის შესახებ გვაცნობეს - მიშამ ვარჯიში დაიწყო და თუკი ფორმას ალიდგენდა, უკრაინის უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბთან მოლაპარაკებებს დაიწყებდა.

ის ლუგანსკშია გაზრდილი, "ზარია" მისი მშობლიური კლუბია. რა გასაკვირია, ფოცხვერიას ფეხბურთში დაბრუნება სარწმუნოდ რომ ჩათვალეთ.

თურმე, საქმე ცოტა სხვაგვარად ყოფილა. გუშინ "ზარიას" მცველ **გიორგი ციმაკურიძეს** დავუკავშირდით, რომელმაც ზუსტი ამბავი გვითხრა.

ქალაქში "ზარიას" საიუბილეო თარიღი აღნიშნეს. გუნდი 35 წლის წინათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, რაც იმ დროისთვის უდიდესი სენსაცია გახლდათ და, ფაქტმა პატარა, პროვინციული ქალაქის ისტორია გაალამაზა. მიშა ფოცხვერია კი ქალაქის ლეგენდებთან ერთად მიიწვიეს. ეს კი უკრაინულ სააგენტოებს არ აღუნიშნავთ.

თუმცა გიორგის თქმით, ფოცხვერია ინდივიდუალურად ვარჯიშობს, ბოლო დროს "ზარიასთან" ერთად ემზადება და ვინ იცის, იქნებ, მაინც ითამაშოს.

ფოცხვერია ახლა 32 წლისაა და ბოლოს ლუგანსკის "ზარიაში" თამაშობდა. შემდეგ მენეჯერობას მოკიდა ხელი და ზაპოროჟიეს "მეტალურგის" სელექცია ჩააბარეს.

თუმცა გულალალი კაცისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მენეჯერის პროფესია, რომელშიც ტყუილი და გადაგდება ჩვეული მოვლენაა. მას გული ისევ მოედნისკენ მიუწევდა. გაზაფხულზე ვარჯიში განაახლა და მეგობრებისთვის ჩანაფიქრი არ დაუმალავს.

სხვათა შორის, ეს ამბავი რუსთავის "ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმაც** შეიტყო და ფოცხვერიას ჩამოყვანა გადაწყვიტა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# რას შეეწირა ანრის ოჯახური ბედნიერება?

## ბარსელონელი ვარსკვლავი ფაბრეგასის განცხადებასაც გამოეხმაურა



კლერ და ტიერი ანრები: მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო

ამ სურათზე გამოსახულია ქალბატონი, რომელმაც **ტიერი ანრი**, შეიძლება, 10 მილიონი გირვანქით აზარალოს. ეს ის თანხაა, რასაც ბარსელონელი ვარსკვლავი ყოფილ მეუღლე **კლერს** განქორწინების შემდეგ გადაუხდის. განქორწინების მიზეზი ზემოთხსენებული ლამაზმანია. მას **სედი ჰიულეტი** ჰქვია. ტიერიმ ის ერთ-ერთი კლიპის გადაღებისას გაიცნო. შემდეგ კი რომანი გააბა. სედი და ტიერი სასიყვარულო შეტყობინებებით იქცევდნენ თავს. ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონი ჰიულეტის წერილი კლერმა წაიკითხა და ქმარს წითელი ბარათი აუნთო. "სანის" მიმომხილველმა კლერის მეგობარი ინტერვიუზე დაითანხმა. აი, მეგობრის კომენტარი: *"კლერი ეჭვიანობდა. ერთხელ ტიერიმ ტელეფონი სახლში დატოვა. მან სედის შეტყობინებები წაიკითხა. მის ნომერზე გადარეკა და უთხრა, რომ ტიერის მეუღლე იყო. კლერს ტელეფონი გაუთიშეს. ტიერიმ კი იმავე საღამოს შეიტყო, რომ მისმა ცოლმა ყველაფერი იცოდა."* ცოტა ხანში ანრიმ ლონდონიდან ბარსელონას მიაშურა. ის მეუღლეს ტრანსფერამდე რამდენიმე დღით ადრე დაშორდა. ტიერისა და კლერს 2 წლის გოგონა **ტეა** ჰყავთ. ისინი ოთხი წლის წინათ დაქორწინდნენ. ანრიმ მომავალი მეუღლეც გადასაღებ მოედანზე გაიცნო. ისინი "რენო კლიოს" სატელევიზიო რეკლამაზე მუშაობდნენ ერთად.

სექტემბერში სასამართლომ დააკმაყოფილა კლერის მოთხოვნა განქორწინების თაობაზე. ანრის აწ უკვე ყოფილმა მეუღლემ სასამართლოს განუმარტა, რომ ტიერის კვლავ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა იმ ქალთან, ვის გამოც მან განქორწინება მოითხოვა. ახლა ის ყოფილი მეუღლისგან კომპენსაციას ითხოვს. კომპენსაციის მოცულობას მოსამართლე დაადგენს. კლერს ალბათ, სოლიდურ თანხას მიუთვლიან. შესაძლოა, დავა ასეც მოგვარდეს: კლერმა ტიერის თითოეული მოქმედი თუ ახალი კონტრაქტიდან გარკვეული პროცენტი მიიღოს. კომპენსაციის თაობაზე განხილვა ჯერ არ დასრულებულა. გასარკვევია პატარა ტეაზე მეურვეობის საკითხიც. ტიერიმ დახმარებისთვის სახელგანთქმულ საადვოკატო კანტორას "მიშონ დე რეინას" მიაკითხა. ეს კომპანია პრინცესა **დაიანას** იურიდიული მრჩეველი იყო. სულ ახლახანს კი **ჰიზერ მილსის** ინტერესები დაიცვა. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელმა **სერ პოლ მაკარტნისთან** განქორწინების სანაცვლოდ დაახლოებით 100 მილიონი გირვანქა მიითვალა. კლერის კომპენსაცია ამხელა ვერ იქნება, რადგან ტიერი სერ პოლივით მდიდარი ადამიანი არ არის. მისი ქონება სულ რაღაც 25 მილიონ გირვანქას შეადგენს. მასალის მომზადებისას "სანის" მიმომხილველს ხელში ჩაუვარდა კიდევ ერთი სენსაციური ინფორმაცია. სედი ჰიულეტი პერსონალურ ვებგვერდზე წერს, რომ ტიერი ანრი მისი საყვარელი კი არა, ერთ-ერთი კლიენტია (!). ცნობილ ფეხბურთელთაგან მას ინგლისის ნაკრების კაპიტან **ჯონ ტერისთანაც** ჰქონია რომანი.



ტიერი ანრის სედი ჰიულეტისთან ურთიერთობა ძვირად დაუჯდება

რაკი ტიერი ანრიზე ვსაუბრობთ, აქვე მის ერთ განცხადებასაც შემოგთავაზებთ. ბარსელონელი ვარსკვლავი მისი ყოფილი თანაგუნდელის, **ფრანსესკ ფაბრეგასის** განცხადებას ეხმაურება. "არსენალის" ნახევარმცველმა თქვა, ტიერი ძალიან გვაკომპლექსებდა, რაც ის წავიდა, უკეთ ავთამაშდითო. ანრიმ საპასუხოდ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ვაკომპლექსებდი? შესაძლოა, ასეც იყო. მე მათზე უფროსი ვიყავი, თანაც კაპიტნის სამკლაური მეკეთა. არ დაგიმალავთ, ყვირილიც ვიცი ხოლმე, მაგალითად, როცა ბურთს ვითხოვ, ან როცა თანაგუნდელის მოქმედება არ მომეწონება. მახსოვს, ხშირად ისეთ დროსაც კი მაძლევდნენ პასს, როცა სხვებზე უარეს პოზიციაში ვიმყოფებოდი. ამ თვალსაზრისით, "არსენალისთვის" დიახაც უკეთესი იყო, რომ სხვა კლუბში გადავედი."*

რომა

# სპალეტი კაპელოს ჯობია

## მანჩინი ტრანსფერს ელოდება, ჯალოროსის ისევ ემანუელსონი სურს

რომაელთა აღმასრულებელმა დირექტორმა **როზელა სენსიმ** მთავარი მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** ქებით მეცხრე ცაში აიყვანა. მან თქვა, რომ დირექტორატი სპალეტისთან გაცილებით ადვილად პოულობს საერთო ენას, ვიდრე ფაბიო კაპელოსთან: *"ყველაზე მეტად მის პროფესიონალიზმს ვაფასებთ. ნახეთ, რამდენი რომაელი ფეხბურთელია ეროვნულ ნაკრებში. ჩვენი მოთამაშეების აღიარება სპალეტის აღიარებასაც ნიშნავს. ის საუცხოოდ მუშაობს. იმედია, მასთან დიდხანს ვითანამშრომლებთ."*

**ამანტინო მანჩინის** აგენტი ვარაუდობს, რომ მის კლიენტს იანვრის ბაზარზე გაყიდიან. **ერნესტო ბრონძეტის** თქმით, მანჩინის თვითონაც ძალიან უნდა სამსახურის შეცვლა. ბრონძეტი დაინტერესებული კლუბების ვინაობას არ აკონკრეტებს. სამაგიეროდ, ასახელებს თანხას, რომელიც მანჩინის შესაძენად იქნება საჭირო - 15-17 მილიონი ევრო. კითხვაზე, რამდენად დაასუსტებს "რომას" ამანტინოს აზარგება, აგენტი დაუფიქრებლად პასუხობს, არა მგონია, დაასუსტოს. "ჯალოროსის" საუცხოო შემადგენლობა ჰყავსო.

რომაელები "აიაქსის" მარცხენა მცველით, **ურბი ემანუელსონით** დაინტერესდნენ. იტალიელებს ამ ბიჭის შეძენა აგვისტოშიც სურდათ. მაშინ ჰოლანდიელებს 8 მილიონი ევრო შესთავაზეს. ამსტერდამელებმა გარიგებაზე უარი განაცხადეს. გასულ ზაფხულს ისინი ხუთ წამყვან ფეხბურთელს გამოეთხოვნენ. ემანუელსონის გაყიდვა მეტისმეტი იქნებოდა. რომაელთა ინტერესი კი არ ცხრება. იანვრის ფანჯრის მოახლოებასთან ერთად, რომაელებიც გააქტიურდნენ. 21 წლის ფეხბურთელს იტალიაში გადასვლა სურს.

"ჯალოროსის" კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეულია "ლაციოს" ახალგაზრდა ცენტრალური მცველი **ლორენცო დი სილვესტრი**. მას "ბიანკოჩელესტესთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება. ლაციოელები ახალ ხელშეკრულებას სთავაზობენ, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობს.



რომამ ლუჩანო სპალეტი ფაბიო კაპელოზე წინ დააყენა

შოტლანდიელი გულშემატკივრები

# ყველაზე უწყინარი მთვრალი ფანები

## აი, როგორი უნდა იყოს ქომაგი!




შოტლანდიელი ფანები თბილისში მერიასთან

მთვრალი ფანი ყოველთვის ჩხუბთან და აყალმაყალთან ასოცირდება, მაგრამ არსებობენ გამონაკლისები და ეს შოტლანდიელ გულშემატკივრებზე ითქმის. ამ დღეებში, თბილისში კილტიან მამაკაცებს ხშირად შეამჩნევდით და ვინც მათ ქცევას აკვირდებოდა, აუგს ვერ იტყვის, რადგან მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სულ ნასვამები იყვნენ, არაფერი გაუფუჭებიათ. პირიქით, ქართველების მიმართ ძალიან თბილად იყვნენ განწყობილები, მეტოქე გუნდის გულშემატკივრებთან ერთად სიამოვნებით მიირთმევდნენ ლუდს, ამაყობდნენ იმით, რომ მათმა გუნდმა საფრანგეთის ნაკრებს ორივე თამაში მოუგო და სჯეროდათ, რომ როგორც არ უნდა დასრულებულიყო გუშინდელი შეხვედრა, შოტლანდია იტალიასაც გაუსწორდება და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. შოტლანდიის ნაკრებს სულ 3 000-მდე ქომაგი ჩამოჰყვა, მაგრამ ეგ რა არის, საფრანგეთში 15 000 შოტლანდიელი იყო ჩასული...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერმანელია, გუშინ მთელი გერმანია შოტლანდიას ქომაგობდა. პრესაში აშკარად იგრძნობოდა იმის სურვილი, რომ შოტლანდიელებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს, თანაც, შოტლანდიის გასვლით ხომ იტალიას ემუქრება იმის საფრთხე, რომ ჯგუფში ჩარჩეს. გერმანელებისთვის კი, მოვლენების ასეთი განვითარება ძალიან სასიამოვნო იქნებოდა - რა თქმა უნდა, გასული წლის მუნდიალის ნახევარფინალის გამო. ამიტომაც იყო, გუშინ ჟურნალმა "შპიგელმა" რომ დაწერა, ჩვენ დღეს ყველანი შოტლანდიელები ვართო. სტატია კი, შოტლანდიელ გულშემატკივრებს ეძღვნებოდა, რომელიც ხსენებული გამოცემის ჟურნალისტმა, თბილისში, შოტლანდიელ ქომაგებზე დაკვირვების შემდეგ დაწერა.

"ტარტან-არმია", როგორც შოტლანდიელი ფანები საკუთარ თავს უწოდებენ, ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა, რადგან შოტლანდიური ფეხბურთის უდიდესი პროგრესი სახეზეა. და ამ "არმიამ" მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა, ჩვენზე უკეთესი ქომაგობა არავინ დაიკვეხნოსო. სექტემბერში, საფრანგეთში მოპოვებული სენსაციური გამარჯვება საუკეთესო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა უქომაგოს ფანმა თავის საყვარელ გუნდს. 15 000 შოტლანდიელის ხმაშეწყობილი სიმღერა ნებისმიერ ადამიანს ჟრუანტელს მოჰგვრიდა, ეს მხოლოდ ისეთებს არ ეხება, ვისაც ქვის გული აქვს. ალკოჰოლი და კარგად ქცევა ერთმანეთისგან ძალიან შორს მდგომი ცნებებია, მაგრამ შოტლანდიელებმა ხაზი გადაუსვეს აქსიომას იმის შესახებ, რომ მთვრალმა ფანმა აუცილებლად უნდა იჩხუბოს, მაღაზიები დალეწოს და სისხლი დაღვაროს.

მართალია, შოტლანდიელები ძალიან ბევრს, უზომოდ ბევრს სვამენ, მაგრამ მათი პრინციპია, რომ რაც არ უნდა პროვოკატორი და უზრდელი იყოს მეტოქე გუნდის ქომაგი, ჩხუბი საკუთარი თავის შეურაცხყოფა და იმ დონემდე დაცემაა, რა დონეზეც ის პროვოკატორი ფანი დგას. მთავარია, შოტლანდიელმა ფანმა რამდენიმე ლიტრი ლუდი დალიოს და მერე ყველას მეგობარი იქნება, ყველას სიყვარულს აუხსნის. თავად განსაჯეთ, როცა 15 000-მა შოტლანდიელმა საფრანგეთი დატოვა, პოლიციამ გამოაცხადა, რომ არცერთ კრიმინალურ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი და არცერთი ფანი არ დაუკავებიათ...

თუ შოტლანდია ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, ერთი რამ მაშინათვე ცხადი იქნება: ავსტრიასა და შვეიცარიას სქოთები უმალ თავს შეაყვარებენ. დაბოლოს: დააკვირდით ამ ორ ფოტოს (Reuters): ერთი თბილისის მერიასთან, თავისუფლების მოედანზეა გადაღებული, მეორე ფოტოზე კი, ორი სქოთი მამაკაცი ქართველ მანდილოსანს უმტკიცებს, რომ შოტლანდიელი ფანები მთელს მსოფლიოში ყველაზე უწყინარები არიან...

**P.S. ბრიტანეთის საელჩო, თურმე თითოეულ ფანს ურჩევდა, თბილისის ქუჩებში კილტებით ნუ შეიმოსებით, სხვანაირი მენტალიტეტის ხალხია და შეიძლება, პრობლემები შეგექმნათო. შოტლანდიელებმა ეროვნულ სიამაყეზე უარი, რა თქმა უნდა, მაინც არ თქვეს და პრობლემაც არ შეჰქმნიათ...**

გოტფრიდ ლენცი



შოტლანდიელი ფანები ქართველ მანდილოსანს სიყვარულს უმტკიცებენ

### რატომ აწყენინეს იბრაჰიმოვიჩს?

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** განაცხადა, რომ ფიფას გადაწყვეტილებამ გული დასწყვიტა. საუბარია იმაზე, რომ შვედი ფორვარდი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ ნომინაციაზე არ წარადგინეს. *"ძალიან ნაწყენი ვარ, - აღნიშნა ზლატანმა, - ჩემთვის ყველა ჯილდო ფასეულია. ამასწინათ, საბავშვო ტელეარხმა Nickelodeon-მა რაღაც პრიზი გადმომცა და უზომო სიხარული მომანიჭა. თუმცა არა უშავს, ჩემთვის "ინტერისა" და შვედეთის ნაკრების გამარჯვებები გაცილებით მნიშვნელოვანია, ყველა დანარჩენი კი, უბრალოდ, ბონუსია".*

შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩის დარად თამაშგარეში **ფრანჩესკო ტოტიც** დატოვეს.

### ინტერს ტრიბუნა დაუხურეს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, "ჯენოასთან" X ტურის მატჩში "ინტერის" ფანების რადიკალური დაჯგუფება "კურვა ნორდის" ტრიბუნა დახურული იქნება. მიზეზი ის გახლავთ, რომ "ნაპოლისთან" ამასწინანდელი შეხვედრის დროს, "სან სიროს" ჩრდილოეთ ტრიბუნაზე მეტოქის შეურაცხმყოფელი ბანერები გადმოფინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კონტრაქტი

# დელ პიერო: გადავდგი ის ნაბიჯი, რაც საჭიროდ ჩავთვალე

**გუშინ გამცნეთ, რომ ალესანდრო დელ პიერომ "იუვენტუსთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. კლუბის გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი ამ ფაქტით კმაყოფილებას ვერ მალავს. კმაყოფილია თავად დელ პიეროც, თუმც მას გაცილებით მეტ კომპრომისზე მოუხდა წასვლა, ვიდრე თავად კლუბს...**

"ბებერ ქალბატონში" 14-წლიანი კარიერის პიკზე, **ალესანდრო დელ პიეროსა** და "იუვეს" მესვეურებს შორის ურთიერთობა ერთი თვის წინათ მოულოდნელად დაიძაბა. იტალიელი ექსპერტები გაკვირვებულები ამბობდნენ, რომ ალექსთან დამოკიდებულებაში ამგვარი ლაფსუსი ტურინული გრანდის არც ერთ წინა ხელმძღვანელს არ მოსვლია. მათ მაგალითად მოჰყავდათ **ლუჩანო მოჯის** ეპოქა, როცა კაპიტანს კონტრაქტი მაშინაც კი უპრობლემოდ გაუგრძელეს, როცა ცნობილი გახდა, რომ ტრავმის გამო მთელი 7 თვე არ უნდა ეთამაშა. აქ იყო პატივისცემა სიმბოლოს მიმართ, მაგრამ მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია "იუვეს" დღევანდელი უფროსობის პოზიციაც - დელ პიერო წარმავალი ფიგურაა, ამხელა ხელფასს ვერ გადავუხდით და სჯობს, ამ ფულის ნაწილით ახალგაზრდები წავახალისოთო...

რაც შეეხება კომპრომისს, რომელიც თავშივე ვახსენეთ. დელ პიერო იმთავითვე წინააღმდეგი იყო ხელფასის შეკვეცის. შარშან, როცა "იუვენტუსს" სერია B-ში უკრეს თავი, ჯამაგირი ისედაც ყველას შეუმცირდა და ამაზე არავის უწუწუნია, მათ შორის, არც დელ პიეროს. მაშინ, დღის წესრიგში დადგა კლუბის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ელიტაში გადაუდებელი დაბრუნების წყურვილით შეპყრობილი ფეხბურთელები უფროსების მოთხოვნას გაგებით



ჟან-კლოდ ბლანი და ალესანდრო დელ პიერო

შეხვდნენ. მაგრამ ახლა, როცა "იუვენტუსი" სერია A-ში დაბრუნდა, "პინტურიკიომ" (დელ პიეროს მეტსახელი) ძველი ხელფასის აღდგენა მოითხოვა და არც თუ უსაფუძვლოდ. სწორედ ამან გამოიწვია გაუგებრობა. "სინიორა" კი თავისაზე იდგა - ანაზღაურების შეკვეცა 30 პროცენტით! კლუბმა თავისი მაინც გაიტანა, თუმც მხოლოდ ნაწილობრივ: ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გაირკვა, რომ დელ პიერო 20-პროცენტიან სეკვესტრს დათანხმდებოდა...

გუშინწინდელი მოლაპარაკებები უპრეცედენტო ფორმატით წარიმართა. დელ პიეროსა და მის ძმასთან, **სტეფანოსთან** ერთად, რომელიც ამავდროულად მისი აგენტიცაა, შეხვედრას სრული შემადგენლობით ესწრებოდა "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა. აზრთა შეჯერებას მხარეებმა ლამის მთელი სამუშაო დღე მოანდომეს. მოკლედ, გადაწყდა, რომ თანამშრომლობა კიდევ 3 წლით გაგრძელდება. 2009 წლამდე ალექსი წლიურად 4 მილიონ ევროს მიიღებს, ბოლო სეზონში კი 3.5 მილიონს. მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ კომენტარებიც გაკეთდა. აი, რა თქვა გენერალურმა დირექტორმა **ჟან-კლოდ ბლანმა**:

*"ჩვენი კლუბის მომავლისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. დელ პიეროსთან შეთანხმება "იუვენტუსის" ამბიციებისა და ფეხბურთელისადმი ნდობის დადასტურებაა, იმ ფეხბურთელისადმი, რომლის ღირებულება მარტო ამ კონტრაქტით არ განისაზღვრება. ალექსის გამოცდილება "იუვეს" კიდევ დაეხმარება. ვიცი, რომ უზომოდ კმაყოფილია კლუბის მილიონობით ქომაგიც. დელ პიერო მსოფლიო ჩემპიონია, არის პროფესიონალი ფეხბურთელის ეტალონი და, ბოლოს და ბოლოს, არის ტოპ-კლასის მოთამაშე, რომელიც, დარწმუნებულნი ვართ, "ვეკია სინიორას" მდიდარ ისტორიაში ახალ ფურცელს დაწერს".*

დელ პიერომ კი აღნიშნა, რომ ახალი ხელშეკრულება მისი კარიერისა და საერთოდ, ცხოვრების გადამწყვეტი არჩევანია: *"დღეს გადავდგი ის ნაბიჯი, რაც საჭიროდ ჩავთვალე, არამარტო ჩემთვის, არამედ კლუბისთვისაც. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია ჩემს კარიერაში და, ვიტყოდი, ცხოვრებაშიც. "იუვენტუსმა" იმდენი რამ მომცა, მზად ვარ, კიდევ ვემსახურო ამ კლუბს და მასთან ერთად ახალი ტიტულები მოვიგო. მოლაპარაკებები რთული იყო, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი რამაა. აქვე, მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ, ჩემს წარმომადგენელთან ერთად, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოხსნილიყო. ახლა დამშვიდებული ვარ და მჯერა, რომ პროექტი, რომელიც ერთობლივად შევიმუშავეთ, ჩვენს ფანებს კიდევ მრავალ, დაუვიწყარ მომენტს აჩუქებს".*

"იუვენტუსმა" კი ოფიციალური პრესრელიზი გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ დელ პიეროს კონტრაქტი მარტო სპორტულ მხარეს არ ითვალისწინებს. აქ არის კომერციული მომენტებიც. კერძოდ, კაპიტნის იმიჯი (გნებავთ, ბრენდი) გამოყენებულ უნდა იქნას სხვადასხვა ქვეყანაში, და იქაც კი, სადაც "იუვენტუსს" თავისი კომერციული პროექტები ჯერ არ განუხორციელებია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ამაური რომას ელაპარაკება

"პალერმოს" ფორვარდი **კარვალიო ამაური** ტრანსფერისთვის ემზადება. ამას გვამცნობს მისი აგენტი **მარიანო გრიმალდი**, რომელიც "რომასა" და სიცილიური კლუბის წარმომადგენლებთან ერთად უკვე მოლაპარაკებებშია ჩართული. დიახ, სწორედ "ჯალოროსია" ის კლუბი, რომელიც ნიჭიერი თავდამსხმელის გადაბირებას აპირებს. ტრანსფერი, შეიძლება, იანვარშივე განხორციელდეს, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ეს ზაფხულში მოხდეს.

"პალერმოსთვის" ეს ფეხბურთელი ძალიან ბევრს ნიშნავს. ერთი წლის წინათ, მან მძიმე ტრავმა მიიღო და გასული ჩემპიონატის ნახევარზე მეტი მკურნალობაში გაატარა. ალბათ, ეს იყო კიდეც იმის მიზეზი, რომ კარგი სტარტის შემდეგ სიცილიურ კლუბს ხელი მოეცარა. იმ ტრავმის შემდეგ ბრაზილიელმა ჩვეული ფორმა ვერა და ვერ აღიდგინა. მიმდინარე სეზონში მას მხოლოდ 2 გოლი აქვს გატანილი.

*"კლუბებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია,* - აცხადებს გრიმალდი, - *ვფიქრობ, შეთანხმება შედგება და ეს იქნება დიდი სიამაყის საფუძველი ჩემთვისაც და, პირველ რიგში, ჩემი კლიენტისთვისაც. თავდასხმაში მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, როგორც პირველ, ისე მეორე ფორვარდად. ფრანჩესკო ტოტისთან ერთად ის გენიალურ ტანდემს შექმნის. სხვათა შორის, მათ ერთმანეთი სწორედ კლინიკაში მკურნალობის დროს გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც. ვიცი, რომ ტოტიმ მას უკვე ურჩია, "რომაში" გადასვლაზე ეფიქრა".*

რა თქმა უნდა, "პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ეს ამბები გულზე არ ეხატება. თუმცა გრიმალდის სჯერა, რომ სიცილიელ ბოსს ტრანსფერის აუცილებლობაში დაარწმუნებენ. ის შესაძლებლად თვლის, რომ გარიგების ნაწილად იქცეს "რომას" ფორვარდი **მირკო ვუჩინიჩი**, რომელიც, თავის მხრივ "პალერმოს" მიაშურებს. სხვათა შორის, იტალიური სააგენტოების ინფორმაციით, 27 წლის ამაურის ყიდვა "მილანსაც" სდომებია.



კარვალიო ამაური



სელტიკთან მატჩის დროს

ინციდენტის კვალდაკვალ

# მილანი დიდას აპროტესტებს...

## ტყუილს მოკლე ფეხები აქვს: დიდას ინტერი უადგილოდ გაახსენდა

"მილანის" მეკარე **ნელსონ დიდას** რომ უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, უკვე იცით. საქმე ეხება "სელტიკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში (რომელიც "მილანმა" 2:1 წააგო) ბოლო წუთებზე მომხდარ ინციდენტს, როცა სკოტი ფანის მოედანზე შეჭრის შემდეგ, დიდამ მისთვის ლოყაზე ხელის მოთათუნება არტისტულად გააფორმა. ის უმალ გამოეკიდა თავხედ გულშემატკივარს, მაგრამ ორ წამში მოწყვეტით დაეცა. დიდამ პროვოკაციას პროვოკაციითვე უპასუხა, მაგრამ ეს ერთობ უნიჭოდ გამოუვიდა. "მილანი" მისი საქციელით აშკარად უკმაყოფილოა, თუმც ფეხბურთელის დაცვას საჯაროდ ცდილობს. ცხადია, რომ ასეც იქნებოდა. საქმე ხომ მუნდირის ღირსებას ეხება...

"როსონერიმ" გუშინ უეფაში აპელაცია წარადგინა. "მილანის" ადვოკატი **ლეანდრო კანტამესა** ასეთ კომენტარს აკეთებს: *"ჩემი და კლუბის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა. მჯერა, რომ უეფა სასჯელს შეამცირებს. თუ ეს არ მოხდა, ჩავთვლი, რომ დავმარცხდი. ვილაცამ დაწერა, თითქოს ძალიან ვნერვიულობ, მაგრამ ეს სრული აბსურდია, საკმაოდ მშვიდად ვარ. თუ ჩემი პროფესიის ადამიანი ნერვებს ვერ აკონტროლებს, საქმეს ხარისხიანად ვერ გააკეთებს".*

დიდას ვერდიქტის სიმძიმე უეფას სადისციპლინო კომიტეტმა გარკვევით ახსნა - ფეხბურთელი მატჩის შედეგზე ზემოქმედებას ცდილობდაო. ეტყობა, მეკარეს ეგონა, რომ მასზე "თავდასხმის" გამო, არბიტრი თამაშს შეწყვეტდა, უეფა კი "სელტიკს" წაგებას ჩაუთვლიდა. ანუ, განმეორდებოდა ის, რაც მოხდა "ინტერთან" ჩემპიონთა ლიგის ოთხი წლის წინანდელ ნახევარფინალში, როცა დიდას "ნერაძურის" გულშემატკივართა ტრიბუნიდან ნასროლი პეტარდა მოხვდა და ლამის სულიც განუტევა. ცხადია, უეფას მაშინ სერიოზული არგუმენტი ჰქონდა "ინტერის" დასასჯელად. დიდას გათვლამ ვერ გაამართლა: ტყუილს მოკლე ფეხები აღმოაჩნდა...

კანტამესა კი ირწმუნება, რომ "მილანის" კიპერი ჩვეულებრივი მსხვერპლია და არა დამნაშავე: *"საჩივარში ავხსენი, რომ დიდას წინააღმდეგ გამოტანილი ვერდიქტი ფაქტის ინვერსიაა. ანუ, პირველადი მიზეზი მეორადი გახდა, რაც არასწორია და ვეცდები, ეს დავამტკიცო კიდეც. დამჭირდება თუ არა დიდა მოწმედ? რა თქმა უნდა, არა. ეს დისციპლინარებზე გავლენას ვერ მოახდენს".*

"მილანის" აპელაციას რამდენიმე დღეში განიხილავენ, გადაწყვეტილება კი ორშაბათს ან სამშაბათს გახდება ცნობილი. შეიძლება, დიდა სანახევროდ შეიწყალონ, ანუ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერთით შეუცვალონ, დანარჩენის კი ფულადი ჯარიმა დააკისრონ. ნებისმიერ შემთხვევაში, მას "შახტართან" ოთხშაბათის მატჩის გამოტოვება არ ასცდება. თუმცა ვნახოთ...

მოსალოდნელი ტრანსფერები

# იუვე და რომა ახალგაზრდებზე ნადირობენ

## სერბი ივანოვიჩი უკვე საიანვროდ? იოვეტიჩს სავიჩევიჩს შეადარეს

"აიაქსის" მარცხენა მცველი **ურბი ემანუელსონი** "რომას" თვალთახედვის არეში მოექცა. ამას თავად 21 წლის მოთამაშე ადასტურებს. ემანუელსონის თქმით, "ჯალოროსი" მის აგენტს დაუკავშირდა და აუწყა, რომ ტრანსფერში 5 მილიონ გირვანქას იხდის. ფეხბურთელი ამხელა პატივით აღფრთოვანებულია, თუმც გარიგებას, ჯერჯერობით, შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან "აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა **მარტინ ვან გეელმა** მოლაპარაკებების დაწყება კატეგორიულად იუარა.

თუმცა "რომა" იმედს არ კარგავს და ამავე დროს, ცნობილი ხდება, რომ ჩერნოგორიელ **სტევან იოვეტიჩსაც** უმიზნებს. ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ყმაწვილი 17 წლისაა. "ჯალოროსის" სკაუტებმა მას აგვისტოში დაადგეს თვალი, როცა ბელგრადის "პარტიზანისა" და "ზრინისკის" მატჩში (5:0) ჰეთ-თრიკი გააკეთა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, "პარტიზანს" "მანჩესტერ იუნაიტედმაც" მიმართა. სხვათა შორის, იოვეტიჩს "მილანის" ექსვარსკვლავ **დეიან სავიჩევიჩსაც** ადარებენ. თავის მხრივ, სავიჩევიჩმა ახალგაზრდა ფორვარდს მეტად ფასეული რეკომენდაცია გაუწია - მას მსოფლიოს ნებისმიერ კლუბსა და ლიგაში შეუძლია თამაშიო.

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ იოვეტიჩით სერიოზულადაა დაინტერესებული "იუვენტუსიც". ტურინული კლუბის წარმომადგენელი "პარტიზანის" უფროსობას ესაუბრა და ყმაწვილის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქაც შესთავაზა. ფეხბურთელს კი კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული და 7 მილიონ გირვანქად ფასობს.

"ქალბატონის" სამიზნეშია მოსკოვის "ლოკომოტივის" სერბი მცველი **ბრონისლავ ივანოვიჩიც**. "იუვე" მზადაა, მასში 10 მილიონი ევრო გაიღოს. **ჟორჟე ანდრადეს** ტრავმის შემდეგ, ტურინელები ახალგაზრდა და პერსპექტიული უკანახაზელის შეძენითაა დაინტერესებული. "ტუტოსპორტის" ინფორმაციით, "იუვენტუსმა" რკინიგზელებს უკვე ოფიციალური წინადადებითაც მიმართა. "ლოკომოტივი" თავიდან 15 მილიონს ითხოვდა, მაგრამ იტალიური მხარე დარწმუნებულია, რომ მოსკოველები დათმობაზე წავლენ. თუ შეთანხმება მოხდა, ივანოვიჩი "ბებერი ქალბატონის" მაისურას უკვე იანვრიდან მოირგებს.



ბრონისლავ ივანოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# მესის ახალი კონტრაქტი

## ერთა თასი კატალონიელებს აფრიკელ ლეგიონერებს გამოაკლებს...

მომავალი წლის იანვარში აფრიკის ერთა თასის გათამაშება დაიწყება. შავი კონტინენტის წარმომადგენლები ამ ტურნირისთვის მზადებას დღეიდან იწყებენ. ევროპული გრანდები მათ გააქტიურებას შეშფოთებით ხვდებიან. ისინი აცნობიერებენ, რომ აფრიკული ნაკრებები წამყვან მოთამაშეებს თითქმის მთელი თვით წაართმევენ. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ცუდი სიტუაცია "ბარსელონას" აქვს. კატალონიური გრანდი ერთბაშად ორ ვარსკვლავს მოისაკლისებს, **სამუელ ეტოოს** კამერუნის ნაკრები წაიყვანს, **იაია ტურეს** კი - კოტ დივუარის. **ჩიკი ბეგირისტაინი** ორივე ამ ფეხბურთელთან მეგობრობს და ალბათ, ამიტომ თავს უფლება მისცა მათთვის თხოვნით მიემართა: *"იმპერატიულად ვერავის ვერაფერს მოვთხოვთ, არ შეგვიძლია რომელიმე ფეხბურთელს ნაკრებში თამაში ავუკრძალოთ, მაგრამ ჩემი ურთიერთობებიდან გამომდინარე, გავკადნიერდები და სამუსა და იაიას თხოვნით მივმართავ, იქნებ იანვარში აფრიკის თასზე ასპარეზობისგან თავი შეიკავონ. "ბარსელონას" პრინციპული დაპირისპირებების მათ გარეშე ჩატარება სიკეთეს არ მოუტანს. გულწრფელად გეტყვით, ამის თქმა მერიდება, მაგრამ ჩემთვის კლუბის ინტერესები წმინდათა წმინდაა. იმედია, ბიჭები მოწოდებას გაგებით მოეკიდებიან."*

ტურეს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, აი ეტოომ კი "ბარსელონის" გენერალური დირექტორის თხოვნა ყურად არ იღო: *"ბეგირისტაინთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს. ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ სამუელ ეტოო პატრიოტულ მოვალეობებს არასოდეს ულალატებს. კამერუნი ჩემი სამშობლოა და თუ მას დავჭირდები, დაუფიქრებლად წავალ. ჩემი ფეხბურთით ხალხს ბედნიერებას ვანიჭებ. იაუნდესა და დუალაში ხალხი ხელისგულზე მატარებს, ქუჩაში მაჩერებენ და მეხუტებიან, ნაძირალა უნდა ვიყო, ამის ფონზე, ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი რომ ვთქვა. მოკლედ, თუ ჯანმრთელად ვიქნები და ტრავმა არ შემაწუხებს, აფრიკის თასზე აუცილებლად ვიასპარეზებ. ბეგირისტაინს პირადად შევხვდები და ყველაფერს ავუხსნი. დარწმუნებული ვარ, ჩიკი გამიგებს. პრინციპში მას არც არაფერი უბრძანებია, უბრალოდ მთხოვა, თხოვნას კი ზოგჯერ ითვალისწინებენ, ზოგჯერ არა."*

ამასობაში,"ბარსელონა" **ლეო მესის** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ რაიკაარდმა** "დიარიო სპორტს" განუცხადა, მესი ჩვენი გუნდის ლიდერიაო. ესპანელმა მიმომხილველებმა ამ კომენტარში მნიშვნელოვანი ქვეტექსტი ამოიკითხეს. ზოგიერთმა ჟურნალისტმა



სამუელ ეტოო ერთა თასზე მიემგზავრება

რაიკაარდის ნათქვამში **რონალდინიოს** დაკნინების მცდელობაც კი დაინახა. ლეო მესი დიდების ზენიტშია. გასაკვირი არ არის, რომ ბარსელონელები მას თავს ევლებიან. ახალგაზრდა არგენტინელმა კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. კატალონიელთა სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა თქვა, რომ ხელშეკრულების პირობებს აუცილებლად გადახედავენ. მისი სიტყვებით, "ბარსა" ყოველთვის საკადრის პატივს მიაგებს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდის კეთილდღეობისათვის იღწვიან. მესის საუკეთესო წლები წინ აქვს, მან ეს წლები აუცილებლად "ბარსელონაში" უნდა გაატაროს.

გუშინდელ ნომერში **ეიდურ გუდიონსენის** ამბავი გაუწყეთ. იანვრის ტრანსფერებისას თავდამსხმელს "კამპ ნოუდან" აბარგება ემუქრება. ტიერი ანრის ყიდვამ გუდიონსენის პოზიციები საბოლოოდ შეარყია. მას იტალიაში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. ამჯერად ეიდურის შესახებ განსხვავებული შინაარსის ინფორმაცია გვაქვს. გასულ უქმეებზე ისლანდიამ ჩრდილოეთ ირლანდიას უმასპინძლა და 3:0 მოუგო. ორი გოლი ბარსელონელმა თავდამსხმელმა გაიტანა. მან ნაკრებში 19 გოლს მოუყარა თავი და ისლანდიური ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. ის ეროვნული გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. აქამდე ეს ტიტული **რიკჰარდ იონსონს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1947-65 წლებში 33 შეხვედრაში 17 გოლი შეაგდო. გუდიონსენს რეკორდის დასამყარებლად 48 შეხვედრა დასჭირდა.

დორტმუნდი

# დოლი გაბრაზდა და წასვლით დაიმუქრა

## სჭირდება თუ არა ბორუსიას ფსიქოლოგი?

დორტმუნდის "ბორუსიის" მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** გაბრაზებულია იმის გამო, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა გუნდში მის მიერ მიყვანილი ფსიქოლოგი **იურგენ ლორი** გააკრიტიკეს. რამდენიმე დღის წინათ, გაზეთ "ბილდთან" საუბარში, BVB-ს გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** და სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** აცხადებდნენ, ამ ფსიქოლოგმა არაფერი გაგვიკეთა, გუნდში მის საჭიროებას ვერ ვხედავთო.

*"მიკვირს და ძალიან მწყინს ის, რომ ბოსებმა ამის შესახებ პრესაში ისაუბრეს. ვფიქრობ, ეს, პირველ რიგში, ჩემთვის უნდა ეთქვათ. რაც გუნდში ხდება, ყველაფერი ხალხის სამსჯავროზე არ უნდა გაიტანო. როცა შენივე გუნდის წევრები გაკრიტიკებენ, ე.ი. რაღაც ვერ არის წესრიგში. შესაბამისად, უკვე გუნდიდან წასვლაზე ვფიქრობ. "ბორუსია" ისედაც მძიმე მდგომარეობაშია და ასეთი რამ საჭირო არ იყო. ეს დისკუსია ძალებსა და ენერგიას გვართმევს,"* - აცხადებს დოლი.

თვითონ ლორი აცხადებს, რომ ფეხბურთელები მას იდეალურად უგებენ. *"არ მესმის, რატომ არ ვჭირდები ბოსებს? "ბაიერნში" სებასტიან დაისლერს კარგი ფსიქოლოგი რომ ჰყოლოდა, გაცილებით ნაკლები პრობლემა ექნებოდა,"* - ამბობს ფსიქოლოგი. *"იურგენი შესანიშნავად მუშაობს, გაცილებით ნაყოფიერად, ვიდრე "ჰამბურგში". აქტიური სპორტული კარიერის დროს ძალიან გახარებული ვიქნებოდი, გუნდში ასეთი კაცი რომ მყოლოდა,"* - ეს კი კვლავ დოლის სიტყვებია. მენეჯერ ვატცკეს თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, გუნდის ხელმძღვანელები თომასს მაინც ენდობიან და მის გათავისუფლებაზე არ ფიქრობენ...

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მილანს გურკუფი და შიმიჩი აღარ სჭირდება

იანვრის ტრანსფერებისას "მილანი" **იოან გურკუფისა** და **დარიო შიმიჩის** გაყიდვას აპირებს. ფეხბურთელებს თავადაც სურთ ახალი სამსახურის მოძებნა. მათ თამაშის საშუალება არ ეძლევათ, სკამზე ჯდომა კი ყელში ამოუვიდათ. გურკუფმა რამდენიმე ფრანგული კლუბის ყურადღება მიიპყრო. მისი აგენტები არ აკონკრეტებენ, ვისთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. რაც შეეხება შიმიჩს, ხორვატი მცველით "იუვენტუსი" დაინტერესდა. ტურინელებმა "როსონერის" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. გუშინდელ ნომერში **ხუან რომან რიკელმეს** შესაძლო მილანურ ტრანსფერზე ვწერდით. **კარლო ანჩელოტის** ყურადღება კიდევ ერთმა არგენტინელმა მიიპყრო. "მილანს" "ბოკა ხუნიორსისა" და არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის, **ევერ ბანეგის** შეძენაც უნდა. ბანეგი საყრდენი ნახევარმცველია. მას ბაირესელთა თავკაც **მიგელ ანხელ რუსოსთან** უთანხმოება აქვს. "ბოკამ" "რივერ პლეიტთან" სუპერკლასიკო წააგო. რუსომ მარცხი ბანეგის გადააბრალა, რითაც ფეხბურთელი უკიდურესად აღაშფოთა. იმასაც შეგახსენებთ, რომ "როსონერის" იტალიის ახალგაზრდული ნაკრებისა და "ბრეშას" მეკარის, **ემილიანო ვივიანოს** შეძენაც უნდა, რათა ის "ფიორენტინას" **სებასტიან ფრეიში** გაუცვალოს. ვივიანო ფლორენციელია. ამიტომ ამ გარიგებას სიამოვნებით დაუჭერს მხარს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სამხრეთი ამერიკა

# გამარჯვება მესისა და რიკელმეს წყალობით

**ვენესუელა-არგენტინა 0:2**

გოლები: 0:1 გაბრიელ მილიტო (16), 0:2 მესი (43)

**ვენესუელა:** ვეგა, ვალენილია (46. როსალესი), ხოსე მანუელ რეი, როუგა, ვიტალი, კიჩერო, მალდონადო, სეიხასი (53. გერა), პაესი, ხორხე როხასი (66. არისმენდი), არანგო

**არგენტინა:** აბონდანსიერი, დემიკელისი, იბარა (66. გახო), კამბიასო, ბურდისო (73. დიასი), ძანეტი, რიკელმე, ტევესი (80. დენისი), მასკერანო, მილიტო, მესი.

**ლეო მესისა** და **ხუან რომან რიკელმეს** ჯადოსნური თამაშის წყალობით "ალბისელესტემ" 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. შეგახსენებთ, შაბათს **ალფიო ბასილეს** შეგირდებმა "მონუმენტალზე" ჩილეს ნაკრებს 2:0 მოუგეს. ორივე ბურთი რიკელმეს ანგარიშზე ჩაიწერა. აღსანიშნავია, რომ რომანმა გასულ უქმეებზე სამთვიანი პაუზის შემდეგ პირველად იასპარეზა. "ვილიარეალის" მწვრთნელთან დაპირისპირების გამო, სამხრეთამერიკელი მოედანზე გასვლას ვერ ახერხებს. სათამაშო პრაქტიკის არქონის მიუხედავად, მან საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. უნდა ითქვას, რომ რიკელმემ კარაკასშიც ფანტასტიკურად ითამაშა. მართალია, გოლი აღარ გაუტანია, მაგრამ ამით სტუმართა ნახევარმცველის ღვაწლი არ მცირდება.



ლეო მესი

შეხვედრის დებიუტში ვენესუელა სერიოზულ უპირატესობას ფლობდა. მეშვიდე და მეთორმეტე წუთებზე **ხოსე მანუელ რეიმ** და **ჯანკარლო მალდონადომ** ანგარიშის გახსნის რეალური შანსები გაუშვეს ხელიდან. ორივე ეპიზოდში **რობერტო აბონდანსიერიმ** იყოჩაღა. შეშფოთებულმა არგენტინელებმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაიტანეს. შედეგმაც არ დააყოვნა. მე-16 წუთზე **გაბრიელ მილიტომ** ეფექტური თავური გოლი შეაგდო. ტაიმის მიწურულს კი მესიმ გამოზომილი ცაცია დარტყმით უპირატესობა გაზარდა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა თამაშის გადარჩენა სცადეს. ისინი დიდი ძალებით უტევდნენ. **არანგოს** სხვაობის შემცირების შანსი არაერთხელ მიეცა, მაგრამ "მალიორკის" ფორვარდს არა და არ უმართლებდა. დროდადრო "ალბისელესტეც" უმწვავეს იერიშებს აწყობდა. მესისა და რიკელმეს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, სტუმრები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ. თუმცა ალფიო ბასილე ამითაც კმაყოფილი დარჩა: *"მიხარია, რომ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოვიპოვეთ. რიკელმემ დაამტკიცა, ის არ არის ე.წ. ერთი ეპიზოდისა და გაელვების ფეხბურთელი. რომანმა დღესაც უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა. მის გარეშე ნახევარდაცვაში პრობლემებს წავაწყდებოდით. ახლა კი, მესიმ დიდებული დამხმარე იპოვა. ლეომ გასახდელში პირადად მითხრა, რიკელმესთან ერთად თამაში ერთი სიამოვნებაა, მას უსიტყვოდ ესმის, როდის რა უნდა გააკეთოსო".*



რაფაელ ვან დერ ვაარტი

# ვან დერ ვაარტი: ჩელსიში 20 მილიონად?

"ჩელსიმ" "ჰამბურგისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველ **რაფაელ ვან დერ ვაარტს** დაადგა თვალი. 24 წლის ფეხბურთელმა ბოლო შვიდ შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა. ლონდონელთა სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** ვან დერ ვაარტის ტრანსფერი პრიორიტეტად გამოაცხადა. ის ფეხბურთელის აგენტ **სიორენ ლერბიუს** დაუკავშირდა და საკუთარი მოსაზრებები გაანდო. ინგლისური ტაბლოიდების მტკიცებით, "ჩელსი" გერმანელებს 20 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. ინფორმაცია რაფაელით ინგლისური გრანდის დაინტერესების შესახებ, ერთი კვირის წინაც გავრცელდა. მაშინ თანხის შესახებ არაფერი თქმულა. "ჰამბურგის" ხელმძღვანელობა "არისტოკრატების" ოფიციალურ განცხადებას არ დაელოდა და გარიგება კატეგორიულად გამორიცხა. "ჰამბურგი" ვან დერ ვაარტს მინიმუმ სეზონის ბოლომდე არ გაყიდის. გუშინდელმა "ბილდმა" ისიც კი დაწერა, ჰამბურგელები ეცდებიან, ფეხბურთელი მომავალ სეზონშიც შეინარჩუნონო. მათდა სამწუხაროდ, 20 მილიონი ის თანხაა, რომელიც რაფაელის გერმანიაში დარჩენის ალბათობას მკვეთრად ამცირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სერხიო რამოსთან

# ბარსელონა ყველაზე ლამაზად თამაშობს

## თუმცა რეალის მცველი დარწმუნებულია, რომ ეს დროებითი მოვლენაა და მისი გუნდი კატალონიელებს აჯობებს...




**ესპანეთისა და დანიის ნაკრებების შეხვედრის შემდეგ 5 დღე გავიდა, მაგრამ პირენეულ მედიაში "სელექსიონის" გამარჯვება აქტუალობას არ კარგავს. ესპანელები რამდენიმე გარემოებით არიან მოხიბლულები. ჯერ ერთი, რომ გუნდმა უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლის შანსი საგრძნობლად გაიუმჯობესა. გარდა ამისა, დანიასთან შეხვედრაში სტუმრებმა ულამაზესი ბურთი შეაგდეს. მასშტაბური გამოკითხვის თანახმად, დადგინდა, რომ სერხიო რამოსის მიერ გატანილ გოლს გულშემატკივრები ესპანეთის ნაკრების ისტორიაში საუკეთესოდ მიიჩნევენ. ვინც ეს ეპიზოდი იხილა, დასკვნებს თვითონვე გამოიტანს. ხოლო იმათ, ვისაც საამისო საშუალება არ მისცემია, მოვახსენებთ, რომ საგოლე იერიშისას ესპანელები 65-ჯერ შეეხნენ ბურთს და ზედიზედ 28 ზუსტი პასი გააკეთეს. დაგვეთანხმებით, ლუის არაგონესის ბიჭებმა მართლაც საოცარი კომბინაცია მოაწყვეს, კომბინაცია, რომელიც სერხიო რამოსმა დააგვირგვინა. "რეალის" ახალგაზრდა მცველი ახლა ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს და სჯერა, რომ ესპანეთი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უპრობლემოდ მოხვდება.**

**- შაბათის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ თქვენი გოლი ყველაზე სასიამოვნო სასაუბრო თემად რჩება. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სერხიო რამოსის მისამართით კომპლიმენტების ნაკადული არ წყდება.**

- გამოგიტყდებით, ჩემზე ბედნიერ ადამიანად არავინ მიმაჩნია. ძალიან გამიმართლა, რომ თანაგუნდელების მიერ ორგანიზებული ფანტასტიკური კომბინაცია გოლით დავაგვირგვინე. სხვათა შორის, ეს ჩემი მესამე სანაკრებო გოლი გახლდათ. მჯერა, მომავალშიც გამიმართლებს. მთავარი კი ის არის, რომ დანიაში სამი ქულა მოვიპოვეთ. თამაშის წინ ყველა ვნერვიულობდით. წაგება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ამაზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ გამორიცხვითაც ვერავინ ვერაფერს გამორიცხავდა. მოკლედ, ძალიან მოვინდომეთ და სამი ბურთი შევაგდეთ. შესაძლოა, ესთეტიზმის თვალსაზრისით, ჩემი გოლი უფრო შთამბეჭდავი იყო, მაგრამ პრაგმატულად თუ ვიმსჯელებთ, ტამუდოსა და რიერასაც უდიდესი დამსახურება მიუძღვით. ახლა უკვე 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ავსტრიისა და შვეიცარიის ევრო-2008 ესპანეთის ნაკრების გარეშე არ ჩაივლის.

**- სხვათა შორის, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ იდენტური შედეგი გამოიღო. გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თქვენი გოლი ესპანეთის სანაკრებო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ლამაზი იყო.**

- სიმართლე გითხრათ, მართლაც ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა. საინტერესოა, გამოკითხვაში რამდენი თაობის გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. თუ მხოლოდ ახალგაზრდები აქტიურობდნენ, შედეგი საეჭვო იქნება, მაგრამ თუ წინა თაობის ინჩასებიც აძლევდნენ ხმას, მაშინ ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოს ვიქნებით. ასე იყო თუ ისე, ესპანეთის ნაკრებმა შესაშური შემართება გამოამჟღავნა. ალბათ, ძალიან იშვიათად ხდება, როცა გუნდი ბურთს ასე უზადოდ ათამაშებს, ზედიზედ 28 პასს აკეთებს და გოლს იტანს. ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივრები გავახარეთ.

**- მთელი კარიერის განმავლობაში მხოლოდ მცველის პოზიციაზე თამაშობთ. ზოგჯერ მარცხნივ ხართ, ზოგჯერ მარჯვნივ, ცენტრშიც გვინახიხართ, მაგრამ დანიას ისე ოსტატურად გაუტანეთ, უდიდესი გამოცდილების სუპერ-ფორვადსაც შეშურდებოდა. როგორ მოახერხეთ ეს?**

- სიტყვებით ახსნა გამიჭირდება. გოლი რომ გაიტანო, შეტევაში უნდა მონაწილეობდე. ყველაფერი წამიერად ხდება. თავში აზრი გაიელვებს, ახლა ასე უნდა მოიქცეო და ინსტიქტს ენდობი. გარდა ამისა, ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მსოფლიო დონის ფეხბურთელების მხარდამხარ ვთამაშობ. ძალაუნებურად, მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ყოველი დღე გამოცდილებასა და ცოდნას მიღრმავებს. მოკლედ, უტვინო უნდა იყო, ასეთი ბიჭების გარემოცვაში თამაში რომ არ გააუმჯობესო (იცინის).

**- როგორ ფიქრობთ, დანიური ტრიუმფი გულშემატკივრებს ნაკრების ნდობას დაუბრუნებს?**

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დანიასთან სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მატჩი ჩავატარეთ. მასზე ესპანეთის ნაკრების ბედი გახლდათ დამოკიდებული. მთავარი იყო, არ წაგვეგო, თუმცა რა თქმა უნდა, ერთ ქულას სამი სჯობდა. ამჯერად დადებითი შედეგის გარდა, სანახაობრივი თამაშითაც შეგვიძლია მოვიწონოთ თავი. ღმერთმა ქნას, გულშემატკივრებს ჩვენდამი რწმენა გაუღრმავდეთ და ძველი ურთიერთობა აღდგეს. გასული მუნდიალის შემდეგ ისინი სერიოზულ იმედგაცრუებას განიცდიდნენ. გათიშულობა უკვალოდ არასოდეს ჩაივლის. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ინჩასების მხარდაჭერა გვაკლდა. იმედია, მომავალში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. საამისო ნიშნებს უკვე ვხედავ. ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ "სელექსიონის" თითოეული მოთამაშე ბოლომდე იხარჯება. ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. სამწუხაროდ, ზოგჯერ არ გვიმართლებს და საზოგადოებას გულს ვტკენთ ხოლმე. მაგრამ ეს ჩვენი დაუდევრობის ან უპასუხისმგებლობის გამო არ ხდება. ფეხბურთში ხშირია შემთხვევები, როცა ძლიერი გუნდები ბევრად უფრო სუსტ კოლექტივებთან მარცხდებიან.

**- სერიოზული ტრავმა, ფაქტობრივად, არასოდეს მიგიღიათ. ბერნდ შუსტერი და ლუის არაგონესი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში გაყენებენ. საინტერესოა, ძალიან ახალგაზრდა სერხიო რამოსს ამხელა დატვირთვა და პასუხისმგებლობა პრობლემას არ უქმნის?**

- არა, პირიქით. მეტისმეტად ვამაყობ, რომ კლუბისა და ნაკრების მწვრთნელები უსიტყვოდ მენდობიან. დაღლილობას რაც შეეხება, ნუ იფიქრებთ, რომ შუსტერი ან არაგონესი ჩემს ექსპლუატაციას ეწევიან. ისინი დასვენების საშუალებას ყოველთვის გვაძლევენ.

**- "რეალი" სესკ ფაბრეგასისთვის ბრძოლას არ წყვეტს. აღსანიშნავია, რომ მისი გადაბირების სურვილი "ბარსელონასაც" გაუჩნდა. როგორ ფიქრობთ, ვის დარჩება "არსენალის" ვარსკვლავი?**

- ფაბრეგასი გენიალური ფეხბურთელია. მის პასპორტში თუ არ ჩაიხედავთ, ვერც კი მიხვდებით, რომ ახალგაზრდაა. ისე თამაშობს, თითქოს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება უმაგრებს ზურგს. იმედია, პრედრაგ მიატოვიჩი ჩიკი ბეგირისტაინს ბრძოლას მოუგებს და სესკი "რეალში" გადმობარგდება. ფაბრეგასი "არსენალის" ლიდერად იქცა. ჩემი აზრით, უცხოეთში ასეთი წარმატებული კარიერა, მხოლოდ და მხოლოდ, ორ ესპანელს აქვს. მერწმუნეთ, ჩვენი თანამემამულეებისთვის პრემიერლიგაში ავტორიტეტის მოხვეჭა უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული. ინგლისის ჩემპიონატს უაღრესად დიდი რიტმი აქვს. მას ყველასგან გამორჩეული სპეციფიკა გააჩნია. ამასთან, კულტურული განსხვავებაც უნდა ვახსენოთ. მოკლედ, ფაბრეგასი მართლაც ფანტასტიკური ბიჭია. სამეფო კლუბის მესვეურებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ სესკი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩამოიყვანონ.

**- რაულთან დაკავშირებულ დებატებზე რას გვეტყვით? თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ვილიას ტრავმის შემდეგ გონსალეს ბლანკოს გამოუძახებდით თუ ტამუდოს?**

- მართალია, დანიას უპრინციპულესი მატჩი მოვუგეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაკრები შეკრებას განაგრძობს. წინ ფინეთთან ამხანაგური თამაში გველის. ასეთ დროს ეროვნული გუნდის წევრი დებატში არ უნდა ჩაერთოს. ტამუდომ დაამტკიცა, რომ უდიდესი ფორვარდია და ჩვენთან ერთად თამაშს იმსახურებს. რაულზე კი რა უნდა გითხრათ, ის მსოფლიო დონის ვარსკვლავია. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული?! მადლობა ღმერთს, ამ საკითხებს მე არ ვწყვეტ. საკადრო პოლიტიკას მწვრთნელი განსაზღვრავს, ამიტომ მის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ.

**- პრიმერადივიზიონურ ბატალიებზე რას გვეტყვით? სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სამეფო კლუბის თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუფერულდა, პარალელურად კი "ბარსელონამ" ჩვეული სტილი დაიბრუნა.**

- ჩვენ ლიდერები ვართ და ამით ყველაფერია ნათქვამი. განა ყველამ არ იცის, რომ მთელ სეზონს ერთსა და იმავე დონეზე ვერ ჩაატარებ? მთავარია, დინამიკა არ დავკარგოთ. ჩვენ სწორი გზით მივდივართ და მჯერა, ლამაზ მატჩებსაც ჩავატარებთ.

**- "ბარსელონის" თამაშს როგორ შეაფასებთ?**

- კატალონიელები ჩინებულად გამოიყურებიან. ობიექტურად რომ ვისაუბროთ, დღეისთვის "ბარსელონა" ყველაზე ლამაზად თამაშობს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. სეზონის დასაწყისში "რეალი" ბრწყინავდა და "ბარსა" პრობლემებს ებრძოდა. ახლა რიიკაარდის გუნდმა სიტუაცია გააუმჯობესა, ჩვენ კი უსახური ფეხბურთის გამო გვაკრიტიკებენ. ჩემი აზრით, მთავარია, ქულები არ დავკარგოთ, თამაშის ხარისხი კი აუცილებლად გამოსწორდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ლუის არაგონესს რაულის გაკრიტიკება არ მოუწონეს

ესპანეთის ნაკრები

# რაულმა არაგონესს ბრძოლა მოუგო?

## ფედერაციის მაღალჩინოსნები ნაკრების თავკაცის გამოხდომით აღშფოთებულები დარჩნენ

**რაულისა** და ლუის არაგონესის დაპირისპირებამ პიკს მას შემდეგ მიაღწია, რაც ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გონსალოს ბლანკოს წინააღმდეგ დამამცირებელი მოსაზრებებით გაილაშქრა. არაგონესმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერით განაცხადა, რაულს განსაკუთრებული რა გაუკეთებია და რამდენი მუნდიალი მოუგიაო. ასეთი გამოხდომის შემდეგ, წესით, "რეალის" კაპიტანს "სელექსიონის" თავკაცი უნდა დაემცირებინა, მაგრამ მან შესაშური ტაქტი გამოამჟღავნა და ზავის ჩამოგდება სცადა: *"რაც იყო, იყო. მოდით, სიტუაციას ნულარ დავძაბავთ. არ მინდა, არაგონესის სიტყვებზე კომენტარი გავაკეთო. ის უფლებამოსილია იფიქროს ისე, როგორც თავად სურს. ვფიქრობ, სიმშვიდე ესპანეთის ეროვნული გუნდის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს. ვისაც ჩვენი ქვეყანა და ნაკრები გვიყვარს, ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ და საერთო ინტერესებს მოვემსახუროთ. გული მტკივა, რომ არ მათამაშებენ, თუმცა მთავარია, "სელექსიონმა" გაიმარჯვოს. საბედნიეროდ, ბიჭებმა დანიას მოუგეს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შესანიშნავი შანსი მოიპოვეს. ყველაფერი დანარჩენი მეორე ხარისხოვანია".*

ბევრისთვის მოულოდნელად ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის მაღალჩინოსნებმა ლუის არაგონესი, სკანდალური განცხადების გამო, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. აი, რას ამბობს ფედერაციის გენერალური მდივანი **ხორხე პერესი**: *"ის, რაც სენიორ ლუისმა თქვა, დაუშვებელი და მიუღებელია. რაული ესპანური ფეხბურთის ლეგენდაა და ასეთ ირონიას არ იმსახურებს. ჩვენი ქვეყნისთვის გონსალოს ბლანკომ უამრავი რამ გააკეთა, ხშირად ჯანმრთელობის ფასადაც კი გვემსახურებოდა. პირდაპირ ვიტყვი, რომ აღშფოთებული დავრჩი. მერე რა, რომ რაული ნაკრებში აღარ თამაშობს. ჩვენ მის უფლებებს აუცილებლად დავიცავთ და არაგონესს საყვედურს გამოვუცხადებთ".*

ესპანური პრესის ცნობით, სამეფო ფედერაცია ამითაც არ შემოიფარგლება და რაულისადმი მადლობის ნიშნად, პომპეზურ ღონისძიებას მოაწყობს. ჯერჯერობით, დეტალები არ ხმაურდება, თუმცა გვპირდებიან, რომ "რეალის" კაპიტანს დაუვიწყარ საღამოს აჩუქებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ თომას ბერთოლდთან

# გერმანული საკლუბო ფეხბურთი კვდება

## მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონმა განგაშის ზარს შემოჰკრა...

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონ თომას ბერთოლდს გული სტკივა იმის გამო, რომ გერმანული კლუბები ევროსარბიელზე ვერანაირ წარმატებას ველარ აღწევენ. ჩემპიონთა ლიგაში "ვერდერსა" და "შტუტგარტს" ორი ტურის შემდეგ, ორივე თამაში წაგებული აქვთ, "შალკემ" კი მხოლოდ ერთი მატჩის მოგება მოახერხა. ამ საკითხთან დაკავშირებით ბერთოლდი "შპორტ-ბილდის" კორესპონდენტს ესაუბრა.



**- ჰერ ბერთოლდ, ამასწინათ სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყვეთ, სადაც გერმანული საკლუბო ფეხბურთის პრობლემებზე ისაუბრეთ და ბუნდესლიგა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეთ. აშკარაა, რომ გერმანიის პირველობაში ბევრი რამ არ მოგწონთ...**

- განა ვინმეს მოსწონს ის, რაც გერმანულ საკლუბო ფეხბურთში ხდება? ჩემი მოსაზრების დასამტკიცებლად მხოლოდ სტატისტიკის მოშველიებაა საჭირო: ჩემპიონთა ლიგის 6 თამაშიდან, გერმანულმა კლუბებმა 5 წააგეს! გერმანული კლუბები გულშემატკივრებს ასულელებენ, მეტი არაფერი! სეზონის დაწყებამდე სიტყვების რახარუხით თავს გვაბეზრებენ, მთელ ევროპას დავუმტკიცებთ, რომ ძლიერები ვართო, მაგრამ დაიწყება ევროტურნირები და ჩასვრილებივით თამაშობენ. ამიტომაც ვამბობ: გერმანულ კლუბებს საერთაშორისო ასპარეზზე ალარაფერი ეთქმით, ეს დღესავით ნათელია. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, საშუალო დონემდე დავედით და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო უკან მივდივართ.

**- ერთი წუთით! "ბაიერნის", "ლევერკუზენის", "ნიურნბერგისა" და "ჰამბურგის" სახით, უეფას თასის ჯგუფური ეტაპის საგზური ოთხმა გერმანულმა კლუბმა მოიპოვა...**

- ჩვენი პრობლემა სწორედ ის არის, რომ გერმანულ კლუბებს ვაქებთ და ვადიდებთ იმის გამო, რომ დაამარცხეს კლუბები, რომელთა შორისაც, უმრავლესობის ასავალ-დასავალი არავინ იცის. ღმერთო ჩემო, სადამდე დავეცით! უეფას თასის ჯგუფური ეტაპი ვინმეს დიდი მიღწევა ჰგონია? "ჰამბურგმა" "ლიტექსს" მოუგო - ყოჩაღ, შესანიშნავია, გენიალურია! როგორ მოახერხეს? ნერვები მეშლება! მოდით, ვაღიაროთ, რომ გერმანული საკლუბო ფეხბურთი ალარ არის ის, რაც იყო, ვაღიაროთ, რომ მთავარი სულ სხვა რამეა...

**- რა არის მთავარი?**

- უეფას ხუთწლიან რეიტინგში გერმანია უკვე მე-6 ადგილზეა და ჩვენს ბუნდესლიგას უკვე რუმინეთის ჩემპიონატიც უსწრებს! მე რომ ფეხბურთელი ვიყო, ამ რეიტინგის შემხედვარეს გული ამერეოდა! სასწრაფოდ განგაშის ზარს შემოვკრავდი! მაგრამ დღეს გერმანული კლუბების ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს შექმნილი მდგომარეობა ოდნავადაც არ აღელვებთ და ყველაზე მეტად სწორედ ამაზე მეშლება ნერვები.

**- 1982-დან 2000 წლამდე ბუნდესლიგაში 332 თამაში ჩაატარეთ. ადრე ბუნდესლიგაში უფრო მაღალი დონე იყო?**

- თქვენ რა, გინდათ ამტკიცოთ, რომ არა? გერმანული კლუბები ევროპაში ქუხდნენ, ბუნდესლიგა კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ მსოფლიოში! დღეს კი მხოლოდ "ბაიერნი" გვყავს და რეკორდმაისტერი ერთადერთია, რომელსაც ინგლისურ, იტალიურ და ესპანურ კლუბებთან ტოლ-სწორად თამაში შეუძლია. და ასეთი სიტუაცია ძალიან საშიშია.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ პროდუქტი ფუჭდება! წელს, "ბაიერნს", რა თქმა უნდა, ვერავინ შეაჩერებს და მიუნხენური გიგანტი უპრობლემოდ გახდება გერმანიის ჩემპიონი. დარწმუნებული ვარ, რომ ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი ბუნდესლიგას 20 ქულიანი უპირატესობით მოიგებს. და როგორ გგონიათ, ვის აინტერესებს ასეთი ტურნირი? თანაც, რაკი "ბაიერნიც" ვერ იგრძნობს დიდ კონკურენციას, წინსვლას შეწყვეტს. დამიჯერეთ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, თორემ სულ მალე ვეღარც იმით ვიამაყებთ, რომ გერმანიის პირველობას ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება.

**- თქვენ შექმნილ ვითარებას ძალიან მუქ ფერებში ხატავთ. გვითხარით, რა უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ბუნდესლიგა უფრო საინტერესო გახდეს, კლუბებმა კი ევროპაში ისევ დაიქუხონ?**

- კლუბებს მეტი ფული სჭირდებათ! ფული კი, მოგეხსენებათ, ინვესტორებს მოაქვთ. მერჩენდაიზინგი, მარკეტინგი, ბილეთების გაყიდვის უკეთესი სისტემა - აი, რა უნდა გავაუმჯობესოთ. კარგია, რომ სატელევიზიო შემოსავალი გაიზრდება, მაგრამ მთავარი სახსრები ინვესტორებისგან უნდა მივიღოთ. გვჭირდება უფრო მეტი ისეთი ინვესტორი, როგორიც დიტმარ ჰოპია, რომელმაც "ჰოფენჰაიმის" აღორძინება დაიწყო.

**- აი, "მაინცის" მენეჯერი კრისტიან ჰაიდელი სხვაგვარად ფიქრობს. მისი აზრით, ინვესტორის მოსვლის შემდეგ გუნდში პიონერული სიტუაცია იქმნება, რადგან ყველა ამბობს, ამა და ამ გუნდმა წარმატება მილიონებით იყიდაო...**

- კარგით რა, ეს სისულელეა! ლონდონის "ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგოს, რომან აბრამოვიჩის ფული არავის გაახსენდება. პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელებს ასეთი დიდი ინვესტორები არ გვსურს, რადგან მათი გვეშინია. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ წავიდნენ გერმანული კლუბები იმის წინააღმდეგ, რომ ინვესტორს 50-ზე მეტი პროცენტი ჰქონოდა.

**- იქნებ ეს იმის ბრალია, რომ კლუბების ბოსებს ეშინიათ, დიდი ძალაუფლების მიღების შემთხვევაში, ინვესტორებმა მენეჯმენტში ცხვირი არ ჩაყონ?**

- და მერე რა? როცა კაცი მოდის და 100 მილიონს გაძლევს, ფულს, რომელიც ძალიან გჭირდება, ცხადია, რომ მას აქვს უფლება, რაღაც მითითებები მოგცეს, სამეთვალყურეო საბჭოში დაჯდეს და რაღაც გადაწყვეტილებები მიიღოს. მან ხომ უნდა აკონტროლოს, თუ რაში და როგორ იხარჯება მის მიერ დაბანდებული ფული? სწორედ ამ ყველაფრის ბრალია ის, რომ ინვესტორები ბუნდესლიგას არ ეკარებიან. არც მიკვირს, სულელური ახირებების გამო, ჩვენთან საქმის დაჭერა არავის რომ არ უნდა.

**- ერთ-ერთ რუს ინვესტორს მეორე ბუნდესლიგური "კარლ ცაისის" შეძენა უნდოდა...**

- და მასზე მაშინვე დაწერეს, ამას ფულის გათეთრების მიზნით აკეთებსო. სწორედ ამის ბრალი იყო, გარიგება რომ არ შედგა. ესეც მორიგი პრობლემა - გერმანულ ფეხბურთში აბსოლუტურად ყველა დეტალზე ფიქრობენ და სიტუაციას მალე ამწვავებენ.

**- თქვენი აზრით, არსებობს კი თუნდაც ერთი გერმანული კლუბი, რომელიც კარგად მუშაობს?**

- "ბაიერნის" გარდა, ქებას მხოლოდ "ვერდერი" იმსახურებს. ბრემენული კლუბის მენეჯერ კლაუს ალოფსის წინაშე ქუდს ვიხრი, ამ კაცმა ბოლო წლებში სენსაციურად იმუშავა. კარგი ფეხბურთელები ძალიან იაფად იყიდა - მაგალითად, დიეგო. გასაკვირია, როგორ ვერ შეამჩნია ეს ფეხბურთელი "ბაიერნმა"? რეკორდმაისტერის სკაუტებს უნდა ვკითხო, რას აკეთებენ, რატომ ვერ ხედავენ ასეთ ტალანტებს?

**- სხვა კლუბებზე კარგს არაფერს იტყვით?**

- არა! სამწუხაროდ, არცერთ კლუბს არა აქვს გრძელვადიანი კონცეფცია და სტრატეგია. სხვათა შორის, არც "ბაიერნს" და არც "ვერდერს". მე არ ვამბობ, რომ ყველა კლუბის მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა იყოს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ გარკვეული მიზანი ყველას უნდა ჰქონდეს. გერმანიაში აღარ გვაქვს სპეციალური საფეხბურთო გუნდები, სადაც ბავშვები ფეხბურთის თამაშს ისწავლიან.

**- ადრე ასეთი გუნდის სახელი "ფრაიბურგს" ჰქონდა...**

- დიახ, ადრე... დღეს კი, ამ მხრივ ჩვენზე წინ ჰოლანდიელები და ფრანგები დადგნენ. ფრანგები შესანიშნავ ფეხბურთელებს ზრდიან და მერე დიდ ფულად ყიდიან ინგლისში და ესპანეთში. მაგალითად, მიკაელ ესიენი ან დიდიე დროგბა. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ფული მთავარი არ არის, მაგრამ ფრანგული კლუბები ამით დიდ ფულს შოულობენ. ჩვენთან კი, სკაუტების დიდმა ნაწილმა ფრანგული ენაც კი არ იცის. როგორ აპირებენ აფრიკაში კარგი ფეხბურთელის პოვნას?

**- ე.ი. ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს?**

- იმედი გვაქვს, საფუძველი კი ჯერჯერობით არა! შეგიძლიათ, იმავე კითხვებით 1990 წლის სხვა ჩემპიონებსაც მიმართოთ. უმრავლესობა სწორედ ისე ფიქრობს, როგორც მე. გერმანული საკლუბო ფეხბურთი სულს ღაფავს, ბუნდესლიგას კი წლიდან წლამდე ეკარგება პრესტიჟი. ოდესღაც კი, საერთოდ დავრდომილები გავხდებით და იმისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს, სასწრაფოდ რაღაც უნდა შეიცვალოს.

გოტფრიდ ლენცი

## ხედირა: შტუტგარტიდან ფიორენტინაში

"ტუტომერკატოს" ინფორმაციით, "ფიორენტინა" გერმანიის ჩემპიონ "შტუტგარტის" ნახევარმცველ **სემი ხედირათია** დაინტერესებული. ხედირა 20 წლისაა. მისდამი ინტერესს ფლორენციელთა სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინოც** ადასტურებს: *"ჩვენს სატრანსფერო გეგმებზე საჯარო საუბარი არ მიყვარს, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ხედირა მეტად საინტერესო ფეხბურთელია და ვფიქრობ, ჩვენს კლუბს გამოადგებოდა".*

## ინტერი თავდამსხმელს ეძებს

"ინტერმა" "ნაპოლის" თავდამსხმელ **ესეკილ ლავესის** დაადგა თვალი. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მილანელები 22 წლის არგენტინელს მთელი სეზონის განმავლობაში დააკვირდებიან. "ნერაძურის" ყურადღება კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფორვარდმა **რობერტო აკვაფრესკამ** მიიპყრო. ეს ბიჭი სანახევროდ "კალიარის" საკუთრებაა და სარდინიულ კლუბში თამაშობს. სატრანსფერო უფლებების მეორე ნახევარი "ინტერს" ეკუთვნის. მილანელებმა გადაწყვიტეს, 50 პროცენტის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. როგორც ჩანს, **რობერტო მანჩინის** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეტევის ხაზის გაძლიერება. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას მისი დაინტერესება რიგით მესამე თავდამსხმელით. მანჩინიმ ლიონელი **ქარიმ ბენზემაც** მოიკითხა. გასულ ზაფხულს **ფაბიო გროსოს** "ლიონში" გაყიდვის შემდეგ "ინტერსა" და საფრანგეთის ჩემპიონებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ამის მიუხედავად, ლიონელი პრეზიდენტი **ჟან მიშელ ოლა** ახალგაზრდა ფორვარდს იაფად არ გაყიდის.

## კიევის დინამო: პინკოლინი დაინიშნა, ძაკერონი?

**ვინჩენცო პინკოლინი** კიევის "დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელად დაინიშნა. არ გვგონია, ამ მწვრთნელის სახელი და გვარი რამეს გეუბნებოდეთ. ამ დანიშვნას ყურადღებას არცკი მივაქცევდით, ერთი საინტერესო გარემოება რომ არა. უკრაინელი მიმომხილველები ირწმუნებიან, პინკოლინი **ალბერტო ძაკერონის** ასისტენტია. მისი დანიშვნა კი იმას ნიშნავს, რომ მალე უკრაინულ გრანდში "მილანის" ყოფილ დამრიგებელს ვიხილავთო. ინფორმაცია ძაკერონისა და პინკოლინის მოსალოდნელი დანიშვნის თაობაზე ერთი კვირის წინ გავრცელდა. "დინამოს" ხელმძღვანელობა ძაკერონისთან კონტრაქტის გაფორმებას კატეგორიულად უარყოფს. ჟურნალისტების ერთი ჯგუფი **ფაბიო კაპელოს** დანიშვნასაც კი წინასწარმეტყველებს. სექტემბერში, როცა კიევს იტალიის ნაკრები ესტუმრა, კაპელო "სკუადრა აძურას" ახლდა. ის "რაის" მიმომხილველის როლში იყო. სპეკულაციების თანახმად, ის "დინამოს" პრეზიდენტ **იგორ სურკისს** შეხვდა. მხარეებმა ერთად ისადილეს და სავარაუდოდ, თანამშრომლობის პერსპექტივა განიხილეს. დღესდღეობით, კიეველებს **იოჟეფ საბო** ავარჯიშებს. ის გუნდში ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის შემდეგ, **ანატოლი დემიანენკოს** ნაცვლად დაინიშნა.

## დელ პიეროს შემდეგ პალადინო

გუშინ გაუწყეთ, რომ "იუვენტუსმა" **ალესანდრო დელ პიეროს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა. "ქალბატონმა" კიდევ ერთ მოთამაშესთან გააჩაღა მოლაპარაკებები. "ტუტოსპორტის" ცნობით, მალე **რაფაელე პალადინოსაც** გაუგრძელებენ ხელშეკრულებას. ის იტალიის ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ნახევარმცველია. პალადინოს კონტრაქტი 2010 წელს იწურება. გაისად ფეხბურთელს მისი გამოსყიდვა შეუძლია. რაფაელეთი რამდენიმე ინგლისური კლუბი დაინტერესდა. "ქალბატონს" კი მისი დათმობა არ სურს. პალადინოს ხელფასს გაუზრდიან.

## სტოიკოვიჩი წავიდა

სერბული ფეხბურთის ლეგენდა **დრაგან სტოიკოვიჩი** "ცრვენა ზვეზდიდან" წავიდა. ის კლუბის პრეზიდენტი იყო. ჟურნალისტებთან საუბრისას კი აღნიშნა, რომ ფეხბურთში მოღვაწეობა მობეზრდა და სურს, დრო სხვა, გაცილებით სასიამოვნო საქმეებს დაუთმოს: *"ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ვგრძნობ, რომ საფეხბურთო მეურნეობაში ყოფნა სიამოვნებას აღარ მანიჭებს. ძალიან დავიღალე. ვამაყობ, რომ "ცრვენა ზვეზდაში" მივაღწიე თითქმის ყველა მიზანს, რომელიც პრეზიდენტად დანიშვნისას მქონდა დასახული. დროა, საქმეს სხვა ადამიანმა მიხედოს."* სტოიკოვიჩი ბელგრადულმა კლუბში 2005 წელს მივიდა. მის დროს "ცრვენა ზვეზდა" ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ორჯერ დაეუფლა სერბეთის თასს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრა ვერ მოახერხა. შეგახსენებთ, კლუბს ევროპის ჩემპიონის ტიტული 1991 წელს აქვს მოგებული. იმხანად სტოიკოვიჩი ბელგრადელთა ღირსებას იცავდა.

## ესპანიოლთან გუტის გარეშე

"რეალის" გუშინდელი ვარჯიში უსიამოვნო შემთხვევის გამო 10 წუთით შეწყდა. **ხოსე მარია გუტიერესმა** სრულიად უწყინარ სიტუაციაში ტრავმა მიიღო. მას ფეხი აუსრიალდა და კუნთი დაეჭიმა. **შუსტერი** ამ ამბით იმდენად შეშფოთდა, რომ შეგირდები მიატოვა და გუტის სამედიცინო კაბინეტში გაჰყვა. სახელდახელო გამოკვლევამ ჰერ ბერნდს სასიხარულო ვერაფერი ამცნო. სამეფო კლუბის ექიმების თქმით, ხოსე მარია სულ მცირე, ერთ შეხვედრას გამოტოვებს. არადა, შუსტერი ამთავითვე აცხადებს, რომ მის ბიჭებს "ესპანიოლთან" ურთულესი დაპირისპირების გამართვა მოუწევთ. ცნობილია, რომ გუტი გერმანელი სპეციალისტის ფავორიტად იქცა.

ახალი კონტრაქტის მოლოდინში

# ოუენი: ნიუკასლი არ ჩქარობს

"ნიუკასლი" **მაიკლ ოუენთან** კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს. ჯორდების თავკაცმა **სემ ელერდაისმა** საჯაროდ განაცხადა, თავდამსხმელმა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ახალ ხელშეკრულებას იმსახურებსო. ნიუკასლელთა სიფრთხილე სულაც არ გახლავთ გასაკვირი. ოუენი "სენტ ჯეიმს პარკზე" 2005 წლის ზაფხულში გადავიდა. მადრიდის "რეალს" მის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ფეხბურთელმა ორი წლის განმავლობაში ძირითადში თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის მატჩი ჩაატარა. მიზეზი ქრონიკული ტრავმებია, რაზეც აქ აღარ შევჩერდებით. თუ ოუენი განიკურნება და შედეგიანად ათამაშდება, "ნიუკასლი" უმალ ახალ კონტრაქტს გაუმზადებს. ჯერჯერობით კი ელერდაისი ასეთი კომენტარით იფარგლება: *"მინდა, მაიკლი გამუდმებით მინდორზე იყოს. როცა მაიკლი მზადაა, არ მეგულება მწვრთნელი, რომელიც მის სამსახურზე უარს იტყვის. გუნდს ის ძალიან სჭირდება. რეგულარული სათამაშო პრაქტიკა ის უმთავრესი გარემოებაა, რაზეც კონტრაქტის გაგრძელებისას ყურადღებას გავამახვილებთ. არ გვინდა, მისი ყოველი თამაშის წინ ფეხბურთელის ჯანმრთელობის გამო ვინერვიულოთ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძალოსნობა



გიორგი ასანიძე

# ასანიძის ხელი ქირურგების ხელში...

ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** დღეს, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მარჯვენა ხელზე ოპერაციას გაიკეთებს. მოგეხსენებათ, ქართველ ძალოსანს წლებია, იდაყვის არეში ტკივილები სისტემატიურად აწუხებს, რაც სპორტული კარიერის დროს არაერთგზის ყოფილა დამაბრკოლებელი - მკლავს ბოლომდე ვერ შლის და ხრის და ამის გამო, ფიცარნაგზე ყოველი გამოსვლის დროს მსაჯთა კოლეგიის გაფრთხილება უწევს: მკლავი ბოლომდე არ მეშლება და გაითვალისწინეთო... ასევე იყო, ერთი თვის წინათ ტაილანდურ ჩიან მაიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე და მსაჯებმა გულისყურით მიიღეს მისი შენიშვნა, მაგრამ ამჯერად გიორგის ამ ჟესტმა არაფერი არგო, რადგან ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ არცთუ მძიმე წონა დაურჩა დაუძლეველი...

ტაილანდიდან დაბრუნებულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა უმალ დასტაქრებს მიმართა და სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა. ექიმთა ვერდიქტი მძიმე, მაგრამ უტყუარი იყო - სახსარში რამდენიმე ძვლოვანი ნანაზარდია, რისი მოკვეთაც აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, გიორგის ჯანმრთელობას დიდი საფრთხე ელოდა. ასეთმა დასკვნამ კიდევ უფრო დააჩქარა ოპერაცია და აუცილებელი წინასაოპერაციო პროცედურების გავლის შემდეგ დადგინდა დღე და საათი, როცა გიორგი ასანიძე, თავის ხელს ქირურგთა ხელებს ანდობს...

ოპერაცია დღეს, დილის 11 საათზე ჩატარდება. ოლიმპიური ჩემპიონისჯანმრთელობას თვალყურს მიადევნებენ ქირურგები - ლევან ნაჭყებია, ბაადურ ზემლინსკი და ვაჟა გაფრინდაშვილი. სამივე უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალია, რაც იმედს იძლევა, რომ ოპერაციაც წარმატებით ჩაივლის და გიორგი სპორტული კარიერის გაგრძელებას შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, მას ამის დიდი სურვილი აქვს, ანუ პეკინის ოლიმპიადაზე ასანიძის კიდევ ერთხელ გაელვებას უნდა ველოდოთ...

გიორგის თქმით, ოპერაცია სამი საათი უნდა გაგრძელდეს, რაც თავისთავად მის სირთულეზე მიანიშნებს. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და ოლიმპიური ჩემპიონიც სულ მალე შეუდგება ვარჯიშს.

**ზვიად შათირიშვილი**

## კალათბურთი

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# დავმძიმდი, გავცენტრდი და ჩიტივით დავფრინავ!

ინტერვიუს ბოლოს ნიკა ცქიტიშვილმა მითხრა, ბოლო ტურის შედეგების მიხედვით "გაზეტა დელო სპორტმა" სიმბოლურ ნაკრებში შემიყვანაო...

ამ სიტყვების მიხედვით თამამად შეიძლება ერთის თქმა - წინა წლებთან შედარებით, ნიკა მთლიანად შეიცვალა. თუ აქამდე იგი მწვრთნელებს სათამაშო დროს ეხვეწებოდა ახლა - პირიქით, თამაშისას ამოსასუნთქი დრო არა აქვს, ერთმანეთის მიყოლებით 17-19 ქულას აგროვებს და სერია-A-ს სიმბოლურ ნაკრებშიც დამსახურებულად ხვდება. იცით საუკეთესო ხუთეულში რა პოზიციაზეა? – ცენტრად. დიახ, მას "ტერამოში" მეხუთე ნომრად ათამაშებენ – აი, კიდევ ერთი განსხვავება ძველ სკიტასთან...

დასაწყისშიც გეუბნებით, რომ ცქიტიშვილს გუშინ ინტერვიუ ჩამოვართვით, ამიტომ მეტს არ გავაგრძელებთ, ნიკას მოვუსმინოთ.



"ტერამოში" რომ ჩამოვედი, არც სათანადო ფორმაში ვიყავი და ადაპტაციისთვის დრო მჭირდებოდა. ამ პერიოდში მწვრთნელი ყველანაირად მხარში მედგა. დიდი დატვირთვების მერე ფორმაშიც შევედი და ბოლომდე რომ გავიხსენი, მწვრთნელმა მასიმო ბიანკიმ მითხრა – ახლა კი დროა, ლიდერობა იკისროო. ასეთი ნდობის შემდეგ წარმოუდგენელია იმედების არგამართლება.

**- ამერიკაში სულ სხვაგვარი მწვრთნელები იყვნენ – გპირდებოდნენ და დაპირებას არ ასრულებდნენ... რა სხვაობაა ევროპელ და ამერიკელ მწვრთნელებს შორის?**

- აქ ყველას შვილივით უყურებენ. ყოველ ნაბიჯში გვერდზე გიდგანან, დღევანდელზე კი არა, ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ. ევროპელებს სხვა კულტურა გვაქვს, აქ გაცილებით თბილი ხალხია. ამერიკაში კი მხოლოდ ფული აინტერესებთ, ერთმანეთზე სულ არ ფიქრობენ, ჰგონიათ, რომ დღევანდელი ფული ხვალ უზრუნველ ცხოვრებას მოიტანს... აი, ამით განსხვავდებიან ევროპელი მწვრთნელები ოკეანისგაღმელებისგან.

**- თანაგუნდელებზე რას იტყვი?**

- არაჩვეულებრივი გუნდია. ერთმანეთთან ძალიან ახლოსა ვართ, ერთად ვერთობით, ვიკვებებით, ერთი ისაა, რომ ერთად არ გვძინავს...

**- ყველაზე მეტად ვის დაუახლოვდი?**

- ყველასთან ძმაკაცურად ვარ. ამერიკელ პაუელთან ერთი კედელი მაქვს და, შესაბამისად, ყველაზე ახლოს მასთან ვარ. როგორ ფიქრობ, ჩემპიონატში კარგად რატომ ვთამაშობთ?იმიტომ, რომ გუნდში მეგობრული ატმოსფეროა. არაერთ კლუბში მითამაშია, მაგრამ ასეთი სიტუაცია არსად დამხვედრია. სწორედ ამიტომაა, რომ თითოეული ჩემი თანაგუნდელი წლეულს თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. თუქერი, პაუელი, ლული...

**- "ტერამოში" სამქულიანებს თითქმის აღარ ისვრი...**

- აქ პოზიცია გამომიცვალეს და, გამოგიტყდები, ჩემს თავს ველარ ვცნობ – ცენტრის პოზიციაზე მათამაშებენ. შესაბამისად, ძირითადად ფარქვეშ მიწევს ბრძოლა. უფრო დამძიმებულიცა ვარ – 119 კილოგრამს ვიწონი.

**- ახალ ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?**

- სამქულიანების ტყორცნაც მიყვარს, მაგრამ იტალიის ჩემპიონატის სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ ჩემი თამაში სწორედ "ტერამოში" ვიპოვე. აბა, თავს ცუდად რატომ უნდა ვგრძნობდე?

**- ე.ი. გარნეტივით მსუბუქად ტრიალებ ფარქვეშ...**

- გარნეტისგან ცოტათი განვსხვავდები...

**- ბოლო მატჩებში გადამწყვეტ მომენტებში თამაშს საკუთარ თავზე იღებ. ამას მწვრთნელი გავალებს?**

- ბოლონიელებთან სადებიუტო მატჩში ბოლო წამებზე მეტოქემ ბურთი ზედიზედ ხუთჯერ მოგვიხსნა და მეხუთე ცდაზე გამარჯვების მომტანი ორქულიანი ჩააგდო. ის ეპიზოდი თავიდან ახლაც არ ამომდის. მილანშიც თითქმის იგივე განმეორდა – ორი ქულით დავწინაურდით და მასპინძლებმა ჩვენს ფარზე ბურთი სამჯერ მოხსნეს, სამჯერვე პერიმეტრზე გაიტანეს და არაზუსტად სტყორცნეს. ამ დროს ბოლონიური ამბები გამახსენდა და მეოთხე ჯერზე ბურთი არავის დავუთმე. შემდეგ ჩემზე დაჯარიმდნენ, ორივე ტყორცნა გამოვიყენე, 4 ქულის სხვაობით დავწინაურდით და მეტოქე უშანსოდ დავტოვეთ. შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთმა თანაგუნდელმა მითხრა, მოხსნისას ისეთი სახე გქონდა, რომ შემოგხედე, შემეშინდაო.

**- ჯერ 17 ქულა ჩააგდე, შემდეგ – 19, მომდევნო თამაშში რამდენს აპირებ?**

- ეს მთავარი არ არის. მთავარია, რომ გუნდი წინ მიდის და პლეიოფზე სერიოზულად ფიქრობს.

**- მხოლოდ პლეიოფზე?**

- მართალია, სატურნირო ცხრილში სამეულში ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. იტალიაში ბევრი კარგი გუნდია და სეზონის ბოლომდე ასე თამაში გაგვიჭირდება, თუმცა გუნდში არსებული ჯანსაღი ატმოსფერო მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ წლეულს "ტერამო" მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**- იტალია-საქართველოს საფეხბურთო მატჩზე ხომ არ ყოფილხარ?**

- წასვლა ძალიან მსურდა, მაგრამ სწორედ მაშინ სევილიური ჯინსების მაღაზიის გახსნაზე ვიყავი. ამ ფირმასთან კონტრაქტი მაკავშირებს და რომ არ წავსულიყავი, არ შეიძლებოდა.

**- დღეს, საქართველოს ნაკრების ამბებს როგორ იხსენებ?**

- ახლა ახალ გზას ვადგავარ და ვცდილობ, ყველაფერი თავიდან დავიწყო. ნაკრებსმილმა დარჩენასაც აღარ ვიხსენებ, თუმცა, როცა ამაზე ვფიქრობ, გული მწყდება – გუნდში მეც რომ ვყოფილიყავი, შეიძლება ფლეიოფში გავსულიყავით. მაგრამ ნაკრებმაც ყველაფერი ახლიდან უნდა დაიწყოს და, როგორც აქამდე, ეროვნულში სათამაშოდ ყოველთვის მზად ვიქნები.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# კიდევ სად შეიძლება ლიცენზიის აღება?

მოჭიდავეებმა წლევანდელი სეზონი დაასრულეს და ჯერჯერობით, ისვენებენ, თუმცა დასვენება ამას პირობითად ეთქმის. უბრალოდ, ჯერ იმდენად არ იტვირთებიან, როგორც 1-2 თვის წინათ, თორემ მომავალი სეზონისთვის ნელ-ნელა აქედანვე ემზადებიან. თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები 23 ოქტომბერს ერევანში მიფრინავს, სადაც 26-28 ოქტომბერს სტეფან სარგსიანის სახელობის ტურნირი ტარდება. მასში საქართველოდან მოზრდილი, დაახლოებით 18-კაციანი გუნდი გამოვა. ძირითადად სათადარიგო მოჭიდავეები, რომლებიც პირველხარისხოვან ტურნირებში შედარებით იშვიათად გამოდიან. ამ პირობებში ერევანი მისწრებაა - ტერიტორიული სიახლოვის გამო იქ წასვლა დიდ ფინანსურ ხარჯებთან არაა დაკავშირებული. ჯერ დაზუსტებით არაა ცნობილი, იქნებიან თუ არა მათში ეროვნული ნაკრების ლიდერები. ბუნებრივია, იქ წასვლას მწვრთნელები არავის აძალებენ, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს, არც დაუშლიან.

საგაისო კალენდარში პირველი ოფიციალური ტურნირი საქართველოს ჩემპიონატია, რომელსაც "თავისუფლები" იანვრის ბოლოს ჩაატარებენ, "ანტიკოსები" - თებერვლის დასაწყისში. ცხადია, ესეც საერთაშორისო კალენდარითაა გამოწვეული - მწვრთნელები სწორებას იმ სეზონის მნიშვნელოვან ტურნირებზე აკეთებენ და ცდილობენ, შეგირდები მათ პიკში შეახვედრონ. არადა, მომავალი სეზონი მართლაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ევროპის ჩემპიონატიც ტარდება და ორივე სახეობაში ორ-ორი სალიცენზიო ტურნირიც.

წლევანდელ მსოფლიო პირველობაზე ხელმოცარულ ფალავნებს პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად სწორედ ეს სამ-სამი შანსი რჩებათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ლიცენზიები ბლომად გვაქვს საძიებელი - ბაქოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე "თავისუფლებმა" 2, "ანტიკოსებმა" კი 3 საგზური მოიპოვეს. აქვე შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობა გაისად ფინურ ტამპერეში ჩატარდება და იქ მხოლოდ ერთი ლიცენზია გათამაშდება. ძირითადი ტურნირის გამართვამდე ყოველ წონაში ულიცენზიოდ დარჩენილებისთვის ცალკე შეჯიბრება გაიმართება და სწორედ მისი გამარჯვებული მიიღებს ლიცენზიას. რაც შეეხება სალიცენზიო ტურნირებს, "თავისუფლები" პირველ მათგანში 18-20 აპრილს შვეიცარიულ მარტინიში იჭიდავებენ, მეორე კი 3-4 მაისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართება. "ანტიკოსთა" პირველი ანალოგიური ტურნირი 9-11 მაისს იტალიურ ოსტიაში ჩატარდება, მეორე - იმავე თვეში სერბულ ნოვი სადში. ორივე სახეობიდან პირველ ტურნირებში ლიცენზიებს ხუთეულში მოხვედრილები ანუ ყოველ წონაში 6-6 კაცი მიიღებს, მეორეში - მხოლოდ მედალოსნები ანუ წონაში 4-4 ფალავანი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სალიცენზიო ტურნირებში ქვეყანა იმ წონაში ვერ გამოიყვანს მონაწილეს, სადაც საგზური უკვე მოპოვებული აქვს.

26-28 ოქტომბერს ორივე სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდები სტამბოლში საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

ისტორია

# ქართული ოლიმპიური თამაშები?

## რას წერდა გაზეთი დროება 125 წლის წინათ

"ვინმე მესხი" - ამ ხელმოწერით 1882 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ "დროებაში" გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც ავტორი სოფელ ხიზაბავრიდან დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ძველ საქართველოში, კერძოდ, მესხეთში იმართებოდა ბერძნულის მსგავსი ოლიმპიური თამაშობანი. აქვე დავძენთ, რომ "ვინმე მესხის" ვინაობა ცნობილია. ეს გახლდათ **ივანე პავლეს ძე გვარამაძე,** რომელიც სისტემატურად თანამშრომლობდა ზემოხსენებულ გაზეთში.

კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

"მთელი სათალახ-ხეობისა და მუსხისა სარბიელი (ასპარეზი) ეს ზველის მინდორვაკე ყოფილა. სამ წელს აქ მოიყრიდა თურმე თავს ერობა, ყველიერებში სავარჯისოდ, ვაჟკაცების გამოსაცდელად და სხვ. დახელოვნებულ სამამაცო ზნეობაში. არჩევდნენ თავ გმირებს და მეოთხე წელიწადს გარდავიდოდნენ ვანის მთისაკენ ცხრა-წყაროს ველობზედ და იქ შესრულდებოდა საქვეყნო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი ვარჯისი.

ზველიდან მეორე გზა გარდმოვა სოფ. ერკოტას. აქაც მართლ-მადიდებელნი არიან 14 მოსახლე და ერთიც მაჰმადიანი. ერკოტა სახელი ნიშნავს ერის - კოტაობას (ვარჯისს, თუ კეჭნაობას).

ხერთვისის ხეობასაც აქ სცოდნია თავ-მოყრა და დახელოვნება ყოველ წლივ საგმირო ზნეობაში და მეოთხე წელს თურმე ესენიც გარდმოდიოდნენ ცხრა-წყაროს საქვეყნო ყრილობაში თავთავიანთ ვაჟკაცების თავ-გამოსაჩენად!

ძველის-ძველად ბევრ ნაირი საგმირო ვარჯისები იყო ჩვენს სამესხო საქართველოში, რომელთ უმეტესი ნაწილი დღესაც არის დაშთენილი, უფრო სამესხეთოს ერობაში. არგონავოსანთ შემოსვლისას კოლხიდაში 1260 წლის წინ ქრისტეზედ განითქვა ბერძნული ვარჯისობა, იაზონის თანხლებული გმირებისაგან დაშთენილი; იმ დროს ხმარებულს ბერძნების საგმირო ვარჯისები პირველი იყო "არგიული", რომელიც შემოვიდა კოლხიდაში, მეორე "ისტიმიური", მესამე "ზივთიური", მეოთხე "ნემეიური". ეს ვარჯისები შემდგომში ელისელმა იბიტომ გარდააკეთა "ოლიმპიურ" ვარჯისად, ოლიმპოს ქალაქის მახლობლად 888 წლის წინათ ქრისტ. და ამისთვის მიილო ოლიმპიის წოდება. მით მისი ქორონიკონი დაწესდა 776 წლის წინ ქრისტეზედ".

შემდეგ დახასიათებულია ქართული ოლიმპიური თამაშების პროგრამა, რომელიც ზედმიწევნით ჰგავს ბერძნულს.

ისე, როგორც საბერძნეთში, ცხრა-წყაროზე "გამარჯვებულს ფიჭვის ტოტებიდან შედგენილის გვირგვინით დააჯილდოებდნენ, ან დაფნისა და ან ძეწნისა".

ავტორის გადმოცემით, თამაშობის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისეთ ვარჯიშებშიც, როგორიცაა: "კუნძის თრევა, მძიმე ნივთების აწევა, ხტომა, თავმოვლა, ჯორებუნა, ციხებუნა და სხვა მრავალგვარი, რომელიც დღესაც ხმარებულია დიდი ნილი სამესხეთში თითქმის ყველგან".

"მაგრამ, - შენიშნავს კორესპონდენციის ავტორი, - დღითი-დღე ცივდება ეს დიდად სასარგებლო ჩვეულება საზოგადოდ და დავიწყებაზედ მიდის. სახელმწიფო გარდასახადი, უსინდისო მოხელე, მეზობლის ჩაგვრა, მოსამართლეების ქრთამი, ბატონის სამსახური, მღვდლის სამლოცველო და მისთანები ათას სულ გლეხობის ზურგის ტვირთად არის გამხდარი. იმათ ზიდვას ველარც კი ასვლია და სათამაშო სავარჯისოდ სადა სცალია?"

სამწუხაროდ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიის წყაროებში არსადაა მითითებული ზემოხსენებულ თამაშებზე. თუმცა, იქნებ, ეს მომავლის საქმეა...

ხელბურთი

ინტერვიუ სერგო დათუკიშვილთან



სერგო დათუკიშვილი

# გულშემატკივარი არ უნდა გავაწბილოთ!

**სერგო დათუკიშვილი საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. იგი პირველი და ერთადერთი ქართველია, რომელიც მსოფლიოს უძლიერეს ჩემპიონატად აღიარებულ ბუნდესლიგაში თამაშობს. სერგოს უმაღლეს კლასზე ისიც მეტყველებს, რომ ესოდენ ძლიერი ლიგის ბომბარდირთა ექვსეულშია და პირველადგილოსნისგან არც ისე ბევრი გოლი აშორებს.**

**გუშინ, სერგოს ლიუბეკში შევეხმიანეთ და კლუბსა და საქართველოს ნაკრებზე ვესაუბრეთ.**

**- სერგო, როგორც ვიცი, შვედური "ისტადიდან" წამოსვლა არ გინდოდა. როგორ აღმოჩნდი ბუნდესლიგაში?**

- მართალია, ბუნდესლიგა პლანეტის უძლიერეს ჩემპიონატად ითვლება, მაგრამ შვედებსაც საკმაოდ კარგი პირველობა აქვთ, თანაც იქაურობას მშვენივრად ვიყავი შეგუებული, არც პირობებს ვუჩიოდი და სხვაგან წასვლის დიდი სურვილი ჯერ მართლაც არ მქონდა. თუმცა, შარშანდელი სეზონის ბოლოს, "ისტადს" ფინანსური პრობლემები შეექმნა, ლიდერები ვერ შეინარჩუნა და სხვა რა გზა მქონდა. იყო რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ყველას ვამჯობინე "ტუს ენ ლიუბეკი".

**- "ლიუბეკმა" სუსტად დაიწყო სეზონი და ბოლოდან მესამე ადგილზეა. რა არის ამის მიზეზი?**

- შემადგენლობა. არ გვყავს ისეთი ხელბურთელები, რომ წლეულს მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ამიტომაც, ჩვენი ძირითადი მიზანია ბუნდესლიგაში დარჩენა.

**- შეძლებთ ამის გაკეთებას?**

- იმედია, არ გავვარდებით. სეზონი ჯერ ახალი დაწყებულია და წინ ბევრი თამაშია. საერთოდ, ბუნდესლიგა ისეთი ტურნირია, რომელშიც არცერთ გუნდს წინასწარ გარანტირებული არ აქვს მოგება. აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი გუნდები ლიდერებს ამარცხებენ. თუკი ჩვენი დონის მეტოქეებს დავამარცხებთ და რამდენიმე სენსაციასაც გამოვკრავთ ხელს, ლიგაში დარჩენა რეალურია. მოკლედ, ყველაფერი ჩვენს ხელთაა და შევეცდებით, გაისადაც ბუნდესლიგაში ვითამაშოთ.

**- ამჟამად, ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში მეექვსე ადგილზე ხარ და თანაგუნდელები ამ კომპონენტში გვარიანად ჩამოგრჩებიან. "ლიუბეკის" თამაში შენზეა აწყობილი?**

- მეექვსე ადგილზე საერთო გოლებით ვარ, თორემ პენალტიდან გატანილი გოლები რომ გამოვაკლოთ, მეორე ადგილზე ვიმყოფები. ლიუბეკში პენალტებს უფრო სხვები არტყამენ, მე მხოლოდ ორი შვიდმეტრიანი მაქვს გატანილი. ჩემზე წინ მყოფ ბომბარდირებს კი 8, 17, 24 და 36 პენალტი აქვთ შეგდებული...

საერთოდ, ხელბურთში უმჯობესია, რომ გუნდურად თამაშობდე, მაგრამ მწვრთნელები მართლაც ჩემზე აწყობენ თამაშს და ამიტომაც გამაქვს ამდენი გოლი.

**- პირველი ბომბარდირობისთვის ბრძოლას აპირებ?**

- ვნახოთ, ჯერ კიდევ ბევრი მატჩი მაქვს სათამაშო და თუკი მექნება ამის შანსი, რატომაც არა. ბომბარდირობა კარგია, მაგრამ უფრო მთავარი ის არის, რომ მეორე ბუნდესლიგაში არ გავვარდეთ. მე ჩემს საქმეს გავაკეთებ და დანარჩენი სეზონის ბოლოს გამოჩნდება.

**- კონტრაქტით რამდენი ხნით ეკუთვნი "ლიუბეკს"?**

- 1+1 სისტემით გავაფორმეთ ხელშეკრულება. სეზონის ბოლოს დავჯდები კლუბის ხელმძღვანელობასთან, დავილაპარაკებთ და თუკი მეღირება დარჩენა, მომავალ წელსაც "ლიუბეკში" ვითამაშებ. მთავარი ის არის, რომ გუნდი ბუნდესლიგიდან არ გავარდეს და გაისად უფრო გაძლიერდეს.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ, რომელიც 25-27 ოქტომბერს, "ჩელენჯ ტროფიზე" ითამაშებს. როდის ჩამოდიხარ თბილისში?**

- 23 ოქტომბერს, ღამით გამოვფრინდები და 24 ოქტომბერს უკვე გუნდთან ერთად ვიქნები. მართალია, ცოტა ადრე ჩამოსვლა მინდოდა, მაგრამ კლუბი არ მიშვებს.

**- "ჩელენჯ ტროფიზე" ჩვენს მეტოქეებზე რას ფიქრობ?**

- მეტოქეების დაუფასებლობა არ შეიძლება, მაგრამ უმჯობესია, სხვებზე კი არა, ჩვენს ნაკრებზე ვიფიქროთ. თბილისში ვთამაშობთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საკუთარი გულშემატკივარი გავახაროთ.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი მერვედფინალში

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ქალმა **მაკა ჩახნაშვილმა** (162) წარმატებით გადალახა ფრანგული სან რაფაელის (საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი) ძირითადი ბადის პირველი ეტაპი. ტურნირში წინასწარი მონაცემით მაკას თამაში საკვალიფიკაციო ბადიდან უნდა დაეწყო, თუმცა ბოლო დღეს შეჯიბრებას რამდენიმე ჩოგბურთელი გამოაკლდა და მაკაც ძირითად ბადეში ჩასვეს. პირველ წრეში ჩახნაშვილის მეტოქე ფრანგი **ფლორენს ჰარინგი** (316) იყო, რომელიც სან რაფაელში "უაილდ ქარდით" მიიწვიეს. პირველი სეტი მაკამ პირწმინდად წააგო - 1:6, თუმცა მერე გამოფხიზლდა და 7:5, 6:4 იმარჯვა. ეს შეხვედრა პირველ წრეში ყველაზე დაძაბული გამოდგა, მატჩი ორ საათსა და ათ წუთს გაგრძელდა. მერვედფინალში მაკა ებრაელ **ციპი ობლიზერს** (88) შეხვდება, რომელიც სან რაფაელში მეორე ნომრადაა განთესილი. ისინი აქამდე ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ანგარიში თანაბარია - 1:1. სან რაფაელის ტურნირის წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილმა ბელარუს **ქსენია მილევსკაიასთან** დუეტში იოლად აჯობა იტალიელ **კლერიკოსა** და ბერძენი **კუმანტუს** წყვილს - 6:1, 6:2.



მაკა ჩახნაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

BTA Silk Road Bank
კვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group

# ბაჯაღლო გულები: მარსელ დესაი, ჯექსონ რიჩარდსონი და ილია მაისურაძე

## მე ლოკომოტივში ვითამაშებ, ნაკრებში შეიძლება უმცროსმა ძმამ შემცვალოს...



ილია მაისურაძე (მარცხნივ) ირლანდიასთან მატჩში

**საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი ილია მაისურაძე ერთ-ერთი იმ ბორჯღალოსანთაგანია, რომელიც მალე ეროვნულ გუნდს გამოეთხოვება. ილიას სანაკრებო კარიერის შემდეგ საკმაოდ სერიოზული გეგმები დაუსახავს, რამაც ნაკრების კონსულტანტ ანრი ბრონკანს თავის ქრონიკებში ათქმევინა - ქართველ მორაგბეებს ბაჯაღლო გული აქვთო. რატომ დაასკვნა ასე ბრონკანმა, ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი ილია ნაკრებიდან წასვლის მიზეზებზე გვიამბობს.**

- ნაკრებში საკმაოდ ვითამაშე. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, არაფერი დამიშურებია. ასაკიც ისეთი მაქვს, გზა ახალ თაობას უნდა დავუთმო, მით უფრო, რომ ძალიან კარგი ახალგაზრდა მესამეხაზელები გვეზრდებიან - შალვა სუთიაშვილი, დიმიტრი ბასილაია, ჩემი ძმა სიმონ მაისურაძე და სხვები. ბასილაია, რომელიც ამჟამად "კლერმონის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს, მიმაჩნია, რომ ამომავალი ვარსკვლავია. ასე რომ, დრო დადგა, ასპარეზი ამ ბიჭებს დავუთმო.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რაგბის თამაშს თავს არ ანებებთ.**

- არა. ბობა კვინიხიძე და ნონო ანდღულაძე ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან. ერთად დავიწყეთ რაგბის თამაში და მათთან ერთადვე მინდა დავამთავრო. ამიერიდან "ლოკომოტივში" ვითამაშებ და ახალგაზრდა მორაგბეებს გავუზიარებ დაგროვილ გამოცდილებას.

ამის გარდა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ბავშვთა რაგბის კომიტეტში შემომთავაზა საქმიანობის დაწყება. აქ განვითარების მენეჯერი ნონო ანდღულაძეა და მეც მასთან ერთად ვიმუშავებ. რაც კი მინახავს საფრანგეთში საკმაოდ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში და რა ცოდნაც მიმიღია, მაქსიმალურად გამოვიყენებ ჩვენი რაგბის მომავლისთვის.

**- საფრანგეთში ბოლოს ფედერალ 2-ის "ნანტში" ასპარეზობდით. თითქოს სეზონი ცუდი არ ჰქონია თქვენს გუნდს...**

-"ნანტს" ფინანსური პრობლემები შეექმნა და გაკოტრდა. წელს ბევრ გუნდს დაემართა ასე. მომავალში გაკოტრებული გუნდების რაოდენობა ალბათ, უფრო გაიზრდება. პროფესიონალიზმის მოძალებასთან ერთად სპონსორები მეტ ყურადღებას აქცევენ, რამდენად მომგებიანია მარკეტინგული თვალსაზრისით ამა თუ იმ გუნდში დაბანდებული ფული. ახლა ყველა ცდილობს სპონსორობა ისეთ გუნდს გაუწიოს, ვისაც სერიოზული წარმატების მიღწევს შანსი აქვს, ამიტომ პატარა გუნდებს ძალიან უჭირთ. ერთადერთი მშველელი ამ სიტუაციაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს. ცხადია ყველა არა, მაგრამ მერიების უმრავლესობა თავიანთი ქალაქის გუნდებს მთლიანად უნაზღაურებს ხარჯებს. თუმცა ეს დამოკიდებულია თვით კონკრეტული ქალაქის მმართველების პოლიტიკაზე. მაგალითად ნანტში ძლიერი საფეხბურთო კლუბია და აქედან გამომდინარე, რაგბი ნაკლებად პოპულარულია. ამიტომაც შეექმნა ჩემ გუნდს პრობლემები.

**- ცხადია, არ შემიძლია არ გკითხოთ მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების გამოსვლის შესახებ.**

- ჩვენი ნაკრები ნელ-ნელა იზრდება, პროგრესს განიცდის. მსოფლიო თასზე რაც შეგვეძლო მაქსიმალურად გავილეთ. მთელ მსოფლიოს ვანახეთ ჩვენი სახე, იდენტურობა. ჩვენმა ხელისუფლებამაც დაინახა, თუ რას შეგვიძლია მივაღწიოთ მინიმალური პირობებით. ხომ ლოგიკურია, თუ არაფრიდან ამდენს ვაღწევთ, გაცილებით უკეთესი პირობების შექმნის შემთხვევაში კიდევ უფრო წინ წავალთ. მე ვიცნობ იმ პროგრამას, რომელზეც რაგბის კავშირი და ხელისუფლება ერთდროულად მუშაობენ. გარწმუნებთ, თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, ძალიან წინ გადავდგამთ ნაბიჯს ისე, რომ განვითარების ერთბაშად რამდენიმე საფეხურს გადავახტებით.

**- საქართველოს ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი ფრანგულ სარაგბო გაზეთ "მიდი ოლიმპიკში" გამოქვეყნებულ ქრონიკაში წერდა: "ილია მაისურაძე რაგბიდან მიდის. ის სამშობლოში ბრუნდება და სპეციალური ფონდი უნდა დააფუძნოს, რომელიც მიუსაფარ ბავშვებს უპატრონებს. ქართველ მორაგბეებს ნაღდად ბაჯაღლოს გული აქვთ". რა ფონდზე საუბრობდა ბრონკანი?**

- საფრანგეთში არსებობს ასეთი ასოციაცია სახელად "კოლექტივი", რომლის დამფუძნებლებიც არიან ფეხბურთელი მარსელ დესაი, კალათბურთელი ჯექსონ რიჩარდსონი და ფრენბურთელი ლორან შამბერტანი. ასეთ საპატიო კომპანიაში მეც ვარ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამ ასოციაციის საქმიანობა მიუსაფარ ბავშვთა პატრონობაა. პირველი პროექტი ასოციაციამ ბრაზილიაში განახორციელა, მეორე განაში, მესამე პროექტი გვინდა საქართველოში განვახორციელოთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ასოციაცია იუნესკოში გაერთიანდა, რამაც პროექტების მაშტაბურობა გაზარდა. ამჯერად ჩვენი მიზანია, საქართველოში დავაარსოთ სკოლა სადაც მიუსაფარ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს შევკრებთ. დღის პირველ ნახევარში გაკვეთილები ჩაუტარდებათ, მერე კი სპორტის სხვადასხვა სახეობაში ივარჯიშებენ. სურვილის მიხედვით, მათ საშუალება მიეცემათ, რაგბში, ჭიდაობასა და ფეხბურთში ივარჯიშონ.

პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. შევხვდი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვისაუბრეთ, მათი დახმარების გარეშე ამ პროექტის ხორცშესხმა წარმოუდგენელია. თანაც იუნესკოც დაგვეხმარება. ყველა ჩემი პარტნიორი, რომელიც ზემოთ დავასახელე საქართველოში ჩამოვა და უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას ამ პროექტის განხორციელებაში. ვნახოთ, მათი მხრიდან ყოველნაირი მხარდაჭერა მექნება. ახლა ჯერი სახელმწიფოზეა. ვფიქრობ, ძალიან კარგ წამოწყებას ჩაეყრება საფუძველი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## ვინ დაარტყამს პენალტებს?

გუშინ, ფინალამდე სამი დღით ადრე, ერთი ფინალისტის შემადგენლობა გახდა ცნობილი. **ბრაიან ეშტონმა** დაშავებული **ჯოშ ლუსის** ნაცვლად მარცხენა ფრთაზე დააყენა **მარკ კუეტო**, რომელმაც ტრავმა მოირჩინა. **დან ჰიპკისი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა, ხოლო ინგლისიდან საგანგებოდ გამოძახებული **ნიკ აბენდენონის** სამსახური ეშტონს არ დასჭირდა. გუშინვე **მარსელო ლოფრედამ** გამოაცხადა თავისი გუნდი საფრანგეთთან ბრინჯაოს მედლის მატჩისთვის.

სამხრეთაფრიკელთა თავკაცმა **ჯეიკ ვაითმა** კი ჯერ დაასახელა მხოლოდ ხუთეული, რომელიც... პენალტებს დაარტყამს!

საქმე ასეა. ფინალი, რა თქმა უნდა, შესაძლოა, ფრედ დამთავრდეს. ამის შემდეგ დაინიშნება ორი ათწუთიანი ტაიმი, შემდეგ მესამე ათწუთიანი პირველ ქულამდე და თუ აქაც ფრე იქნა... წინა მსოფლიო თასზე არეკნების სერია იყო, მაგრამ ახლა ხუთ-ხუთ საჯარიმოს დაარტყამენ 22 მეტრიან ხაზზე საგანგებოდ გამოყოფილი სამი წერტილიდან.

ვაითის დამრტყმელი ხუთეული ასეთია: **პერსი მონტგომერი, ბუჩ ჯეიმზი, ფრანსუა შტაინი, ანდრე პრეტორიუსი, რუან პინარი**. ორი უკანასკნელი ფინალში სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

### ინგლისი ფინალში

15. ჯეისონ რობინსონი 14. მარკ კუეტო 13. მეთიუ ტეიტი 12. მაიკ ქეთი 11. ჯოშ ლუსი 10. ჯონი ვილკინსონი 9. ენდი გომერსოლი; 1. ენდი შერიდანი 2. მარკ რიგანი 3. ფილ ვიკერი (კაპ) 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. მარტინ ქორი 7. ლუის მუდი 8. ნიკ ისტერი / 16. ჯორჯ ჩატერი 17. მეტ სტივენსი 18. ლოურენს დალალიო 19. ჯო ვორსლი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ტობი ფლუდი 22. დან ჰიპკისი

### არგენტინა საფრანგეთთან

15. იგნასიო კორლეტო 14. ფედერიკო მარტინ არამბურუ 13. გონსალო ტიესი 12. ფელიპე კონტეპომი 11. ორასიო აგულა 10. ხუან მარტინ ერნანდესი 9. აგუსტინ პიშო (კაპ); 1. როდრიგო რონსერო 2. ალბერტო ვერნეტი 3. ომარ ჰასანი 4. რიმას ალვარესი 5. პატრისიო ალბასეტე 6. მარტინ დურანი 7. ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე 8. გონსალო ლონგო / 16. მარკოს აიერსა 17. ეუსებიო გინიასუ 18. ესტებან ლოსადა 19. ხუანმანუელ ლეგისამონი; 20. ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა 21. ფედერიკო ტოდესკინი 22. ერნან სენილიოსა

ძიუდო

# ოთხი ვაჟკაცის მემორიალი გორში

ახლო წარსულის ტიტულოვანი ქართველი ძიუდოისტები **კობა კურტანიძე, აკაკი კიბორძალიძე, ენგურ გოგიჩაიშვილი** და **ლერი ნაკანი** მეგობრები იყვნენ. რა თქმა უნდა, ერთი სახეობის, მით უფრო ერთი თაობის სპორტსმენთა მეგობრობა მოულოდნელი არავისთვისაა, მაგრამ ბედის უკუღმართობით ისე მოხდა, რომ ყველა მათგანმა ნაადრევად დატოვა წუთისოფელი (მათ შორის სამი ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა) და ოთხივე მართალია სხვადასხვა დროს, მაგრამ ორმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა.

13 ოქტომბერი კობა კურტანიძის დაბადების დღეა. გასული წელს, ამ დღით, მისმა მეგობრებმა კურტანიძის სახელობის რეგიონული ტურნირი ჩაატარეს ქართულ ჭიდაობაში. შარშან, აღნიშნული ტურნირის შესახებ ჩვენთან საუბრისას გორისა და გორის რაიონის სპორტის სამსახურის უფროსმა **გია თენაძემ** გვითხრა, რომ მემორიალი ტრადიციული გახდებოდა, ამიერიდან ჩატარდებოდა უკვე ძიუდოში და მასში მონაწილეობას არა მხოლოდ შიდაქართლელი ფალავნები მიიღებდნენ. იქვე ბატონმა გიამ გაგვიმხილა სურვილიც, რომ თანამოაზრეებთან ერთად უნდოდა საფუძველი ჩაეყარა ერთ ასაკში უდროოდ გარდაცვლილი ოთხი მეგობარი ფალავნის - კურტანიძის, კიბორძალიძის, გოგიჩაიშვილისა და ნაკანის ხსოვნის შეჯიბრებისათვის ძიუდოში.

და აი, მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში, ამ ოთხი ძიუდოისტის ხსოვნის ტურნირს მართლაც ჩაეყარა საფუძველი. სპორტსმენები პირველობისათვის მხოლოდ ოთხ (73, 81, 90 და +90) წონით კატეგორიაში იბრძოდნენ. მონაწილეობდნენ მოჭიდავეები თბილისიდან, მცხეთიდან, ახმეტიდან, თელავიდან, საგარეჯოდან და შიდა ქართლის რაიონებიდან. შეჯიბრებას წარსულის არაერთი ტიტულოვანი ფალავანი და მწვრთნელი ადევნებდა თვალ-ყურს. მთავარი მსაჯები იყვნენ ძიუდოს ცნობილი სპეციალისტები **გივი ზაუტაშვილი** და **გურამ პაპიტაშვილი**. გადამწყვეტი ორთაბრძოლებისას ტატამზე მსაჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმაც** გასწია.

73 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა და ლერი ნაკანის სახელობის პრიზი ერგო გორელ **ზურაბ გუჩმაზოვს**, II ადგილზე გავიდა **პაატა დათაშვილი** (გორი), ხოლო III-ზე **მინდია ხომიზური** და **ნიკა ბაშარული** (ორივე თბილისი);

81 კგ-ში პირველობა და ენგურ გოგიჩაიშვილის სახელობის პრიზი დაიმსახურა თბილისელმა **ლევან ნიკლაურმა**, მეორე იყო **შოთა ვანიშვილი** (გორი), III — **დევიკო გობეჯიშვილი** (საგარეჯო) და **ვალერი გუგავა** (თბილისი).

90 კგ-ში პირველობა და კობა კურტანიძის სახელობის პრიზი არავის დაუთმო რამდენიმე დღის წინ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულმა **ვალერი ლიპარტელიანმა** (თბილისი), II ადგილზე გორელი **პაატა ღვინიაშვილი** გავიდა, III ადგილი გაიყვეს **გიორგი ცოციაშვილმა** (მცხეთა) და **თემურ ტყემალაძემ** (თბილისი).

ბოლოს კი მძიმე წონით კატეგორიაში გამოვლინდა გამარჯვებული, რომელიც, ისევე როგორც აკაკი კიბორძალიძის სახელობის პრიზი, **გიორგი პურიჭამიაშვილმა** (გორი) დაისაკუთრა, მეორე ზე გავიდა **ვალერი იმერლიშვილი** (თბილისი), III ადგილი —**აჩიკო ასტამაძე, იასონ პურიჭამიაშვილი** (ორივე გორი).

*„ამ ტურნირის ჩატარების დიდი სურვილი გვქონდა და სასიხარულოა, რომ გორის კულტურისა და სპორტის სამსახურმა მოახერხა მისი ხორცშესხმა. მაყურებელი, რომელიც შეჯიბრებას თვალს ადევნებდა, დამეთანხმება, რომ დღეს ერთობ საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლების მოწმე გავხდით. ვფიქრობ, ორგანიზაციული თვალსაზრისით იგი დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ მომავალში კიდევ უფრო უკეთესი გახდება, გვინდა, სამომავლოდ ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონების წარმომადგენლებიც ჩავრთოთ, რომლებმაც ამჯერად ვერ მიიღეს მონაწილეობა. გარდა ამისა, დღეს, გორში, საქართველოს ნაკრების რამდენიმე ძიუდოისტიც იჭიდავებდა, რომ არა ბაქოში მიმდინარე მსოფლიო თასის სალიცენზიო ტურნირი, რომელშიც ჩვენი ნაკრები ამჟამად ასპარეზობს. დღევანდელი ჩვენი შეჯიბრება კი ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და ყოველი წლის 13 ოქტომბერს გაიმართება. ამავდროულად, არ ვაპირებთ არც კონკრეტულად კობა კურტანიძის მემორიალის შეწყვეტას და მისი ხსოვნის საპატივსაცემო ტურნირსაც აუცილებლად გავმართავთ, რომლის ჩატარების თარიღიც მალე გაირკვევა, შესაძლოა, იგი კობას გარდაცვალების დღეს დავამთხვიოთ"* - განაცხდა „ლელოსთან" საუბარში გორისა და გორის რაიონის სპორტის სამსახურის უფროსმა **გია თენაძემ**.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## ჰექტი ბაფალოში რჩება

"ბაფალო სეიბრზმა" 2012 წლის ზაფხულამდე გააგრძელა კონტრაქტი გერმანელ ლეგიონერ **იოხენ ჰექტთან**.

ამ სეზონში, 30 წლის კაპიტანმა 5 მატჩი ჩაატარა და 4 ქულა დააგროვა. ჰექტის ანგარიშზე ორ-ორი გოლი და შედეგიანი პასი მოდის.

## ანაჰაიმმა თავდამსხმელი გამოიძახა

სტენლის თასის მფლობელი "ანაჰაიმ დაქსი" შეტევის გაძლიერებისთვის ზრუნავს. ამ მიზნით, "იხვების" ხელმძღვანელობამ ამერიკის ჰოკეის ლიგის (AHL) ფარმ-კლუბ "პორტლენდიდან", ფინელი ცენტრალური თავდამსხმელი **პეტერი ვირტანენი** გამოიძახა.

21 წლის ჰოკეისტი "ანაჰაიმმა" 2006 წლის დრაფტის მე-6 რაუნდში აირჩია.

## გრეტცკი კანადელთა რჩეულია

საინფორმაციო სააგენტო TSN-მა კანადაში საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა. მისი მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ ვინ არის ქვეყანაში, ბოლო ათწლეულის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი.

გამოკითხვაში დიდი უპირატესობით ჰოკეისტმა **უეინ გრეტცკიმ** გაიმარჯვა - მან ხმების 55 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზეც ასევე სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელია - "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი და გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე, **სიდნი კროსბი** (19 პროცენტი). სამეულში მოხვდა გოლფისტი **მაიკ ვეირი** (16.8).

სიაში მომდევნო ადგილები ასე გადანაწილდა: კალათბურთელი **სტივ ნეში** (12.8), ჰოკეისტები **მარიო ლემიე** (9.8) და **მარკ მესიე** (3.9), ციგურებით მორბენალი **კატრიონა ლე მეი-დოუნი** და მორბენალი **დონოვან ბეილი** (ორივეს 3.7 პროცენტი).

ერთ პროცენტზე ნაკლები ხმა მიიღეს ჰოკეისტებმა - **ჯერომ იგინლამ, ტრევორ ლინდენმა, პატრიკ რუამ, ჯო საკიკმა** და **ტაი დომიმ**.

კალათბურთი

## ნენე და ტელფეირი ორ-ორ თამაშს გამოტოვებენ

მხარის ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული **ნენე ილარიო** კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამჯერად, "დენვერ ნაგეტსის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ფეხი დაიზიანა და ამის გამო, ორი საკონტროლო შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

შარშან, 25 წლის ნენემ 64 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 12.2 ქულასა და 7.0 მოხსნას უტოლდებოდა.

■ ■ ■

ასევე ორ საკონტროლო შეხვედრაში არ იქნება "მინესოტა ტიმბერვულვზის" გამთამაშებელი **სებასტიან ტელფეირი**. ჩვენ უკვე ვწერდით ამ კალათბურთელის ტრავმის შესახებ. როგორც უკანასკნელმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, 22 წლის კალათბურთელის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ის რეგულარული ჩემპიონატის სტარტისთვის მწყობრში იქნება.

ტელფეირს მუხლი აქვს დაზიანებული.

## ჰემილტონი ორ კვირაში დაბრუნდება

დადგინდა "დეტროიტ პისტონზის" ერთ-ერთი ლიდერის, **რიჩარდ ჰემილტონის** ტრავმის ხარისხი. როგორც იცით, მცველმა მარცხენა ფეხი "დენვერთან" კვირას ჩატარებულ მატჩში იტკინა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ჰემილტონის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და კალათბურთელს საწვრთნელი შეკრების დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს.

თუმცა, "დეტროიტის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, რომ რიჩარდი რეგულარულის პირველ შეხვედრაში მოედანზე იქნება.

ფორმულა 1

## ფიზიკელა რენოში დარჩენას იხვეწება

"რენოს" იტალიელმა პილოტმა **ჯანკარლო ფიზიკელამ** განაცხადა, რომ არ სურს ფრანგული საჯინიბოს დატოვება და ხელმძღვანელობისგან ახალი კონტრაქტის შეთავაზებას ელის.

*"აქ დარჩენა ძალიან მინდა. "რენოში" მრავალი წელიწადი გავატარე და ვფიქრობ, ძალიან ბევრი გავაკეთე მისი ბოლოდროინდელი წარმატებებისთვის. ვგრძნობ, ამით ჩემი მისია ჯერ არ ამოწურულა და იმედი მაქვს, რომ "რენოს" შეფობა ჩემთან კონტრაქტის გაგრძელებას მოისურვებს"*, - მოჰყავს ფიზიკელას სიტყვები სააგენტო "როიტერს".

ჩოგბურთი

## სერენა მადრიდში წავა

ნელ-ნელა იკვეთება ქალთა შორის სეზონის შემაჯამებელი ტურნირის კონტურები. ჩემპიონატის რვა მონაწილიდან უკვე ხუთი ჩოგბურთელია ცნობილი.

გასულ კვირას ჩატარებული ტურნირების შედეგების მიხედვით, მადრიდში თამაშის უფლება მოიპოვა ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**, რომლისთვისაც ეს მსგავს ტურნირში მეშვიდე მონაწილეობა იქნება.

უილიამსამდე, შემაჯამებელი ჩემპიონატის საგზურები ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**, რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ**, სერბებმა **ელენა იანკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა** მოიპოვეს.

მძლეოსნობა

## რინგი ბირთვის ნაცვლად

ბირთვის კვრაში გერმანიის ნაკრების წევრის, **ნადინ კლიაინერტის** კოლექციაში ათენის ოლიმპიადის ვერცხლი და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვება. ასე რომ, ამ 32 წლის ქალბატონს (90 კგ, 190 სმ) მძლეოსნობაში ტიტულები არ აკლია, ახლა კი, კლიაინერტი ახალ ამპლუაში აპირებს ძალების მოსინჯვას - გერმანელს პროფესიულ რინგზე გასვლა აქვს განზრახული.

რამდენიმე დღის წინათ, ნადინმა პირველი ვარჯიში გამართა. მისი სპარინგპარტნიორი იყო ცნობილი გერმანელი საშუალოწონოსანი **რობერტ შიტგლიცი**. *"ძალიან მომეწონა. კრივში, ისევე როგორც ბირთვის კვრაში, ძალა, სისწრაფე და იმპულსურობაა საჭირო"*, - განაცხადა კლიაინერტმა.

გერმანელი მწვრთნელი **ტორსტენ შმიტცი** აღფრთოვანებას ვერ მალავს რინგზე თავისი ახალი შეგირდის მოქმედებით. *"თუ მიზანმიმართულად ივარჯიშებს, ბევრს მიაღწევს"*, - თვლის შმიტცი. ცნობისთვის, კლიაინერტის დარტყმის ძალა 180 კილოგრამს უდრის, თუმცა შმიტცის აზრით, ამ მაჩვენებლის გაზრდის საშუალებაც არსებობს.

თავად ნადინი კი, მძლეოსნობის მოყვარულებს ამშვიდებს: *"დღეს, მხოლოდ ბირთვის კვრით თავის რჩენა ძნელია..."* და იქვე ამატებს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე აუცილებლად გაემგზავრება და იქ მედლისთვის იბრძოლებს.

ტურნირები

# ფედერერი ტიტულის დაცვას შეუდგა

შარშან, მადრიდის მასტერსზე მოპოვებული ტიტულის დაცვა მოგებით დაიწყო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. ტურნირზე ის მეორე წრიდან ჩაერთო და ორ სეტში მოუგო საკვალიფიკაციო ეტაპგამოვლილ ამერიკელ **რობი გინეპრის**.

მას შემდეგ, რაც ზედიზედ მეოთხედ მოიგო აშშ-ის ღია პირველობა, ეს ფედერერის პირველი გამოსვლა იყო და, რა თქმა უნდა, დიდი ხნის უთამაშებლობა მის გამოსვლას უარყოფითად დაეტყო. ეს კი იმაში გამოიხატა, რომ შვეიცარიელს პირველი სეტის მოსაგებად ტაიბრეიკი დასჭირდა.

ფედერერი მეორე სეტშიც კარგა ხანს ვერ ახერხებდა მეტოქის მოწოდების აღებას. მაგრამ მეხუთე გეიმში, შესანიშნავად განხორციელებული ტაქტიკური სვლის შემდეგ, თავის მიზანს მაინც მიაღწია. მან მეტოქე ჯერ ბადესთან გამოიტყუა და შემდეგ, როცა გინეპრიმ ფლანგები მოაშიშვლა, ხელუკულმა დარტყმით ჩაუსვა ბურთი დაუცველ ადგილზე.

გინეპრიმ გაბრძოლება სცადა, მაგრამ მეტოქის უბადლო მოწოდების წინააღმდეგ არანაირი არგუმენტი არ აღმოაჩნდა. ტურნირის პირველმა ნომერმა შეხვედრას წერტილი თავისი სერვის-გეიმის მოგებით დაუსვა.

მეორე წრეშივე, ხორვატმა გიგანტმა **ივო კარლოვიჩმა** ტურნირს გამოთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, რუსი **მარატ საფინი**, ვისაც ეს ტურნირი სამი წლის წინათ აქვს მოგებული. კარლოვიჩმა, ვინც თავის კარიერაში მესამე ტურნირი გასულ კვირას სტოკჰოლმში მოიგო, საფინთან შეხვედრაში 17 ეისი მოაწოდა და გამარჯვებისთვის 58 წუთი იმყოფინა.

სხვათა შორის, კარლოვიჩს მეორე წრეშიც რუს მეჩოგნესთან შეხვედრის შანსი ჰქონდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რისი მიზეზიც ის გახდა, რომ ესპანელ **ოსკარ ერნანდესთან** შეხვედრაში, იდაყვის ტრავმა მიიღო და თამაში ვერ დაასრულა **ნიკოლაი დავიდენკომ**.

ტურნირის კიდევ ერთ ყოფილ ჩემპიონს, ესპანელ **ხუან კარლოს ფერეროს** დიდი ჯაფა დაადგა კვალიფიკაციაგამოვლილ კოლუმბიელ **ალეხანდრო ფალასთან** შეხვედრაში. ფერერო მეორე წრეში თავის თანამემამულე **კარლოს მოიას** შეხვდა და ისიც დაძაბულ პაექრობაში დაამარცხა.

პარალელურად, ციურიხში მიმდინარე პირველი კატეგორიის ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა ამერიკელი **სერენა უილიამსი**. სერენამ, ვინც კვირას, კრემლის თასის ფინალში რუს **ელენა დემენტიევასთან** დამარცხდა, თავიდანვე უხეიროდ დაიწყო თამაში და პირველი სეტი ისე დათმო, გეიმიც არ მოუგია. ის კორტზე გადაადგილებასაც კი ძლივს ახერხებდა. მერე კი, როცა მეორე სეტშიც პირველი სამი გეიმი დათმო, მიხვდა, რომ თამაში უნდა შეეწყვიტა და ასეც მოიქცა.

უნდა ითქვას, რომ სერენას ციურიხული ტურნირი როგორღაც "ამოჩემებული" აქვს - ტრავმის გამო მისი მიტოვება უკვე რამდენჯერმე მოუხდა. ჰოდა, როცა მსაჯმა მისი ტრავმის შესახებ აუწყა მაყურებელს, ამერიკელმა პასუხად სტვენა დაიმსახურა. პრესკონფერენციაზე კი განაცხადა, ჯერ კიდევ მოთელვის დაწყებამდე, მარჯვენა ბარძაყის კუნთი დამეჭიმა და ამიტომ ვერ ვითამაშეო.

*"ტურნირის ორგანიზატორებს ვთხოვე, ჩემი თამაში სამშაბათისთვის გადაეტანათ, მაგრამ თხოვნა არ შემისრულეს. არადა, მათ ამით შეღავათი გამიწიეს - კვირას ნათამაშებს, დასვენების საშუალება მომცეს. არადა, გუშინ თავს კარგად ვგრძნობდი. საერთოდ, ტრავმის გამო თამაშის მიტოვებას ვერ ვიტან. ჰოდა, მწვრთნელმა რომ მირჩია, კორტზე ნუ გახვალო, არ დავუჯერე. არ მიყვარს, როცა ჩემზე ამბობენ, დანებდაო. ამიტომაც გამოვედი სათამაშოდ, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ამას თამაში არ ერქვა, მისი შეწყვეტა მაინც მომიხდა"*, - განაცხადა სერენამ.

რაც შეეხება შნიდერს, მისი მომდევნო მეტოქე იქნება იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე**, ვინც ასევე მეტოქის, დემენტიევას ტრავმით ისარგებლა. როგორც ჩანს, კრემლის თასზე თამაში სერენასთვისაც და დემენტიევასთვისაც საზიანო გამოდგა.

### ჟუსტინი გაოცებულია

ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** გაოცებულია იმით, რომ ჟურნალისტები მას ხშირად კაცების პირველ ჩოგანს, როჯერ ფედერერს ადრიან. ციურიხის ტურნირზე მას, როგორც მოწინავე განთესილს, პირველი წრე გამოატოვებინეს. ჰოდა, უსაქმოდ მყოფმა, ჟურნალისტებთან შეხვედრა ინება და მათ საყვედურიც უთხრა იმის გამო, რომ "უაზრო" შედარებით იღლიან ტვინს.

*"რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, როცა ასეთ კომპლიმენტებს მიძღვნიან, მაგრამ არ მიყვარს, როცა ვინმეს მადარებენ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და ვცდილობ, ეს საქმე მაღალ დონეზე შევასრულო. ვფიქრობ, ჩვენი შედარება უადგილოა, რადგან რადიკალურად განსხვავებულ გარემოში გვიწევს გამოსვლა"*, - განაცხადა 25 წლის ჟუსტინმა, ვისთვისაც ეს სეზონი იმით დაიწყო, რომ მეუღლეს დაშორდა და ამის გამო, ავსტრალიის ღიას გამოტოვება მოუხდა.

მერე კი, როცა კორტს დაუბრუნდა, სეზონის განმავლობაში უკვე რვა ტურნირის მოგება მოასწრო. ამ რვიდან ორი დიდი სლემის ტურნირის, საფრანგეთისა და აშშ-ის ღიას ტიტულებია, რითაც მისმა სასლემო მონაგარმა შვიდ ტიტულს მიაღწია. გარდა ამისა, უიმბლდონზე ნახევარფინალს მიაღწია და იქ წაგების შემდეგ, ზედიზედ 16 შეხვედრა აქვს მოგებული.

*"ჩემი დომინაცია ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვე გრძელდება და ისეთი აშკარა არაა, როგორც ფედერერის შემთხვევაში. ჩოგბურთს ოცი წელიწადია ვთამაშობ და როცა კორტზე გამოვდივარ, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. გაჩერებას კი, ჯერჯერობით, არ ვაპირებ, რადგან ვგრძნობ, რომ ბევრი რამ ჯერაც გასაკეთებელი მაქვს"*, - ამბობს ბელგიელი, ვინც თავისი კარიერის ყველაზე გამორჩეულ მიღწევად ათენში ოლიმპიური ოქროს მოპოვებას მიიჩნევს.

ფედერერისგან განსხვავებით, ვისაც ორი სასლემო ტიტულიღა აკლია ამერიკელი **პიტ სამპრასის** რეკორდამდე (14 ტიტული), ჟუსტინს ქალთა ჩოგბურთის რეკორდამდე ბევრი უკლია. შეგახსენებთ, რომ აქ რეკორდსმენი ლეგენდარული ავსტრალიელი **მარგარეტ სმიტ კორტია**, ვისაც ერთეულებში დიდი სლემის 24 ტიტული აქვს მოპოვებული, რომელთაგან 11-ს ღიას ერაში დაეუფლა.

რაც ჩოგბურთი პროფესიული თამაში გახდა, მას შემდეგ ყველაზე მეტი (22) სლემ-ტიტული გერმანელ **შტეფი გრაფს** აქვს მოპოვებული. დიდი სლემის ტურნირებზე ერთეულებში 18-18 ტრიუმფია ამერიკელების, **კრის ევერტისა** და **მარტინა ნავრატილოვას** ანგარიშზე. ჟუსტინი თვლის, რომ გრაფის რეკორდი პრაქტიკულად მიუღწეველია. სამაგიეროდ თვლის, რომ შესაძლებელია "ოქროს სლემის" შესრულება. ეს კი ნიშნავს, რომ მან მერმის უნდა მოიგოს დიდი სლემის ოთხივე და პლუს ოლიმპიური ტურნირი. სხვათა შორის, გრაფს "ოქროს სლემი" 1988 წელს შეუსრულებია. ჟუსტინს ათენში ოლიმპიური ოქრო მოპოვებული აქვს, მაგრამ მის მონაგარში, ჯერჯერობით, არ ბრწყინავს უიმბლდონის ჩემპიონის თასი. ჰოდა, იმედოვნებს, რომ ამ ნაკლს მერმის გამოასწორებს - ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ უიმბლდონის მოგებას ვეცდებიო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**მადრიდის მასტერსი**

მადრიდი (ესპანეთი). მწვანე ხალიჩა

საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო

**პირველი წრე**

**პოლ-ანრი მატიე (საფ)**-მერდი ფიში (აშშ) 6:3, 2:6, 7:5; **აგუსტინ კალერი (არგ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 3:6, 7:6(4), 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 6:4, 7:5; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-არნო კლემანი (საფ) 5:7, 6:2, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-მარატ საფინი (რუს) 6:3, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-სტანისლასვავრინკა (შვეი) 7:5, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:4, 6:4

**მეორე წრე**

**ენდი მარეი (ბრიტ)**-ხუან იგნასიო ჩელა (ჩილე, 15) 6:1, 6:3; **ხუან მონაკო (არგ)**-ტომი ჰაასი (გერ, 11) 6:4, 7:5; **როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-რობი გინეპრი (აშშ) 7:6(2), 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 7) 7:6(3), 7:5; **ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 7:5, 6:2; **გილერმო კანიასი (არგ, 13)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:3, 3:6, 7:5; **ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 5)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 7:6(11), 7:5; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 9) 4:6, 6:4, 7:6(2); **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-კარლოს მოია (ესპ, 14) 7:6(2), 6:4

**WTA**

**ციურიხის ღია**

ციურიხი (შვეიცარია). ჭერქვეშა ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

**პირველი წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 7)**-დინარა საფინა (რუს) 7:6(2), 7:6(4); **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-შაჰარ პეერი (ისრ) 6:4, 6:3; **პატი შნიდერი (შვეი)**-სერენა უილიამსი (აშშ, 6) 6:0, 3:0 (სერენა გამოეთიშა); **ამელი მორესმო (საფ, 8)**-ელენი დანიილიდუ (საბ) 6:4, 4:6, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:2, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს)**-კარინ კნაპი (იტა) 5:7, 6:2, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-პენ შუაი (ჩინ) 6:7(4), 6:0, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-ელენა დემენტიევა (რუს) 4:6, 6:1, 4:2 (დემენტიევას ტრავმა)



როჯერ ფედერერი

ეროვნული ბიბლიოთეკა




მარცხნიდან: ალონსო, ჰემილტონი და რაიკონენი

### ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# სამიდან ერთი

დასასრულს მიუახლოვდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის წლევანდელი სეზონი. გასამართი დარჩა ერთადერთი რბოლა - ბრაზილიის დიდი პრიზი, რომელსაც ფორმულა ერთზე შეშლილი ქალაქი სან პაულუ უმასპინძლებს. ამ რბოლის ინტერესს ის გარემოებაც ზრდის, რომ მის წინ, ჩემპიონობის შანსს ერთბაშად სამი პილოტი ინარჩუნებს. ამგვარი რამ კი დიდი პრიზების ცირკს 1986 წლის შემდეგ არ ახსოვს.

ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი ფორმულა ერთის ბრიტანელ ახალბედას, "მაკლარენის" მიერ გამოზრდილ **ლუის ჰემილტონს** აქვს, ვინც ოთხ ქულას უგებს თანაგუნდელს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ესპანეთიდან, **ფერნანდო ალონსოს**. ლიდერს შვიდი ქულით ჩამორჩება "ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენი**. რა თქმა უნდა, ქულებში სხვაობა მათ არათანაბარ სასტარტო პირობებში აყენებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჰემილტონს არანორმალურად მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის გაძლება მოუწევს.

ასეა თუ ისე, 22 წლის ბრიტანელი პილოტი ამ ჩემპიონატის აღმოჩენაა და თუ ბედი არ უმუხთლებს, ფორმულა ერთის ისტორიაში ის პირველი ახალბედა ჩემპიონი უნდა გახდეს. შეგახსენებთ, რომ ის ასევე ფორმულა ერთის პირველი შავკანიანი პილოტია.

თუ ჩემპიონატს ალონსო მოიგებს, ის შეუერთდება იმ რჩეულ პილოტთა სიას, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მინიმუმ სამჯერ აქვთ მოგებული. გარდა ამისა, გაიმეორებს ლეგენდარული არგენტინელის, **ხუან მანუელ ფანხიოს** ჯერაც განუმეორებელ მიღწევას, რაც ტიტულების ზედიზედ, სხვადასხვა გუნდების ბოლიდებით მოპოვებაში გამოიხატება. ფანხიომ ეს 1957 წელს შეძლო.

რაც შეეხება რაიკონენს, მას ამ სეზონში ყველაზე მეტი, ხუთი ეტაპი აქვს მოგებული, მაგრამ შედარებითი არასტაბილურობის გამო, რაშიც უპირველესად, "ფერარის" ნაკლებად საიმედო (მაკლარენთან შედარებით) ბოლიდის დამსახურებაა, სამეულიდან ჩემპიონობის ყველაზე ნაკლები შანსი აქვს. თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩინეთის რბოლის წინ, ის ჰემილტონს 17 ქულით ჩამორჩებოდა.

*"მოტორ სპორტი და კონკრეტულად ფორმულა ერთი, არასოდეს ყოფილა ისეთი პოპულარული, როგორიც ახლაა. ჩემი აზრით, ასეთი დაძაბული და საინტერესო სეზონი ჩვენ ჯერ არასოდეს გვინახავს"*, - ამბობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, შოტლანდიელი **ჯეკი სტიუარტი**. შესაძლოა, მას არ დავეთანხმოთ და გავიხსენოთ, რომ ფორმულა ერთის მოყვარულები არანაკლებ დაძაბული პაექრობის მოწმენი ვიყავით 1982 და 1986 წლებში, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ხანია, ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი რბოლით ადრე, ტიტულის მოპოვების შანსი ერთდროულად სამ პილოტს არ ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ 1986 წელს პირველობისთვის სამი გრანდი - ფრანგი **ალენ პროსტი** (მაკლარენ-პორშე), ბრაზილიელი **ნელსონ პიკე** (უილიამს-ჰონდა) და ბრიტანელი **ნაიჯელ მენსელი** (უილიამს-ჰონდა) იბრძოდა. პროსტი მესამეზე იყო და თითქმის არ ჰქონდა ჩემპიონობის შანსი, მაგრამ **რონ დენისის** მოხერხებულობის წყალობით, ჩემპიონი სწორედ ფრანგი გახდა.

ჩემპიონატის მოწინავე სამეულიდან, რაიკონენსა და ალონსოს აუცილებლად სჭირდებათ გამარჯვება, როცა ჰემილტონს თავი ქუდში იმ შემთხვევაშიც ექნება, თუ ფინიშის ხაზს მეორე გადაკვეთს. უფრო მეტიც, გარკვეულ გარემოებათა შემთხვევაში, მას საჩემპიონოდ მესამე, ან მეოთხე ადგილიც კი შეიძლება ეყოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჰემილტონმა ჩინეთში მეტად ძვირადღირებული, თუმცაღა ფასეული გაკვეთილი მიიღო - ზედმეტი ტემპერამენტი მას რბოლის უქულოდ დასრულებად დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ პიტ ლეინზე შესვლისას, მას მანქანა მოუცურდა და გზის გასწვრივ დაყრილი ხრეშიდან მისი გამოყვანა ველარ მოახერხა.

*"ჩინეთში მე კიდევ ერთი გაკვეთილი მივიღე. ის ინციდენტი სრულყოფილ პილოტად ჩამოყალიბებაში გამომადგება. არადა, რომ არა ეს შემთხვევა, შეიძლებოდა იქვე გამენაღდებინა ტიტული. ოთხქულიანი უპირატესობა კი მაქვს, მაგრამ მთავარი რბოლა წინ გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილი არაფერია"*, - ამბობს ჰემილტონი, ვინც თავისი ყვითელი შლემით, ავტოსპორტის ბრაზილიელ ფანებს ლეგენდარულ **აირტონ სენას** გაახსენებს.

ისიც სათქმელია, რომ ალონსომ თავისი ორივე ტიტული სწორედ ბრაზილიაში გაინაღდა. ამდენად, მას ბრაზილიაში გაჩემპიონების ტრადიცია აქვს და ამ ტრადიციის გაგრძელებას ეცდება. სან პაულუში მას სპეციალურ მხარდაჭერას გაუწევს ესპანეთის მთავრობის მიერ მოწვეული დამკვირვებელი. ამ კაცის მოვალეობა ისაა, რომ გააკონტროლოს "მაკლარენი" და არ დაუშვას ის, რომ გადამწყვეტ რბოლაში ბრიტანულმა გუნდმა ბრიტანელ პილოტს უკეთესი პირობები შეუქმნას.

თავის მხრივ, "მაკლარენის" მთავარი აღმასრულებელი **მარტინ უაიტმარშიყველას** არწმუნებს, რომ გუნდის ორივე პილოტი აბსოლუტურად ერთნაირად მომზადებულ მანქანას მიიღებს და ადგილი არ ექნება არანაირ ფავორიტიზმს, რაზეც ხანდახან, სიტუაციიდან გამომდინარე, მიუთითებს ალონსო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**18 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 მუნდიალი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-ეკვადორი.
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-საბერძნეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
18:05 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ჩრ. ირლანდია.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:30 ტოქ-შოუ - 2:1.
21:15 მუნდიალი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-ეკვადორი.
23:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:20 პირდაპირი ხაზი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:01 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
08:24 ფეხბურთი. Barca TV.
08:32 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
11:03 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ჩრ. ირლანდია.
12:51 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
14:39 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. იაპონიის ღია. ფინალი. რიშარ გასკე-ხუან კარლოს ფერერი. ტოკიო.
15:36 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
17:00 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
17:27 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:42 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
20:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-აილენდერსი.
00:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:28 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:40 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
01:32 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:45 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
02:11 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ესტონეთი.
03:59 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. იაპონიის ღია. ფინალი. რიშარ გასკე-ხუან კარლოს ფერერი. ტოკიო.
04:57 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ყაზახეთი-პორტუგალია.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
16:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. VI დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
22:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. VI დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბუდეიოვიცე (ჩეხეთი)-კუნეო (იტალია).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი).
17:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბუდეიოვიცე (ჩეხეთი)-კუნეო (იტალია).
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. დ. ტუა (აშშ)-ს. მონტანა (მექსიკა). აშშ.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ევრო 2009. UNDER 21 | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ალბანეთი | 1:1 |
| ფარერები-ხორვატია | 1:2 |
| ლიხტენშტაინი-უკრაინა | 1:3 |
| ჩეხეთი-სომხეთი | 3:0 |
| ლიტვა-ფინეთი | 0:1 |
| ლატვია-სერბეთი | 0:2 |
| ჩრ. ირლანდია-ისრაელი | 1:3 |
| უელსი-მალტა | 3:1 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| ლადა-მეტალურგი (მ) | 1:1 |
| ს. იულაევი-ტრაქტორი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-ტპს | 2:4 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მადრიდი | |
|---|---|
| გონსალესი-ალმაგრო | 7:6, 7:5 |
| კანიასი-კალერი | 6:3, 3:6, 7:5 |
| კარლოვიჩი-ერნანდესი | 7:5, 6:2 |
| ფერერი-ფ. ლოპესი | 6:7, 5:7 |
| ბერდიხი-ნალბანდიანი | 6:4, 4:6, 6:7 |
| გასკე-მატიო | 6:7, 5:7 |
| ფერერო-მოია | 7:6, 6:4 |
| ბლეიკი-ანჩიჩი | 3:6, 4:6 |
| ლუბიჩიჩი-კუბეკი | 3:6, 7:6, 5:7 |
| ნადალი-ბალდატისი | 6:4, 6:4 |
| **WTA. ბანგკოკი** | |
| ბარტოლი-კრაიჩეკი | 6:4, 6:1 |
| დემენტიევა-სკიავონე | 6:4, 1:6, 2:6 |
| მორესმო-ა. ბონდარენკო | 6:2, 4:6, 1:6 |
| ივანოვიჩი-გოლოვინი | 3:6, 1:6 |
| იანკოვიჩი-ვაიდიშოვა | 4:6, 4:6 |

## ჰოკეი

**ფილადელფია-ატლანტა 4:0**

0:0, 3:0, 1:0

გოლები: 1:0 მ. რიჩარდსი-3 (ლუპული-4, ბრიერი-4), 2:0 ჯ. კარტერი-4 (ჰატნელი-2, ლუპული-5), 3:0 ს. კაპანენი-2 (უმბერგერი-2), 4:0 რ. ჯონსი-1 (ჯ. კარტერი-1).

**მონრეალი-ფლორიდა 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კოვალიოვი-2 (ჰამრლიკი-1, რაიდერი-3), 1:1 ნათან ჰორტონი-4.

ბულიტები გაიტანეს: შტუმპელი (ფლორიდა).

**კოლორადო-კალგარი 5:4 (ბ)**

0:3, 4:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ფანოფი-1 (იგინლა-4), 0:2 მ. ნილსონი-1 (მოსი-1, ლომბარდი-2), 0:3 იგინლა-3, 0:4 იგინლა-4 (ტანგეი-5, ოკუანი-3), 1:4 სვატოსი-2 (რ. სმიტი-3, შჩასტნი-6), 2:4 რ. სმიტი-2 (ჰენენი-2, შჩასტნი-7), 3:4 ბრუნეტი-1 (შჩასტნი-8, ლაილსი-3), 4:4 ზაუერი-1 (ვოლსკი-3).

ბულიტები გაიტანეს: ვოლსკი (კოლორადო), რ. სმიტი (კოლორადო), იგინლა (კალგარი).

**ლოს ანჯელესი-მინესოტა 4:3 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 დემიტრა-2 (გაბორიკი-3, ვალცი-2), 1:1 შ. ტორნტონი-1 (უილსი-1), 1:2 მ. კოივუ-2 (ბუშარი-3, როლსტონი-5), 2:2 კალდერი-2 (ბ. სტიუარტი-1, ფროლოვი-5), 3:2 კოპიტარი-3, 3:3 როლსტონი-2 (მ. კოივუ-3, ბერნსი-1).

ბულიტები გაიტანეს: დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), ნუმელინი (მინესოტა), კამალერი (ლოს ანჯელესი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი).

**ტურის მოვლენები**

- "ფილადელფიას" მეკარემ **მარტინ ბირონმა** 31 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მე-19 შათაუტი შეასრულა. ეს ამ გოლკიპერის პირველი "მშრალი" მატჩი იყო თებერვლის შემდეგ, როცა "ფლაერზმა" ის "ბაფალოდან" დაიმატა.

- "ფილადელფიამ" მეოთხე მატჩი მოიგო და ატლანტიკის დივიზიონის ლიდერი გახდა. შარშან, ამ გუნდმა ჩემპიონატის სტარტზე მეოთხე თამაშის მოგება მხოლოდ 15 ნოემბრისთვის შეძლო.

- "ატლანტას" გამოჯანმრთელებული სლოვაკი **მარიან ჰოსა** დაუბრუნდა, მაგრამ ამან "ტრეშერზს" ვერ უშველა და მან ზედიზედ მეექვსედ წააგო. "ატლანტა" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჩემპიონატში ქულა არ აქვს მოპოვებული.

- ატლანტელთა ცუდი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი რიცხობრივი უპირატესობის ცუდი გამოყენებაა. 26 შემთხვევიდან, მათ მხოლოდ ორჯერ გაითამაშეს ზედმეტი ჰოკეისტი.

- "ფილადელფიამ" ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა "ატლანტა". "ტრეშერზს" "მფრინავებისთვის" 2005 წლის 18 ნოემბრის შემდეგ არ მოუგია.

- "ფლაიერზი" ამ სეზონის ყველა მატჩში მინიმუმ 3 გოლს იტანს.

■ ■ ■

- **ნათან ჰორტონმა** ძირითადი დროის დასრულებამდე 10 წამით ადრე გაიტანა და "ფლორიდა" წაგებას გადაარჩინა.

- "პანტერების" მეკარემ **ტომაშ ვოკოუნმა** 36 დარტყმა მოიგერია, გარდა ამისა, ბულიტების სერიაში ყველა პენალტი აიღო.

- "ფლორიდას" კაპიტანმა **ოლი იოკინენმა** ზედიზედ მე-300 მატჩი ჩაატარა რეგულარულში.

■ ■ ■

- "კოლორადომ" 0:4-ის შემდეგ შეძლო შეხვედრის გადარჩენა და ორი ქულის მოპოვება.

- ოთხი შაიბის გაშვების შემდეგ, "ეველანშის" კარში **პეტერ ბუდაის** ნაცვლად **ჟოზე ტეოდორი** ჩადგა, რომელმაც ძირითადის დარჩენილ დროსა და ოვერტაიმში ყველა, 17-ვე დარტყმა მოიგერია.

- "კალგარიმ" ზედიზედ მეოთხედ წააგო "კოლორადოსთან".

■ ■ ■

- სტარტზე ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ, "მინესოტამ" პირველი მარცხი იგემა.

- "უაილდისგან" განსხვავებით, ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ, პირველად მოიგო "ლოს ანჯელესმა".

- "კინგზის" გამარჯვება მეკარე **ჟან-სებასტიან ობენის** დამსახურებაა, რომელმაც NHL-ში თავის მე-200 შეხვედრაში 28 დარტყმა მოიგერია. ეს იყო ობენის პირველი მატჩი ამ სეზონში. მან შეცვალა დებიუტანტი **ჯონათან ბერნიე**. ამ უკანასკნელმა ბოლო 3 მატჩში 15 შაიბა გაუშვა და ის ლუისტონის იუნიორთა გუნდში დააბრუნეს.

- მინესოტელმა ფორვარდმა **მარკ პერიშმა** NHL-ში მე-600 მატჩი ჩაატარა.

- ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა "მინესოტამ" ერთ მატჩში ორზე მეტი გოლი გაუშვა.

- "ლოს ანჯელესი" საშუალოდ ყველაზე მეტ გოლს უშვებს მატჩში - ეს მაჩვენებელი 4.6 შაიბას უტოლდება.




მარტინ ბირონი

# ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

## A ჯგუფი

### ყაზახეთი-პორტუგალია 1:2

**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, კარპოვიჩი (88. ნურდაულეტოვი), ლარინი (37. ლიაპკინი), სკორიხი, ჟუმასკალიევი, ბიაკოვი, ოსტაპენკო.

**პორტუგალია:** რიკარდო, ბრუნო ალვეში, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, ლუის მიგელი, დეკუ, მანიშე (59. ნანი), მიგელ ველოზო, უგო ალმეიდა (63. მაკუკულა), კუარეშმა (85. ჟოაო მუტინიო), კრისტიანო რონალდო.

**გოლები:** 0:1 მაკუკულა (84), 0:2 კრისტიანო რონალდო (90+1), 1:2 ბიაკოვი (90+5)

**მაყურებელი:** 18 500

### აზერბაიჯანი-სერბეთი 1:6

**აზერბაიჯანი:** ველიევი (46. ჰასანზადე), ს. აბასოვი, გულიევი, გაშიმოვი (50. ბაშიევი), რ. აბასოვი, ჩერტოგანოვი, გულიევი, ა. ყურბანოვი, იმამალიევი (67. ისმაილოვი), ს. ალიევი, შუბაშიჩი.

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ბიშევაცი, ივანოვიჩი, რუკავინა, ზ. ტოშიჩი, დ. ტოშიჩი, დულიაი, იანკოვიჩი (68. ლაზოვიჩი), ნ. კოვაჩევიჩი (65. იოვანოვიჩი), კუუმანოვიჩი, ჟიგიჩი (73. პანტელიჩი).

**გოლები:** 0:1 ტოშიჩი (4), 0:2 ჟიგიჩი (22), 1:2 ალიევი (26), 1:3 იანკოვიჩი (41), 1:4 ჟიგიჩი (42), 1:5 იოვანოვიჩი (75), 1:6 ლაზოვიჩი (84)

**მაყურებელი:** 9 000

### ბელგია-სომხეთი 3:0

**ბელგია:** სტინენი, ლომბაერსტი (83. ვერტონგენი), სიმონსი, ვან ბუიტენი (60. კომპანი), დეფური, ფელაინი, გერაერტსი, გოორი, სვერტსი, დემბელე, მირალა (46. სონკი).

**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, დოხოიანი, ოვსეპიანი, ტადევოსიანი (82. მკრტიჩიანი), არაქელიანი, კარამიანი, ხაჩატრიანი (57. აკობიანი), მელქონიანი (70. ზებელიანი), პაჩაიანი, ვოსკანიანი.

**გოლები:** 1:0 სონკი (63), 2:0 დემბელე (69), 3:0 გერაერტსი (76)

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20-10 | 24 |
| 2. პორტუგალია | 12 | 6 | 5 | 1 | 23-10 | 23 |
| 3. სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-9 | 20 |
| 4. ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11-6 | 20 |
| 5. ბელგია | 12 | 4 | 3 | 5 | 13-14 | 15 |
| 6. სომხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 4-11 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-20 | 7 |
| 8. აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-25 | 5 |

მომდევნო ტური. 17 ნოემბერი. პორტუგალია-სომხეთი, პოლონეთი-ბელგია, სერბეთი-ყაზახეთი, ფინეთი-აზერბაიჯანი

## C ჯგუფი

### თურქეთი-საბერძნეთი 0:1

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, ჰამით ალთინთოფი, სერვეთ ჩეთინი, გიოქჰან ზანი, მეჰმეთ აურელიო, ემრე (71. არდა თურანი), გიოქდენიზ ქარადენიზი (65. ჰაქან შუქური), იბრაჰიმ უზულმეზი, უმით ქარანი (46. თუმერ ქარანი), თუნჯაი ჩანლი, გიოქჰან უნალი.

**საბერძნეთი:** ხალკიასი, ანცასი, დელასი, კირგიაკოსი, სეიტარიდისი, ბასინასი, კარაგუნისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი, ხარისტეასი (59. სამარასი), გეკასი (56. ლიბეროპულოსი).

**გოლი:** 0:1 ამანატიდისი (79)

**მაყურებელი:** 24 000

### ბოსნია-ნორვეგია 0:2

**ბოსნია:** გუშო, ბაიჩი, ბერბეროვიჩი, მერჟიჩი, ნადარევიჩი, კრუნიჩი, მალეტიჩი (78. მუარემოვიჩი), მიშიმოვიჩი, ბლატნიაკი (46. იბიშევიჩი), მუსლიმოვიჩი (46. ძეკო), სალიჰოვიჩი.

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, გრინდჰეიმი (58. რუშფელდტი), პედერსენი, ი-ა. რიისე, ბ-ჰ. რიისე (90. ბიორკოი), სოლი, სტორბეკი, ჰელსტადი (76. ბრაატენი).

**გოლები:** 0:1 ჰაგენი (5), 0:2 ბ-ჰ. რიისე (74)

**მაყურებელი:** 21 000

### მალტა-მოლდოვა 2:3

**მალტა:** ჰაბერი, აზოპარდი (90. ნვოკო), ბრიფა, დიმეში, საიდი, სკიკლუნა (46. სკერი), მალია, პეისი, მ. მიფსუდი, შემბრი (46. კოენი), ვუდსი.

**მოლდოვა:** პაშჩენკო, გოლოვატენკო, ლაშჩენოვი, სტროენკო, ბორდიანი, კომლენოკი (69. ნამასკო), კორნეენცოვი, გატკანი (77. ზმეუ), იოსანი, ბუგაევი, ფრუნზა (83. დოროში).

**გოლები:** 0:1 ბუგაევი (24-პენ), 0:2 ფრუნზა (31), 0:3 ფრუნზა (35), 1:3 სკერი (71), 2:3 მ. მიფსუდი (84)

**გაძევება:** გოლოვატენკო (86. მოლდოვა)

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 18-9 | 25 |
| 2. ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 22-8 | 20 |
| 3. თურქეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-10 | 18 |
| 4. ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-21 | 13 |
| 5. უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10-17 | 12 |
| 6. მოლდოვა | 11 | 2 | 3 | 6 | 9-19 | 9 |
| 7. მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 9-22 | 5 |

მომდევნო ტური. 17 ნოემბერი. ნორვეგია-თურქეთი, საბერძნეთი-მალტა, მოლდოვა-უნგრეთი

## D ჯგუფი

### გერმანია-ჩეხეთი 0:3

**გერმანია:** ჰილდებრანდი, ა. ფრიდრიხი, იანსენი, მერტეზაკერი, მეტცელდერი (46. ფრიტცი), ფრინგსი, ოდონკორი, შვაინშტაიგერი (65. გომესი), ტროხოვსკი (46. როლფსი), კურანი, პოდოლსკი.

**ჩეხეთი:** ჩეხი, კოვაჩი, პოსპეჩი, როზენალი, უიფალუში, გალაშეკი, მატეიოვსკი, პლასილი, პუდილი (73. კულიჩი), სიონკო (58. ვლჩეკი), კოლერი (79. ფენინი).

**გოლები:** 0:1 სიონკო (2), 0:2 მატეიოვსკი (23), 0:3 პლასილი (63)

**მაყურებელი:** 66 000

### ირლანდია-კვიპროსი 1:1

**ირლანდია:** გივენი, ფინენი, მაკშეინი, ო'ში, ჰანტი (74. დუგლასი), კილბეინი, ო'ბრაიენი (46. მილერი), რიდი, დოილი, კინი, კოეგი (63. მაკგიდი).

**კვიპროსი:** გეორგალიდესი, ელია, ნიკოლაუ, ოკარიდესი, პარასკევასი, ხარალამპიდისი, გარპოცისი, მაკრიდისი (86. ტეოფილუ), საციასი (69. მარანგოსი), ოკასი, იასუმისი (73. მიხაილი).

**გოლები:** 0:1 ოკარიდესი (80), 1:1 ფინენი (90)

**გაძევება:** ელია (90. კვიპროსი)

**მაყურებელი:** 20 000

### სან მარინო-უელსი 1:2

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ალბანი, ბონიფაცი (62. ბონინი), დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ვალენტინი, ვანუჩი (76. ბული), ანდრეინი, მუჩიოლი, დე ლუიჯი (80. ვიტაიოლი), სელვა.

**უელსი:** პრაისი, ბეილი, ირდლი, გაბიდონი, ნიატანგა, დევისი, ლედლი, რობინსონი, ვონი (62. რიკეტსი), ბელამი, ირნშოუ.

**გოლები:** 0:1 ირნშოუ (13), 0:2 ლედლი (36), 1:2 სელვა (73)

**გაძევება:** ალბანი (85. სან მარინო)

**მაყურებელი:** 1 182

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 10 | 7 | 2 | 1 | 31-7 | 23 |
| 2. ჩეხეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-4 | 23 |
| 3. ირლანდია | 11 | 4 | 4 | 3 | 15-12 | 16 |
| 4. კვიპროსი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-18 | 14 |
| 5. სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27-20 | 13 |
| 6. უელსი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-17 | 13 |
| 7. სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2-52 | 0 |

მომდევნო ტური. 17 ნოემბერი. ჩეხეთი-სლოვაკეთი, გერმანია-კვიპროსი, უელსი-ირლანდია

## E ჯგუფი

### რუსეთი-ინგლისი 2:1

**რუსეთი:** გაბულოვი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი (46. ტორბინსკი), იგნაშევიჩი, ბილიალეტდინოვი, სემშოვი, ჟირკოვი, ზირიანოვი, არშავინი (90. კოლოდინი), კერჟაკოვი (58. პავლიუჩენკო).

**ინგლისი:** რობინსონი, კემპბელი, ფერდინანდი, ლესკოტი (79. ლემპარდი), რიჩარდსი, ბერი, ჯ. კოული (80. კრაუჩი), ჯერარდი, რაიტ-ფილიპსი (80. დაუნინგი), ოუენი, რუნი.

**გოლები:** 0:1 რუნი (29), 1:1 პავლიუჩენკო (69-პენ), 2:1 პავლიუჩენკო (73)

**მაყურებელი:** 84 700

### მაკედონია-ანდორა 3:0

**მაკედონია:** პაკოვსკი, ლაზარევსკი, მიტრესკი, ნოვესკი, სედლოსკი, პოპოვი, სუმულიკოსკი, ტასევსკი (84. ტრაიანოვი), მაჟნოვი (62. რისტიჩი), ნაუმოსკი (75. პოლოჟანი), პანდევი.

**ანდორა:** ალვარესი, ფერნანდესი, ლიმა, სონეხე, აიალა, ესკურა, ხიმენესი (78. სომოსა), პუიოლი, რუისი (63. ანდორა), ტოსკანო (82. რიერა), ვიეირა.

**გოლები:** 1:0 ნაუმოსკი (30), 2:0 სედლოსკი (44), 3:0 პანდევი (59)

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25-4 | 26 |
| 2. ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-4 | 23 |
| 3. რუსეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-5 | 21 |
| 4. ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| 5. მაკედონია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 |
| 6. ესტონეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 3-21 | 4 |
| 7. ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 2-39 | 0 |

მომდევნო ტური. 17 ნოემბერი. მაკედონია-ხორვატია, ისრაელი-რუსეთი, ანდორა-ესტონეთი

## F ჯგუფი

### შვედეთი-ჩრ.ირლანდია 1:1

**შვედეთი:** ისაქსონი, კონჩა, ედმანი, ჰანსონი, მელბერგი, კალსტრიომი (85. იოჰანსონი), ლინდეროტი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი (46. ნილსონი), ელმანდერი (73. ოლბაკი), იბრაჰიმოვიჩი.

**ჩრ.ირლანდია:** ტეილორი, კრეიგანი, ჰიუზი, მაკოლეი, მაკარტნი (87. კაპალდი), ბრანტი, კლინგენი, დევისი, ჰილი, ლაფერტი, სპრული.

**გოლები:** 1:0 მელბერგი (15), 1:1 ლაფერტი (72)

**მაყურებელი:** 33 112

### ლიხტენშტაინი-ისლანდია 3:0

**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, ოერი, მარ. შტოკლასა, ტელსერი, ბუხელი, ბურგმაიერი, გერსტერი, ფიშერი (61. ტ. ბეკი), ფრიკი (90. დ'ელია), როერი (69. რ. ბეკი).

**ისლანდია:** არასონი, ინგიმარსონი, იონსონი (71. სკულასონი), რ. სიგურდსონი, კ-ო. სიგურდსონი, გუდიონსონი (57. ბიორნსონი), გუნარსონი (85. ასგიერსონი), ალფრედსონი, ვიდარსონი, გუდიონსენი, ტორვალდსონი.

**გოლები:** 1:0 ფრიკი (27), 2:0 ტ. ბეკი (80), 3:0 ტ. ბეკი (83)

**მაყურებელი:** 2 589

### დანია-ლატვია 3:1

**დანია:** სორენსენი, ჰელვეგი, მ. ლაურსენი, უ. ლაურსენი (32. ანდრეასენი), სორენსენი, დ. იენსენი, კალენბერგი, პოულსენი (71. გრონკიაერი), რომედალი, ბენდტნერი, ტომასონი.

**ლატვია:** ვანინსი, გორკსი, ივანოვსი, კლავა, ჟირნისი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, სოლონიცინსი, ვიშნიაკოვსკი (78. ჟიგაევსი), პაჰარსი (90. კაჩანოვსი), რიმკუსი (63. ბუტრიკსი).

**გოლები:** 1:0 ტომასონი (7-პენ), 2:0 უ. ლაურსენი (27), 2:1 გორკსი (80), 3:1 რომედალი (90)

**მაყურებელი:** 19 004

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 21-5 | 23 |
| 2. ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-8 | 22 |
| 3. დანია | 10 | 5 | 2 | 3 | 17-9 | 17 |
| 4. ჩრ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 15-12 | 17 |
| 5. ლატვია | 10 | 3 | 0 | 7 | 10-14 | 9 |
| 6. ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10-24 | 8 |
| 7. ლიხტენშტაინი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-28 | 7 |

მომდევნო ტური. 17 ნოემბერი. ესპანეთი-შვედეთი, ჩრ.ირლანდია-დანია, ლატვია-ლიხტენშტაინი

## G ჯგუფი

### ლუქსემბურგი-რუმინეთი 0:2

**ლუქსემბურგი:** ჟილე, ჰოფმანი, კინტციგერი, ლანგი, მუტში, ვაგნერი, ბეტმერი (49. ფერეირა), პეიალი (68. ლიუეკი), პეტერსი, რემი, კიტენგე (57. და მოტა).

**რუმინეთი:** ლობონტი, გოიანი, ოგარარუ, რატი, ტამაში, კივუ (87. ო. პეტრე), მარგარიტესკუ, ფ. პეტრე, დიკა (68. კრისტეა), მარიკა, ნიკულაე (76. ბრატუ).

**გოლები:** 0:1 ფ. პეტრე (42), 0:2 მარიკა (61)

**მაყურებელი:** 3 584

### ჰოლანდია-სლოვენია 2:0

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ბუმა, ემანუელსონი, ჰეიტინგა, იალიენსი, დე ზეუვი, ზეედორფი, სნეიდერი, ჰუნტელაარი, ვან დერ ვაარტი (29. რობენი/63. ბაბელი), ვან პერსი (60. ოოიიერი).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, სესარი, კომაჩი, კორენი, მორეცი, ბირსა (68. ნოვაკოვიჩი), კირმი (82. იოკიჩი), ლავრიჩი, ჟლოგარი, ბრეჩკო (85. ლიუბიანკიჩი), ილიჩი.

**გოლები:** 1:0 სნეიდერი (14), 2:0 ჰუნტელაარი (88)

**მაყურებელი:** 35 000

### ალბანეთი-ბულგარეთი 1:1

**ალბანეთი:** ბეკაი, კური, დალკუ, დედე, ვანგელი, დურო, ჰაქსი (46. მუკა), ლალა, სკელა, ბოგდანი, სალიჰი (73. ბულკუ).

**ბულგარეთი:** პეტკოვი, ანგელოვი, ილიევი, კიშიშევი, ტომაშიჩი, ლუსიო ვაგნერი, ს. პეტროვი (46. გეორგიევი), ტელკიისკი (46. იანკოვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი, პოპოვი.

**გოლები:** 1:0 კიშიშევი (32-საკ. კარში), 1:1 ბერბატოვი (87)

*90-ე წუთზე სკელამ ვერ გამოიყენა პენალტი*

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20-5 | 26 |
| 2. ჰოლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 13-3 | 23 |
| 3. ბულგარეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 15-7 | 19 |
| 4. ალბანეთი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-8 | 11 |
| 5. სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9-14 | 11 |
| 6. ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-20 | 7 |
| 7. ლუქსემბურგი | 11 | 1 | 0 | 10 | 2-22 | 3 |

მომდევნო ტური. 17 ნოემბერი. ბულგარეთი-რუმინეთი, ჰოლანდია-ლუქსემბურგი, ალბანეთი-ბელარუსი



გერმანია-ჩეხეთი. გოლი გერმანელთა კარში

## ამხანაგური მატჩები

### პოლონეთი-უნგრეთი 0:1

**პოლონეთი:** ფაბიანსი, ვასილევსკი (83. ბარჩაკი), იოპი, კიელბოვიჩი (83. ვავრჟინიაკი), დუდკა, სობოლევსკი, ლევანდოვსკი (46. კაზმიერჩაკი), გოლოში (46. ზაჰორსკი), კოსოვსკი, გარგულა (46. ბროჟეკი), მატუსიაკი (46. ზინჩუკი).

**უნგრეთი:** ფულოპი, ჩიჟმადია, ვასკო, იუჰაში, ვანჩაკი, ვასი, ჰაინალი (90+4. ფილკორი), ტოცერი (77. ლეანდრო), გერა (78. ბუჟაკი), ფეჩესინი (46. პრისკინი), ჟუჟჩაკი (46. ჰალმოში).

**გოლი:** 0:1 ჰაინალი (80-პენ)

**მაყურებელი:** 10 000

### შვეიცარია-აშშ 0:1

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, ლიხტშტაინერი, ჯურუ (17. ფონ ბერგენი), გრიხტინგი, მანინი, სელესტინი (46. ფერნანდესი), ინლერი, დ. დეგენი, მარგარაისი (46. ჰ. იაკინი), ბარნეტა (75. შპიხერი), შტრელერი (46. ნკუფო).

**აშშ:** ჰანემანი (46. გუსანი), ჩერუნდოლო, ონიევუ (46. კალიფი), ბოკანეგრა, ლუისი (84. ჩეტელა), ფილჰაბერი, ედუ, ბრედლი, ბისლი (31. პირსი), ტველმანი (77. ადუ), დემპსი (90. ფინდლი).

**გოლი:** ბრედლი (86)

**მაყურებელი:** 16 500

### ფინეთი-ესპანეთი 0:0

**ფინეთი:** ნიემი, პასანენი, კალიო, კუივასტო, ჰიიპია (48. ტიჰინენი), რომან ერიომენკო, ვაირინენი (84. ილოლა), რიილაჰტი (50. ნურმელა), კოლკა (76. ლამპი), იოჰანსონი, კუკი (66. ).

**ესპანეთი:** რეინა, სერხიო რამოსი, პაბლო, პერნია, პუიოლი (46. მარჩენა), ალბელდა, რიერა, ინიესტა (46. ჩავი), ანგულო (55. ხოაკინი), ლუის გარსია (73. ფაბრეგასი), სილვა (55. ტამუდო).

**მაყურებელი:** 11 600

### იტალია-ს. აფრიკა 2:0

**იტალია:** ამელია, ბონერი, კიელინი, გამბერინი (63. დოსენა), ძაკარდო (82. მესტო), დე როსი (59. პალომბო), ფოჯა (59. ჯილარდინო), მაური, მონტოლივო (74. ნოჩერინო), როსინა (86. სემიოლი), ლუკარელი.

**გოლები:** 1:0 ლუკარელი (82), 2:0 ლუკარელი (90)

**მაყურებელი:** 7 219

### ავსტრია-კოტ დ'ივუარი 3:2

**ავსტრია:** პეიერი, გარიჩი, ჰიდენი, შიმერი, გერკალიუ, აუფჰაუზერი (81. ერტლი), სარიიარი, შტანდფესტი, ივანშიტცი (86. მიორცი), ვაისენბერგერი (81. ფუხსი), კულიჩი (46. კინასტი).

**გოლები:** 1:0 კულიჩი (30-პენ), 1:1 დროგბა (53), 2:1 ივანშიტცი (64-პენ), 3:1 შტანდფესტი (74), 3:2 დროგბა (90-პენ)

### იაპონია-ეგვიპტე 4:1

**გოლები:** 1:0 ნოზავა (21), 2:0 ნოზავა (42), 3:0 მაედა (54), 3:1 ფადლი (59), 4:1 კაჯი (68)

### ესტონეთი-ჩერნოგორია 0:1

**გოლი:** 0:1 ვუჩინიჩი (41)

### საემიროები-ტუნისი 0:1

**გოლი:** 0:1 ბელაიდი (29)

### ისრაელი-ბელარუსი 2:1

### მაროკო-ნამიბია 2:0

რეკლამა-განცხადებების გამოქვეყნებაზე ნებისმიერი შეკვეთების მიღება რეგიონებიდან შესაძლებელია რედაქციასთან სატელეფონო შეთანხმებით.

საკონტაქტო ტელეფონებია: 46 32 62; 899 55 48 97. "ლელოს" საბანკო რეკვიზიტებია: შპს "გაზეთი ლელო", "ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცენტრალური ფილიალი. ანგარიშის ნომერი: 016467589; საიდენტიფიკაციო კოდი: 203826075; ბანკის კოდი: 220101666; მფო 520289.

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თაბაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგვაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარჩემელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურამძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლალა ხოშასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდებრიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
აზნორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10[a],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა